წლიწადი მეთორმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები №№: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—8—81.

შაბათი, 25 ივლისი 1931 წ. № 170 (3125)

27 ივლისს, საღამოს 7 საათზე, შესდგება

## ცაკის პრეზიდიუმის მორიგი

## —სხდომა—

პრეზიდიუმის წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

# ბოლშევიკური ტემპები სამოქალაქო ავიაციას

მოსკოვის ქარხანა „ელექტროზავოდის" მუშებისა და საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანოს „პრავდა"-ს ინიციატივით 10 ივლისიდან მთელ საბჭოთა კავშირში ტარდება სამოქალაქო ავიაციის დეკადა. იმის გამო, რომ ამ კამპანიის ჩატარებაში საჭირო აქტივობით ვერ ჩაება მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა, მუშების მოთხოვნილებით დეკადა გაგრძელებულ იქნა 30 ივლისამდე. დეკადის ვადის გაგრძელებამ თავისი შედეგები გამოიღო. მთელი რიგი ორგანიზაციები და მათ შორის პრესაც ენერგიულად შეუდგა სამოქალაქო ავიაციის მნიშვნელობის პოპულიარიზაციას და მატერიალური დახმარებათა მობილიზაციას ჩვენი საჰაერო ფლოტის მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის. დეკადის შედეგად სამოქალაქო ავიაციის საკითხმა პირველად მიიპყრო ფართო მშრომელი მასების განსაკუთრებული ყურადღება.

ეს ყოველივე დეკადის მიღწევებად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ აქვე არ შეიძლება გვერდი აუხვიოთ იმ დაუშვებელ გულგრილობას, რომელსაც იჩენენ სამოქალაქო ავიაციის განვითარების საქმისადმი ზოგიერთი ორგანიზაციები. ამოცანა, რასაკვირველია, მარტო მატერიალური დახმარებით არ ამოიწურება. ნამდვილად კი ბევრი ორგანიზაცია უმთავრესად სწორედ ასე მიუდგა საკითხს. მატერიალური შეწირულების გაღებით მათ თავიანთი მოვალეობა მოხდილად მიიჩნიეს და თითქმის არაფერი გაუკეთებიათ მასების დასარაზმავად სამოქალაქო ავიაციის პოპულიარიზაციისათვის, სამოქალაქო ავიაციის საჭირბოროტო ამოცანების პრაქტიკულად გადაწყვეტაში მონაწილეობის მისაღებად. ასეთი ამოცანები კი სამოქალაქო ავიაციას მრავალი აქვს.

ცნობილია, რომ ავიაცია სატრანსპორტო ტეხნიკის უმაღლეს და ახალ გაზრდა დარგს წარმოადგენს. თავისთავად ეს მდგომარეობა უკვე მთელ რიგ ურთულეს დაბრკოლებას ჰქმნის ავიაციის ნორმალურ მუშაობაში. მიუხედავად ამისა სამოქალაქო ავიაცია ჩვენში შეუჩერებლივ იზრდება. კერძოდ ამიერ-კავკასიაში, სადაც რელიეფი და უგზოობა წინ ეღობება სატრანსპორტო მშენებლობის განვითარებას, სამოქალაქო ავიაციის წარმატებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამავე დროს ჩვენი სამოქალაქო ავიაცია, შეიძლება ითქვას, მხოლოდ განვითარების პირველ საფეხურზე სდგას. ამ ხანად ამიერ-კავკასიაში სამგზავრო და საბარგო საჰაერო მიმოსვლა სწარმოებს მხოლოდ შემდეგი ხაზებით: თბილისი-ბაქო, ბაქო-ფეხლევი, ბაქო-მინერალნიე ვოდი. ამასთანავე მზადდება გასახსნელად თბილის-სოჩის ხაზი. ექსპლოატაციაში მყოფ საჰაერო ხაზის საერთო სიგრძე ამიერ-კავკასიაში უდრის მხოლოდ 1.815 კილომეტრს, რა თქმა უნდა, ავიაციის ტეხნიკურ უპირატესობასთან და მისი მუშაობის ჩვეულებრივ ტემპებთან შედარებით ეს მანძილი ძალზე მცირედ უნდა ჩაითვალოს.

ამიტომ ახლო მომავლისათვის ამ.-კავკასიაში, გარდა უკვე არსებულისა, გახსნილი უნდა იქნას შემდეგი საჰაერო გზები: თბილის-სოჩა, თბილისი-ერევანი, თბილისი-მინერალნიე ვოდი, ბათომი-ქუთაისი-მესტია, ბაქო-ერევანი-ბათომი და სხვ.

ამასთანავე ცნობილია, რომ სამოქალაქო ავიაციის განვითარებამ უდიდესი გამარჯვება არგუნა წილად ჩვენს პოლიგრაფიულ ტეხნიკას. ტეხნიკის ერთი დარგის განვითარებამ განსაზღვრა მეორე დარგის წარმატება. დღეს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ცენტრებში იბეჭდება მოსკოვის ცენტრალური გაზეთები „პრავდა" და „იზვესტია", რომელთა მატრიცებიც (ანაწყობი შრიფტის ანაბეჭდი კარტონზე) მოაქვს თვითმფრინავებს მოსკოვიდან სხვადასხვა ქალაქებში. ეს არის საბჭოთა ავიაციის და პოლიგრაფიული ტეხნიკის უდიდესი გამარჯვება, რომლითაც სამართლიანად შეგვიძლია ჩვენ ვიამაყოთ.

გარდა ამისა ახლო მომავალში დაიწყება ტრასის გამოკვლევა კავკასიის ქედზე, რაიც გაადვილებს თბილისისა და, საზოგადოთ, ამიერ-კავკასიის ყველა კუთხეების კავშირს მოსკოვსა და საბჭოთა კავშირის სხვა ცენტრებთან.

ამასთანავე საშემოდგომო და საზამთრო გადაზიდვათა გაძლიერების აუცილებლობა დაჟინებით აყენებს სამოქალაქო ავიაციის წინაშე კილომეტრაჟის გეგმის მთლიან შესრულებას, არსებულ აეროპორტების კეთილმოწყობისა და ახალ ტრასების გამოკვლევითი მუშაობის მაქსიმალურად დაჩქარების ამოცანას. აღარაფერს ვლაპარაკობ სპეციალურ კაპიტალურ მშენებლობაზე, რომელიც ჩატარებული უნდა იქნას მახლობელ წლებში იმისათვის, რომ ჩვენს სამოქალაქო ავიაციას შეუქმნათ კაპიტალისტური ქვეყნებისათვის არნახული განვითარების ტეხნიკური მატერიალური ბაზა.

ყოველივე ეს შესრულებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამოქალაქო ავიაციის განვითარებაში უაქტივეს და სისტემატიურ მონაწილეობას მიიღებს მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა. მიმდინარე დეკადამ მტკიცე საძირკველი უნდა ჩაუყაროს მშრომელ მასების მუდმივ და უმჭიდროეს კავშირს სამოქალაქო ავიაციასთან. ჩვენ უნდა შევქმნათ საჰაერო ფლოტის ირგვლივ მშრომელთა ფართო მასების უდიდესი მზრუნველობის ატმოსფერა. ამას კი შევძლებთ იმ შემთხვევაში, თუ ყველა მასიური ორგანიზაციები და პირველ რიგში პროფესიონალური კავშირები სამოქალაქო ავიაციის საქმეს თავიანთ საქმეთ მიიჩნევენ. სამწუხაროდ ამას ჯერ-ჯერობით ვერ ვამჩნევთ. პროფკავშირები ყოვლად დაუშვებელ გულგრილობას იჩენენ სამოქალაქო ავიაციის დეკადისადმი. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელი სტალინის სახელობის ქარხნის მუშათა კრება, სადაც უნდა აეღოთ შეფობა თბილისის აეროპორტზე, ჩაიშალა. ამის მიზეზი იყო პროფკავშირების და ნაწილობრივ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციის უმოქმედობა.

ასეთ განწყობილებებს, ისიც პროფკავშირთა რიგებში, სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. მიღებულ უნდა იქნას გადამჭრელი ზომები იმისათვის, რომ სამოქალაქო ავიაციის ათდღიური წარმატებით დამთავრდეს. უნდა შეიგნოს ყველამ, რომ ძლიერი სამოქალაქო ავიაცია—სოციალისტური მშენებლობის უძლიერესი იარაღია.

მთელი ძალები საჰაერო სამოქალაქო ნაოსნობის ბოლშევიკური ტემპების უზრუნველყოფას!

# ბოლშევიკურად შევებრძოლოთ წყალდიდობის შედეგებს

(საუბარი საქ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლ. სუხიშვილთან)

14-15 ივლისს, ერთი თვის შემდეგ პირველ წყალდიდობიდან, ხელმეორეთ მოგვევლინა უფრო საშინელი წყალდიდობა, რამაც ჩვენს სახალხო მეურნეობას უდიდესი ზარალი მიაყენა.

წყალდიდობამ მოიცვა თითქმის მესამედი საქართველოსი,ის შეეხო შემდეგ რაიონებს: აბაშის, მარტვილის, წალენჯიხის, ქუთაისის, თელავის, ზუგდიდის, ვანის, ლანჩხუთის, გორის, ყვარელის, ბაღდადის, წალკის, ყარაიაზის, სამტრედიის, სენაკის, სტალინისის, ფოთისა და თბილისის და აფხაზეთს.

მასშტაბი და სიძლიერე წყალდიდობისა უჩვეულო იყო. კოკისპირული წვიმისაგან ადიდებულმა მდინარეებმა გადმოხეთქეს ნაპირებიდან, მოედო სოფლ. და გაანადგურა ნათესები, დაანგრია შენობები, გზები, დააზიანა საირიგაციო სისტემა, მიაყენა დიდი ზიანი პირუტყს და ფრინველს. თბილისში ორი დღით ზაჰესის მუშაობა შეჩერდა, თბილისის ახლო სოფელი მამკოდი სრულიათ აოხრებულია და მეწყერისაგან არის დანგრეული. რაიონში ადგილი ჰქონდა ადამიანთა მსხვერპლსაც. განსაკუთრებით დიდია ზარალი ნათესების წალეკვით მიყენებული. პირველი წყალდიდობის შემდეგ (15-17 ივნისი) გადათესილი ყანები ხელმეორედ წაილეკა. ამჟამად კი ხელახალი დათესვა უკვე დაგვიანებულია და ეს გარემოება აძლიერებს სტიქიურ უბედურების შედეგებს. საშინლად გააფუჭა და გაანადგურა სტიქიამ გზების დიდი ნაწილი.

ერთი სიტყვით, უეცრად მოვარდნილმა სტიქიონმა მრავალმილიონიანი ზარალი მოგვაყენა.

ჯერ კიდევ არ არის დაწვრილებით გამორკვეული ზარალის რაოდენობა, მაგრამ ადგილებიდან მიღებული წინასწარი ცნობების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ზარალი მილიონებით აღირიცხება. საჭიროა სასწრაფო დახმარება.

მთავრობა იღებს ყოველგვარ ზომებს, რომ დაეხმაროს დაზარალებულ რაიონებს, აღადგინოს დაზარალებული მეურნეობა.

გამოყოფილია სიმინდი და პური დაზარალებულ რაიონებისათვის, რაც უკვე გაიგზავნა რაიონებში, სწარმოებს მუშაობა გზების აღსადგენათ; მაგრამ ეს გამოცდილება უნდა გამოყენებული იქნეს იმ მხრივ, რომ ჩატარებული იქნეს სათანადო მუშაობა მდინარეების ნაპირების გასამაგრებლად და აქ კაპიტალური მუშაობის ჩასატარებლად, რომ მომავალში არ განმეორდეს ასეთი უბედურება მდინარეების გადმოხეთქით.

ეს ზარალი და უბედურება, რომელიც საქართველოს სახალხო მეურნეობას დაატყდა თავზე წყალდიდობის გამო, არაა მხოლოდ ადგილობრივი მშენებლობის ზარალი, მას უნდა მიექცეს მთელი კავშირის ყურადღება. მთავრობა შესძლებს აღადგინოს წყალდიდობისაგან მიყენებული დაზიანებული სახალხო მეურნეობა, ყოველ მხრივ დავეხმარებით დაზარალებულ კოლმეურნე და ინდივიდუალურ ღარიბ-საშუალო გლეხობას.

ეს მოვლენა ჩვენს წინაშე აყენებს ერთ დიდ პრობლემას, რომელიც უნდა გადაწყვეტილი იქნეს. მოვარდნილი ნიაღვრის მთავარი მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ტყეების გაჩეხა. მთის კალთები შიშვლდებიან, ნაწვიმარ წყალს ვერაფერი აჩერებს და ამის გამო წვიმები ქვეყანას აყენებენ დიდ უბედურებებს. უნდა მიექცეს ყურადღება ტყეებს, მათ მოშენებას. სამწუხაროდ, ტყეები ხშირად იჩეხება ჩვენში უგეგმოთ, არ ვითვალისწინებთ თუ რა შედეგი მოყვება ამას. ტყეთა საქმეს უნდა მიექცეს მეტი ყურადღება. **ჩვენ ვერ გავაშიშვლოთ მთის კალთები [illegible] ტყის ადგილი უნდა დაიკავოს ახალმა ტყემ. ამას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.**

ადგილებიდან მოსული ცნობები ასეთ სურათს გვიხატავს:

აბაშის რაიონში ცხენის წყალმა გადმოხეთქა ნაპირებიდან, დაანგრია სოფლის გზები, წაიღო ნათესები, ნაწილი მოსახლეობისა წყალში იდგა.

წალენჯიხის რაიონში მოვარდნილმა წყალმა წაიღო დიდი ნაწილი განსაზოგადოებული და ინდივიდუალური სექტორის თამბაქო და სხვა ნათესები.

თელავის რაიონში დაიღუპა 500 ჰექტარი, ნათესი, წყალში ცურავდა სახერხი ქარხანა, დაზიანდა 67 სახლი და დაიღუპა რამდენიმე ასეული პირუტყვი და ფრინველი. ასეთ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი ყვარელის რაიონშიაც.

მარტვილის რაიონში წყალქვეშ მოყვა 400 ჰექტარი ნათესი, ყველა სოფლები და მოსახლეობა წყალში მოყვა და უამრავი ზარალი ნახეს მათ.

გორის რაიონში 2500 ჰექტარი ნათესი მოყვა წყალქვეშ.

დუშეთის რაიონში ფასანაური და მთლეთში მდინარე არაგვი გადმოვიდა ნაპირებიდან, მოედო ახლო-მახლო სოფლებს, წაიღო ნათესები, ბოსტნები, გააფუჭა გზები. მხოლოდ ამ რაიონში წყალდიდობით მიყენებული ზარალი 1.000.000 მანეთს უდრის.

ლანჩხუთის რაიონში რიონმა გადმოხეთქა ნაპირებიდან და მივიდა რკინის გზის ლიანდაგამდე, ამ რაიონში ივნისის წყალდიდობის დროს დაიღუპა 3.494.0000 ჰექტარი ნათესი, მეორე წყალდიდობამ კვლავ წალეკა უფრო მეტი ნათესი ფართობი.

ბაღდადის რაიონში 4 თემი დაფარა ინდაზარალებულ მშრომელ მოსახლეობას.

ბაღდადის რაიონში სეტყვამ და კოკისპირულმა წვიმამ გაანადგურა სიმინდის ნათესი 1000 ჰექტარზე, ვენახი 100 ჰექტარზე და ხორბლეულის ნათესის დიდი ნაწილი. ზარალი ასი-ათასობით აღირიცხება ამ რაიონში. კარატაფაში დაზიანებულია წყალთა მეურნეობების შენობები, მოწყობილობანი, წყალქვეშ მოყვა ნათესები, ბოსტნები, მოთიბული თივა, დაინგრა რამდენიმე სახლი.

თბილისში ორი დღით შეჩერდა ზაჰესის მუშაობა, რიყის ქუჩაზე დაინგრა რამდენიმე სახლი, ენერგიის უქონლობამ გამოიწვია წარმოებების შეჩერება.

წყალდიდობისაგან მიყენებული ზარალის გამოკვლევა გრძელდება საგანგებოთ გამოყოფილ მთავრობის კომისიის მიერ; მიღებულია ზომები საჭირო თანხების გამოსანახათ; საერთო ძალით უნდა შევეცადოთ სულ ახლო ხანში აღვადგინოთ დაზარალებული სახალხო მეურნეობა და დავეხმაროთ დაზარალებულ მშრომელ მოსახლეობას.

# საფრანგეთ-ამერიკის ბრძოლა ლონდონის კონფერენციაზე

## ვერავითარ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს გერმანიისათვის ფინანსიური დახმარების საკითხში

### ვერ შეთანხმდნენ

**ლონდონი**, 23 ივლისი. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსიური კომისია, რომელშიაც შედიან ფინანსთა მინისტრები აგრეთვე ბრიუნინგი და მაკდონალდი, შეეცადა გამოეტანა საერთო დადგენილება, ეს ცდა მარცხით დამთავრდა. ამის გამო კონფერენციის პლენარულ სხდომაზე წამოყენებულ იქნა გერმანიისათვის ფინანსიური დახმარების აღმოჩენის რამდენიმე პროექტი.

### საფრანგეთის პოზიცია უცვლელი რჩება

საფრანგეთის ემხრობა გრძელვადიან სესხს, რომელიც უზრუნველყოფილ უნდა იქნას გერმანიის საბაჟო შემოსავლისათვის კონტროლის გაწევით და სხვა გარანტიებით.

ჩრდ.-ამერიკის რესპუბლიკა იმ აზრისაა, რომ კონფერენციამ არ უნდა გადასჭრას გერმანიის ფინანსების ზოგადი პრობლემები და უნდა დაკმაყოფილდეს ისეთი ღონისძიებებით, რომლებიც გერმანიას საშუალებას მისცემენ რამდენადმე გააუმჯობესოს თავისი ფინანსიური მდგომარეობა.

სტიმსონის აზრით, კონფერენციის მთავარ ამოცანას შეადგენს ის, რომ შეჩერებულ იქნას გერმანიის ბანკებიდან ფულის გატანა და იძულებული გახადონ სახელმწიფოები—შესწყვიტონ თავიანთი მოკლევადიანი კრედიტების უკან გამოთხოვა. კრედიტების მოსაწესრიგებლად სტიმსონი წინადადებას იძლევა—მოეწყოს საერთაშორისო საბანკო კონსორციუმი, რომელიც გააერთიანებს ცენტრალურ ხელმძღვანელ და კერძო ბანკებს ბაზელში არსებული საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის საერთო კონტროლის ქვეშ. შეიძლება ითქვას, რომ გრძელვადიანი ათწლიანი სესხის პროექტი, რომელსაც საფრანგეთი იცავს, მოხსნილია.

კონფერენციის წრეებში უფრო და უფრო ანგარიშს უწევენ იმ ფაქტს, რომ საფრანგეთი უარს იტყვის მოკლევადიან კრედიტებში მონაწილეობაზე. შესაძლებლად სთვლიან, რომ ინგლისი და ჩრდილოეთ-ამერიკის რესპუბლიკა ამის შემდეგ საფრანგეთისაგან დამოუკიდებლად იმოქმედებენ (ადს).

### ლონდონის კონფერენციას დაუძლეველი სიძნელეები ელოდებიან წინ

**ბერლინი**, 23 ივლისი. ბერლინის პოლიტიკურ წრეებში აშკარად აღიარებენ იმ დიდ სიძნელეებს, რასაც ხვდება ლონდონის კონფერენცია თავის მუშაობაში. ფრანგების პოზიციამ ის შედეგი გამოიღო, რომ ლონდონში აქამდე ვერ მოუხერხებიათ რაიმე დადგენილების მიღება, რადგან საფრანგეთი თავისი პოლიტიკური პირობების მიღებას უკავშირებს თავისი მონაწილეობის მიღებას მოკლევადიან კრედიტებში.

ჰუვერის ახალ წინადადებასაც კი, რომელსაც, როგორც ვიცით, სიმძიმის ცენტრი გადააქვს გერმანიისათვის მიცემული კრედიტების განმტკიცებაზე და რომელიც გულისხმობს ამ კრედიტების შემდგომ გრძელვადიანად გადაკეთებას, პოლიტიკურ წრეებში აშკარა უკმაყოფილებით შეხვდნენ (გამოტოვებულია)...

### ამერიკის ბანკირები გერმანიას ურჩევენ ხელფასის სასწრაფოთ შემცირებას

**ნიუ-იორკი**, 23 ივლისი. მრავალი ბანკირი კრიტიკულად უყურებს მთავრობის იმ წინადადებას, რომ ბანკებმა განაახლონ მოკლევადიანი კრედიტების მიცემა გერმანიისათვის. ბანკირები ხაზს უსვამენ იმას, თუ რამდენად ძნელია მეანაბარეთა დარწმუნება—მიიღონ ეს წინადადება, და შიშობენ, რომ ეს საგრძნობლად შეზღუდავს გერმანიისათვის კრედიტების მიცემის შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, ბანკირები იწონებენ ვაშინგტონის უარყოფით დამოკიდებულებას გერმანიისათვის ამჟამად ახალი მსხვილი კრედიტების მიცემისადმი და აცხადებენ, რომ გერმანია უნდა მიისწრაფოდეს იქითკენ, რათა მან კვლავ მოიხვეჭოს მთელიმსოფლიოს ნდობა ბიუჯეტის, ხელფასის და სხვა ხარჯების გადაჭრით და სასწრაფოდ შემცირების" პროგრამის განხორციელებით.

წინააღმდეგ ამ შეხედულებისა, ზოგიერთი საფინანსო წრეები ფიქრობენ, რომ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთ. შტატების მთავრობის წინადადება არსებულ პირობებში საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს გერმანიაში დაბანდებული უოლსტრიტის კაპიტალების გადასარჩენად. (ადს).

### ცდილობენ შეაჩერონ კაპიტალის გატანა გერმანიიდან

**პარიზი**, 23 ივლისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, ლონდონის კონფერენციის დილის სხდომაზე სტიმსონმა ურჩია ცენტრალურ საემისიო ბანკებს—იკისრონ შუამდგომლობა სხვა ბანკებს შორის იმ მიზნით, რომ მათ შესწყვიტონ კაპიტალის გატანა გერმანიიდან. ლავალი მხარს უჭერს ამ წინადადებას (ადს).

### მასები მხარს უჭერენ კომპარტიის ულტიმატუმს

**ბერლინი**, 23 ივლისი. ორი კვირის აკრძალვის შემდეგ გამოსულ „როტე ფანე"-ს პირველ გვერდზე გამოქვეყნებულია გერმანიის კომპარტიის ულტიმატუმი პრესის მთავრობისადმი, გაზეთი მოაგონებს მშრომელ მასებს პრუსიის მთავრობის (ამ მთავრობას სათავეში უდგანან სოციალ-დემოკრატები) მიერ ჩადენილ რეაქციონურ „საგმირო საქმეებს": მუშების დახვრეტას 1929 წლის მაისში, წითელფრონტელების კავშირის აკრძალვას, რესპუბლიკის დაცვის კანონს, პროლეტარული სპარტაკიადის აკრძალვას და ახალ საგანგებო დეკრეტს ოპოზიციონური პრესის შესახებ.

გადადის რა პრუსიის მთავრობისათვის წარდგენილ ულტიმატუმზე, „როტე ფანე" სწერს:

„ამ ნაბიჯის გადადგმას მოელოდნენ პრუსიის და მთელი გერმანიის მშრომელები. გერმანიის კომპარტიის ულტიმატურ მოთხოვნილებებს ზურგს უმაგრებენ მძლავრი პროლეტარული არმიები, რომლებიც არა მარტო თანაუგრძნობენ ამ ნაბიჯს, არამედ ყოველი საშუალებებით დაუჭერენ მას მხარს. ჩვენ ვაცხადებთ: „თუ უარყოფილი იქნა კომპარტიის მიერ ხალხის სახელით წაყენებული მოთხოვნილებები, კომპარტია თავის თავზე აიღებს 9 აგვისტოს დანიშნულ სახალხო კენჭის ყრის ხელმძღვანელობას, რომელიც ტარდება ლოზუნგით: „ლანდტაგი დათხოვნილი უნდა იქნას". (ადს).

### კომუნისტური კრებები

**ბერლინი** 23 ივლისი. 21 ივლისს კომპარტიამ ბერლინში ჩაატარა 6 დიდი მასიური კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენებები: „ბანკების გაკოტრება და სოციალისტური მშენებლობის წარმატებები საბჭოთა კავშირში" (ადს).

### გერმანიის ფასიანი ქაღალდების კურსის დაცემა სტოკჰოლმის ბირჟაზე.

**სტოკჰოლმი**, 23 ივლისი. გერმანიის ობლიგაციების კურსი სტოკჰოლმის ბირჟაზე ძალიან დაეცა. კრიზისი გავლენას ახდენს აგრეთვე შვეციის ობლიგაციების კურსზე. (ადს).

### ბრიუნინგი და კურციუსი ბერლინში დაბრუნდნენ.

**ბერლინი**, 23 ივლისი. ბრიუნინგი და კურციუსი 23 ივლისს დაბრუნდნენ ბერლინში (ადს).

### უმუშევრობა გერმანიაში.

**ბერლინი**, 23 ივლისი. შესწყდა მუშახელის მოთხოვნა სოფლის მეურნეობის სეზონურ სამუშაოებისათვის. შრომის ბირჟაზე აღრიცხულ უმუშევართა რიცხვი 15 ივლისისათვის უდრიდა 3.966.000, თითქმის იმდენსავე, რამდენიც ივნისში იყო (ადს).

### „საბჭოთა გერმანიისათვის".

**ბერლინი**, 23 ივლისი. 22 ივლისს გაიმართა ბერლინის საწარმოების მოსამსახურეების წარმომადგენელთა დიდი კონფერენცია. დაესწრო 1.500 მოსამსახურე, აქედან უმრავლესობა საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების წევრები შეადგენდნენ. წარმოდგენილი იყო ყველა დიდი საწარმო და ბანკი.

დიდი აღტაცებით მოისმინეს რეიხსტაგის კომდეპუტატის ვალტერ ულბრიხტის სიტყვა.

„ჩვენ — საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების წარმომადგენლები და ბერლინის საწარმოთა დელეგატები,—ნათქვამია კრების მიერ მიღებულ რეზოლიუციაში, — მოვუწოდებთ ყველა მუშებს, განსაკუთრებით პროფკავშირთა ორგანიზაციების წევრებს—შექმნან მუშათა ფრონტი ფაშიზმისა და პრუსიის რეაქციის წინააღმდეგ.

ძირს ბრიუნინგის მთავრობა!

ვიბრძოლოთ მუშურ-გლეხური ხელისუფლებისათვის!

წითელი პრუსიისათვის, საბჭოთა გერმანიისათვის!

# ესპანეთის მუშათა კლასის რევოლიუციონური გამოსვლები

### ვალენსიაში გრძელდება გაფიცვა

**მადრიდი**, 23 ივლისი. ვალენსიაში გრძელდება გაფიცვა. კაფეები, რესტორნები და სასტუმროები დახურულია, წყალსადენის, ელექტროსადგურების და გაზის ქარხნის მუშების ანარქო-სინდიკალისტურმა კავშირმა განაცხადა, რომ ის უერთდება გაფიცვას. გუბერნატორმა სთხოვა საზღვაო სამინისტროს—გამოგზავნოს ნაოსნები, რომელთა მატროსებმა უნდა შესცვალონ კომუნალურ საწარმოების გაფიცული მუშები.

### სისხლისმღვრელი შეტაკებები

**პარიზი**, 23 ივლისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, სევილიაში სინდიკალისტები შეეცადნენ თავს დასხმოდნენ სატელეფონო კამპანიას და დაეწვათ იგი.

პოლიციამ გაჰფანტა სინდიკალისტები. დაჭრილია 15 კაცი. უტრერის გაფიცულმა მუშებმა სცადეს თავდასხმა სართავ ფაბრიკაზე. ამ ცდის 10 მონაწილე დააპატიმრეს. დაპატიმრებულთა განთავისუფლების მიზნით მუშები თავს დაესხენ პოლიციას, რომელმაც სროლა აუტეხა მათ. ამის შემდეგ გაფიცულებმა იერიში მიიტანეს ჟანდარმების ყაზარმებზე. შეტაკების დროს მძიმედ დაიჭრა 4 კაცი, ბევრი დააპატიმრეს.

მეორე დილით გაფიცულებმა იერიში მიიტანეს ცენტრალურ სატელეფონო სადგურზე „ლოს გერმანოს"-ს და ცეცხლი წაუკიდეს მას. პოლიციამ სროლა აუტეხა გაფიცულებს. მოკლულია 21 კაცი, მძიმედ დაიჭრა 40. „ლოს გერმანოს"-ის მუშებმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს. გაფიცულებსა და ჟანდარმებს შორის მომხდარი შეტაკების შედეგად დაჭრილია 12 კაცი.

ასეთ მღელვარებას ადგილი ჰქონდა აგრეთვე კარმონში, სადაც დაჭრილია 14 კაცი (ადს).

### სევილიაში სამხედრო ძალები საომრად არიან გამზადებული

**მადრიდი**, 23 ივლისი. 19 ივლისს სევილიაში შესდა 2 მიტინგი—სინდიკალისტების და კომუნისტების. სინდიკალისტების მიტინგზე მუშების ზეგავლენით მიღებულ იქნა მოთხოვნილება დემონსტრაციის დროს მუშის მოკვლაში დამნაშავე პოლიციელების დაპატიმრების, შინაგან საქმეთა მინისტრის და გუბერნატორის გადაყენების და ყველა პოლიტპატიმართა განთავისუფლების შესახებ.

კომუნისტურ მიტინგზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სინდიკალისტ-მუშებთან ერთიანი ფრონტის ტაქტიკის გატარების შესახებ. მიტინგმა გამოიტანა აგრეთვე გადაწყვეტილება გაფიცულთა ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილების, უმუშევართა დახმარების, ჟანდარმერიის და „ოხრანკის" დათხოვნის, უმუშევრების ბინებიდან გასახლების აკრძალვის მოთხოვნის შესახებ.

პრესის ცნობით, სევილიას „მეტად უნუგეშო სახე აქვს: საყოველთაო გაფიცვა, გაზეთები არ გამოდის, ვაჭრობა შემცირდა". გაზეთები აღნიშნავენ ჟანდარმების განიარაღების რამდენიმე ცდას. ჟანდარმერიამ დააპატიმრა 150-დე კაცი. მთავრობის სამხედრო ძალები საომრად არიან გამზადებული (ადს).

### ბარსელონაში ააფეთქეს მიწისქვეშა კაბელები

**პარიზი**, 23 ივლისი. ესპანეთიდან მიღებული ცნობებით, ბარსელონაში ყუმბარით ააფეთქეს მიწისქვეშა კაბელები, რის გამოც ტელეგრაფმა მუშაობა შესწყვიტა. სევილიაში მოხდა შეტაკება გაფიცულ ტელეფონისტებსა და პოლიციას შორის. მოკლული იქნა 4 კაცი (ადს).

### ესპანეთში უნდა შემოიღონ იძულებითი არბიტრაჟი

**მადრიდი**, 23 ივლისი. შრომის მინისტრმა მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინა კანონპროექტი იძულებითი არბიტრაჟის შესახებ გაფიცვების დროს. უკანონოდ იქნება გამოცხადებული ყოველგვარი გაფიცვა, თუ ის კონფლიქტი, რომლის ნიადაგზედაც გაფიცვა წარმოიშვა არ იქნა განხილული არბიტრაჟის წესით (ადს).

# სოიასა და სიმინდის გამარგვლა-დამუშავების კამპანიის მიმდინარეობისა და აღების კამპანიისათვის მზადების შესახებ

(საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის სამდივნოს 1931 წლის 22 ივლისის დადგენილება)

საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ი, რომელმაც მოისმინა მოხსენება სოიასა და სიმინდის გამარგვლა დამუშავების კამპანიის მიმდინარეობის შესახებ, აღნიშნავს, რომ მიუხედავათ მთელი რიგი კონკრეტული დირექტივებისა ამ საკითხის გამო, სადაც დაწესებული იყო ვადები გამარგვლა - დამუშავების ცალკე სამუშაოების შესასრულებლად საქართველოს ცალკე რაიონებში, დღემდე არ არის აღმოფხვრილი თვითმდინარეობაზე აღებული მემარჯვენე ოპორტუნისტული გეზი, რის შედეგადაც არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ეს კამპანია და მზადება ისეთი კულტურების აღებისათვის, როგორიც არის სოია, რომელიც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტეხნიკურ კულტურას წარმოადგენს, და სიმინდი, რომელსაც საგრძნობი ხვედრითი წონა აქვს საქართველოს სოფლის მეურნეობაში (სოიას პირველი გამარგვლა 10 ივლისისათვის დაახლოვებით შესრულებულ იქნა მხოლოდ წმინდა ნათესის 10.000 ჰექტარზე ან მთლიანი ნათესის საერთო ფართობის 25 პროცენტი). ეს გარემოება ჩაშლის რეალურ საფრთხეს უქმნის უმნიშვნელოვანეს სამეურნეო - პოლიტიკურ კამპანიას მოსავლის მაქსიმალურად აღების საქმეში, რის გამოც საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ი ადგენს:

1. დეავალოთ მიწსახკომს, კოლმეურნეობათა ცენტრს, სას-სამ. კოოპერაციას და საქ. ა.ლ. კომკავშირის ც. კ-ს ერთი დღის ვადაში გამოჰყონ რწმუნებულნი, რომელნიც პერსონალურად აგებენ პასუხს დამუშავება-გამარგვლის სამუშაოებისა და სოიას და სიმინდის ასაღებად მზადების ჩატარებისთვის.

გამოყოფილ რწმუნებულთაგან საქართველოს მიწსახკომთან, მიწათმოქმედების სახალხო კომისრის ამხ. მათიკაშვილის თავმჯდომარეობით, შეიქმნას ბიურო სიმინდ-სოიას საქმეების გამო.

2. დაევალოთ სიმინდ-სოიას ძირითადი რაიონების ოლქკომებს და რაიკომებს — სამი დღის ვადაში ავტონომიურ რესპუბლიკების ცაკებთან და რაიაღმასკომებთან, გამოჰყონ პერსონალურად პასუხისმგებელი ამხანაგები, რომელნიც ხელმძღვანელობას გაუწევენ სოიასა და სიმინდის დამუშავება-გამარგვლის სამუშაოებს და მოამზადებენ საჭირო პირობებს აღნიშნული კულტურების მოსავლის აღების კამპანიის წარმატებით დამთავრებისათვის.

3. გამარგვლის კამპანიის დასახული ვადების ჩაშლასთან დაკავშირებით, დაევალოს მიწსახკომს — სამი დღის ვადაში დააწესოს სოიას და სიმინდის პირველი და მეორე გამარგვლის მტკიცე ვადები და გამოაქვეყნოს ეს ვადები პრესაში.

4. დაევალოს საქართველოს მიწსახკომს—ერთი დღის ვადაში მისცეს ადგილებს სათანადო დირექტივა იმის შესახებ, რომ შერეული ნათესის გამარგვლის დროს არ შემცირდეს სოია სიმინდის სასარგებლოდ, სასტიკად დაცულ უნდა იქნას დაწესებული შეფარდება 1:3.

ამავე დროს დაევალოს საქ. მიწსახკომს—ორი დეკადის ვადაში ჩაატაროს სოიას კულტურის შერეული და წმინდა ნათესის შერჩევითი აზომვა სოიას დამზადების ზუსტი გეგმის შესადგენად.

5. გამარგვლა - დამუშავების კამპანიის ამოცანების ირგვლივ საზოგადოებრივი ყურადღების მობილიზაციისათვის, გაფუჭების თავიდან ასაცილებლად და კამპანიის წარმატებით დასამთავრებლად, 25 ივლისიდან გამოცხადდეს სოიას და სიმინდის დაკვრითი გამარგვლის ოცდღიური.

6. საქართველოს კ.პ. (ბ) იმ რაიონების ოლქკომებმა და რაიკომებმა, სადაც სოია და სიმინდი ითესება, უზრუნველჰყონ, რომ კულაკურ - შეძლებულმა მეურნეობებმა მათთვის მიცემულ მტკიცე დავალებათა შესაფერისად შეასრულონ სიმინდისა და სოიას როგორც პირველი, ისე მეორე გამარგვლა.

7. დაევალოს საქ. ა.ლ. კომკავშირის ც. კ-ს—2 დღის ვადაში მისცეს ადგილებს დირექტივა მთელი გამარგვლის კამპანიის განმავლობაში კომკავშირელთა არსებული ბრიგადების მიმაგრების შესახებ ამ კამპანიაზე, აგრეთვე იმის შესახებ, რომ გამარგვლის კამპანიაში გაგზავნონ ახლად მოწყობილი საუკეთესო კომკავშირელთა ბრიგადები.

8. დაევალოთ სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციას, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, მეთესლეობის კავშირს, ა-კ. მცენარეული ზეთის ტრესტსა და საქართველოს ლ.ა. კომკავშირის ც. კ-ს—გამოჰყონ თითო ბრიგადა და 3 დღის ვადაში გაგზავნონ ისინი სიმინდისა და სოიას ძირითად რაიონებში, ყოველ ბრიგადას დაევალოს მუშაობა 2-3 რაიონში დამუშავება-გათოხნის კამპანიის მთელი პერიოდის განმავლობაში.

9. დაევალოს სიმინდ - სოიას ბიუროს—ერთი დეკადის ვადაში წარუდგინოს საქართველოს სახკომსაბჭოს სოიას აღების ჩატარების ვრცელი გეგმა და ინსტრუქცია, რომლის შედგენის დროსაც მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას ის, რომ ძირითად მოსავლის აღება უნდა მოხდეს ხელით მუშაობისა და ცხენის ინვენტარის საშუალებით, ამასთან მაქსიმალურად გამოყენებულ უნდა იქნას სათიბი მანქანები.

10. დაევალოს ა-კ. ტრაქტორცენტრს—დეკადის ვადაში წარუდგინოს საქართ. სახკომსაბჭოს თავისი მონაწილეობის გეგმა, როგორც სოიას აღებაში, ისე მის გალეწვაში.

11. საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრმა 10-დან 20 აგვისტომდე სოიას ყველა რაიონებში მოაწყოს ხუთდღიანი კურსები სოიას აღებისა და გალეწვის შესახებ. ეს კურსები ნავარაუდევი უნდა იყოს 1.500 კოლმეურნისათვის.

ც. კ-ის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებამ და საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრმა შეადგინონ ამ კურსების პროგრამა და უზრუნველჰყონ ისინი სათანადო ლიტერატურით.

12. დაევალოს ა-კ. ტრაქტორცენტრს — ა-კ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დადგენილების საფუძველზე, მოაწყოს რეიონებში მედოლე - მლეწავების კურსები მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით და ა-კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ აღნიშნულ ვადებში.

13. დაევალოთ „სოიუზხლებ"-ს, ა-კ. მცენარეული ზეთის ტრესტსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას — მოაწყონ ერთ დეკადიანი კურსები სოიას მიმღებთა მოსამზადებლად, იმ ვარაუდით, რომ კურსების მუშაობა დამთავრდეს არა უგვიანეს ამა წლის 1 სექტემბრისა.

14. დაევალოს საქართველოს მომარაგების სახალხო კომისარიატს — 5 დღის ვადაში წარმოადგინოს დაზვინვის ორგანიზაციისა და სიმინდ - სოიას ახალი საწყობების აგების გეგმა. ამავე დროს მომარაგების სახალხო კომისარიატმა დეკადის ვადაში გამოარკვიოს, რომელი ორგანიზაცია უნდა ითვლებოდეს სოიას მიმღებად და თავისი მოსაზრებანი ამის შესახებ შეიტანოს დასამტკიცებლად საქართველოს სახკომსაბჭოში.

15. საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრმა 5 დღის ვადაში წარმოუდგინოს ც. კ-ს დასამტკიცებლად მოსაზრებანი სპეციალურად სოიას სათესლე მასალისათვის საწყობების ორგანიზაციის შესახებ.

16. ც. კ-ი აღნიშნავს აშკარად არადამაკმაყოფილებელ მუშაობას შრომის სოციალისტური ფორმების (სოცშეჯიბრება, დამკვრელობა, საზოგადოებრივი ბუქსირი, მუშაობის ბრიგადული მეთოდი და სხვ.), შემოღებაში და ავალებს სიმინდისა და სოიას რაიონების ყველა ოლქკომებს და რაიკომებს — მაქსიმალურად განავითარონ მუშაობის ეს ფორმები დამუშავება - გამარგვლისა და მოსავლის აღების კამპანიის დროს რაიონებს, კოლმეურნეობებს, ჯგუფებს, ბრიგადებს, ცალკე კოლმეურნეებსა და ინდივიდუალურ მეურნეობებს შორის.

17. ყველა საოლქო კომიტეტებმა, საქალაქო კომიტეტებმა და რაიკომებმა უზრუნველჰყონ დამუშავება - გამარგვლისა და მოსავლის აღების მთელი კამპანიის ჩატარება კოლმეურნეობებში სანარდო მუშაობის პრინციპების მტკიცედ დაცვით, საწარმოო თათბირებზე დაამუშაონ გამომუშავების სპეციალური ნორმები სოიას და სიმინდის სამუშაოთა შესახებ. ამასთან უნდა აიღონ გეზი საუკეთესო დამკვრელ კოლმეურნეზე და აწარმოონ გადამჭრელი ბრძოლა „გაუპიროვნების" წინააღმდეგ ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის გამოყენებაში.

18. ც. კ-ი აღნიშნავს ბეჭდვითი სიტყვის მეტად სუსტ მუშაობას დამუშავება-გამარგვლის კამპანიის როგორც ამოცანების, ისე მიმდინარეობის პოპულარიზაციის საქმეში, განსაკუთრებით სოიას და სიმინდის ხაზით, და წინადადებას აძლევს ყველა ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებს — ფართოდ გააშუქონ სოიასა და სიმინდის დამუშავება - გამარგვლის კამპანიის ამოცანები და მიმდინარეობა.

# საბჭოთა კავშირში

### ბერნარდ შოუ ელექტროქარხანაში

**მოსკოვი**, 23 ივლისი. 23 ივლისს ინგლისის მწერალმა ბერნარდ შოუმ თავის თანამგზავრებით ინახულა ელექტროქარხანა. ქარხანაში შოუ დიდხანს ესაუბრა დირექტორს უკოვს, რომელმაც უამბო მას ელექტროქარხნის მუშების ბრძოლის შესახებ ხუთ-წლედის 2 ნახ. წელიწადში შესრულებისთვის. შემდეგ უცხოელ სტუმრებს უჩვენეს ქარხნის უდიდესი საამქროები. ქარხნის ეზოში მოეწყო სახელდახელო მიტინგი. ტრიბუნიდან მუშები მიესალმენ შოუს. ამასთან მათ პროტესტი განაცხადეს ინგლისის პრესაში გავრცელებული ცილისწამების წინააღმდეგ იძულებითი შრომის შესახებ საბჭოთა კავშირში. შოუმ უპასუხა: „მე ძალიან მოხარული ვარ, ინგლისში შემოიღონ იძულებითი შრომა. მაშინ 2 მილიონი ინგლისელი უმუშევარი სამუშაოს იშოვის"-ო. წასვლის წინ შოუმ მიმართა მუშებს: „ამხანაგებო, ძალიან მოხარული ვარ, რომ ვხედავ აქ ასეთ ენტუზიაზმს. ინგლისში დაბრუნების შემდეგ ვეცდები დავარწმუნო ინგლისის მუშები, რომ გააკეთონ იგივე, რასაც თქვენ აკეთებთ აქ, რუსეთში" (ადს).

### აკრედიტივების განაღდება ვაგონ-რესტორანებში

**მოსკოვი**, 23 ივლისი. უახლოეს დღეებში დაიწყება აკრედიტივების განაღდება სწრაფი და ჩქარი მატარებლების ვაგონრესტორანებში. ეს საშუალებას მისცემს სწრაფი და ჩქარი მატარებლების მგზავრებს მიიღონ ფული ვაგონიდან გარეთ გაუსვლელად და განთავისუფლდნენ იმის საჭიროებისაგან, რომ გზაში თან იქონიონ ფულის დიდი თანხები (ადს).

### სოფლის კორესპონდენტი ქალის მკვლელობისათვის დახვრეტა

**ირკუტსკი**, 24 ივლისი. ალექსანდროვსკის რაიონში დამთავრდა საზოგადო მოღვაწე-მასწავლებლისა და სოფლის კორესპონდენტის სელენიევაიას მკვლელობის საქმის გამოძიება. სასამართლომ მკვლელებს —ხუთ კულაკსა და მოკულაკეს—დახვრეტა მიუსაჯა (ადს).

### ამხ. პიატაკოვი—საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

**მოსკოვი**, 24 ივლისი. საბჭოთა კავშირის ცაკმა ამხ. პიატაკოვი დაამტკიცა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ (ადს).

### ხიდი მდ. ანგარაზე

**ირკუტსკი**, 24 ივლისი. ირკუტსკში დაიწყო ანგარის ხიდის აგება. ეს ხიდი დაჯდება 4 ნახ. მილიონ მანეთად. თავისი სირთულით და სიდიდით იგი დაიჭერს მეხუთე ადგილს დედამიწაზე, ხოლო პირველს საბჭოთა კავშირში. 1932 წლის დამლევისათვის ხიდი მზად უნდა იყოს (ადს).

### უდიდესი საკონსერვო ფაბრიკა

**მოსკოვი**, 24 ივლისი. ნოვოროსისკში. სლავიანსკის სტანიცაში, ამ ცოტა ხანში დაიწყება საბჭოთა კავშირში უდიდესი საკონსერვო ფაბრიკის მშენებლობა. ფაბრიკა წელიწადში დაამზადებს 62 მილიონ ქილა კონსერვს (ადს).

# ანტიიმპერიალისტური დღის წინ

### ბურჟუაზიის რეპრესიები

**ვენა**, 23 ივლისი. ვენის პოლიციამ კონფისკაცია უყო კომპარტიის ანტი-იმპერიალისტურ მოწოდებას იმ საბაბით, რომ იგი მიუთითებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინტერვენციის მზადებაზე და შეიცავს საბჭოთა ავსტრიის ლოზუნგს (ადს).

**ვენა**, 23 ივლისი. ბუქარესტიდან იუწყებიან, რომ იქ 1-ლ აგვისტოს ანტისამხედრო დემონსტრაციების თავიდან აცილების მიზნით გრძელდება მუშებისა და გლეხების მასიური დევნა, პოლიციამ ბუქარესტის მუშათა უბნებში მასიური ჩხრეკა - დაპატიმრება მოახდინა.

კიშინიოვიდან იუწყებიან 60 მუშისა და გლეხის დაპატიმრების შესახებ (ადს).

# სრულიად ბულგარეთის ანტი-სამხედრო ფრონტი

**ვენა**, 23 ივლისი. სოფიაში დაარსდა სრულიად ბულგარეთის ანტისამხედრო კომიტეტი რევოლიუციონური მუშებისა და გლეხთა ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან. კომიტეტის მიზანია—მოამზადოს ანტისამხედრო გამოსვლები 1 აგვისტოსათვის.

# ინგლისში იზრდება უმუშევრობა

**ლონდონი**, 23 ივლისი. 13 ივლისისათვის აღრიცხვაზე აყვანილ უმუშევართა რიცხვი ინგლისში უდრიდა 2.642.669 კაცს, ესე იგი 8.401 კაცით აღემატებოდა გასული კვირის რიცხვს (ადს).

# ყველა რაიკოლმეურნკავშირებს

საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრის გამგეობა წინადადებას გაძლევთ უზრუნველჰყოთ ფართო ახსნა - განმარტებითი მუშაობის გაშლით კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა და საკოლმეურნეო სისტემის მუშაკთა მაქსიმალური მონაწილეობა „**კოლმეურნეობათა სოციალისტური შრომის დათვალიერებაში**", რაც გამოქვეყნებულია გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-ში ა.-წ. 16 ივლისს. გამოაცხადეთ შეჯიბრება რაიონებსა და კოლმეურნეობებს შორის გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-ს სახელობის დროშის მიღებაზე და ყოველმხრივ შეუწყვეთ ხელი დათვალიერების მნიშვნელობის პოპულარიზაციას კოლმეურნეთა შორის.

**საქართველოს კოლმეურნეცენტრის გამგეობა.**

# სამოქალაქო ავიაციის დეკადა

## ამხ. სტალინის სახელობის სარემონტო ქარხნის მუშებმა

### მიიღეს შეფობა თბილისის აერო-სადგურის მშენებლობაზე

გუშინ, საღამოს, პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში შესდგა ამხ. სტალინის სახელობის სარემონტო ქარხნის მუშათა მასიური კრება, რომელზედაც განხილულ იქნა საკითხი თბილისის საავიაციო სადგურის მშენებლობაზე შეფობის აღების შესახებ.

საერთო კრებამ ერთხმად დაადგინა, რომ თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებასთან ერთად ქარხნის მუშათა მთელი კოლექტი შეფად დაუდგეს საავიაციო სადგურის მშენებლობას და უზრუნველჰყონ მშენებლობის დამთავრება 15 დეკემბრამდე.

კრების ვრცელი ანგარიში გამოქვეყნებული იქნება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში.

### რა აბრკოლებს თბილისის აერო-სადგურის მშენებლობას

საქ. სახმრეწმშენმა, რომელიც ხელმძღვანელობს თბილისის აერო-სადგურის მშენებლობას, კვლავ ვერ შესძლო სამუშაოთა ისეთი ტემპით გაშლა, რომ უზრუნველყოფილად იქნეს ჩათვლილი სადგურის დანიშნულ ვადამდე დამთავრება.

მიუხედავათ მთელი რიგი გაფრთხილებებისა და მითითებებისა აერო-სადგურის მშენებლობა დღესაც არაა უზრუნველყოფილი მომზადებული და კვალიფიციური ტეხნიკური პერსონალით. მშენებლობის მწარმოებლად დანიშნულია ტეხნიკოსი, მაშინ, როდესაც ამ დიდი საქმის სახელმძღვანელოთ საჭიროა გამოცდილი ინჟენერი. მრავალჯერ იყო აღძრული საკითხი იმის შესახებ, რომ ტეხნიკის მაგიერ დაენიშნათ ინჟენერი, მაგრამ ამ საკითხს სახმრეწმშენი ყურადღებასაც არ აქცევს.

აერო-სადგურის მშენებლობის უშუალო ხელმძღვანელებს დღემდე არ გააჩნიათ სამუშაო წარმოების მტკიცე კალენდარული გეგმაც კი. მათ არ იციან რა სამუშაოები უნდა შეასრულონ დღეს და რა სამუშაოები ხვალ. ეს გარემოება აბრკოლებს, სხვათა შორის, წითელი შაბათობების ჩატარებას. შაბათობების უფრო მიზანშეწონილად გამოყენება შესაძლებელი და სასურველია, მაგრამ ხშირად ისეთი მდგომარეობაა, რომ არცი კი იციან თუ რა სამუშაო მისცენ შესასრულებლად შაბათობის ჩასატარებლად მოსულ მუშათა ჯგუფებს.

სახმრეწმშენის ხელმძღვანელები არავითარ ზომებს არ ღებულობენ იმისათვის, რომ უზრუნველყონ აერო-სადგურის მშენებლობა. დროა, ეხლა მაინც მიაქციონ მათ ყურადღება აერო-სადგურის მშენებლობის მდგომარეობას. დაუყოვნებლივ მოხსნან სამუშაოთა მწარმოებლის თანამდებობიდან ტეხნიკოსი და მის მაგიერ გაგზავნონ ერთი-ერთი გამოცდილი მცხებელი ინჟენერი. სახმრეწმშენის ხელმძღვანელებმა უნდა შეიგნონ ის გარემოება, რომ თბილისის აერო-სადგურის მშენებლობა ერთი საპასუხისმგებლო ობიექტთაგანია და თუ მათ უფრო ნაკლები მნიშვნელობის მშენებლობისათვის ყავთ ინჟენერები, აერო-სადგურის მშენებლობამ რა დაუშავა?

### მუშა-ხელის მომარაგებაზე არავინ ფიქრობს

სამოქალაქო ავიაციის დეკადის დასაწყისიდანვე ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებმა მტკიცე დაპირება მისცეს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს, რომ აერო-სადგურის მშენებლობას უზრუნველყოფდნენ მუშა-ხელით. ა.-კ. სახ. კომისარიატში, დეკადის ჩატარებასთან დაკავშირებით სპეციალური თათბირიც კი გაიმართა.

თათბირი და თათბირის დადგენილებები დავიწყებას მიეცა, აერო-სადგურის საამშენებლო სამუშაოებისათვის, მუშა-ხელის ახალი კადრები არავის გაუგზავნია და საამშენებლო სამუშაოთა შესაფერისად გაშლა ჯერ კიდევ დაბრკოლებულია.

იმისათვის, რომ სადგურის მშენებლობა 1932 წლის 1-ლი იანვრისათვის მაინც იქნეს დამთავრებული საჭიროა, რომ მარტო მიწის სამუშაოებზე, ამჟამად, ყოველდღიურად მუშაობდეს არა ნაკლებ 100 კაცისა ფაქტიურად მიწის სამუშაოებზე დღეს მუშაობს მხოლოდ 17 კაცი.

შრომის ორგანოების უყურადღებობის წყალობით სამუშაოთა წარმოება მაინც არ იქნებოდა დაჩქარებული, სახმრეწმშენს რომ იქ კიდეც დაენიშნა მაღალი კვალიფიკაციის ტეხნიკოსი.

### პროექტების დამმუშავებელი სპეციალისტები მაგალითს იძლევიან

სახმრეწმშენის საპროექტო ბიუროს სპეციალისტებმა მოიწვიეს თათბირი, სადაც განხილული იყო საკითხი აერო-სადგურის მშენებლობის პროექტებით უზრუნველყოფის შესახებ.

სახმრეწმშენის პროექტების დამმუშავებელმა სპეციალისტებმა შეფობა აიღეს თბილისის აერო-სადგურის საპროექტო სამუშაოებზე და დაადგინეს, რომ სადგურის ცალკე ნაგებობები ვადაზე ნაადრევათ უზრუნველყონ პროექტებით.

სპეციალისტებმა ამასთანავე ერთად დაადგინეს, რომ იმ სამუშაოების პროექტები, სადაც ამჟამად უკვე სწარმოებს მშენებლობა დამუშავებულ იქნეს რიგს გარეშე და ისეთი ვარაუდით, რომ პროექტების დამუშავებით არ დაბრკოლდეს სამუშაოთა შესრულება.

თბ. აერო-სადგურის მშენებლობის მსვლელობის შესახებ მოსმენილი ცნობიდან გამოირკვა, რომ საამშენებლო სამუშაოები სავსებით უზრუნველყოფილი არიან მასალებით, სურსათ-სანოვაგით, კრედიტებით და სხვ. არაა მხოლოდ მუშა-ხელი და სუსტია ტეხნიკური ხელმძღვანელობა.

### შეგროვილია 314.670 მანეთი

თავდაცვა - ავიაქიმის ა.-კ. საბჭოში მიღებული ცნობების მიხედვით, სამოქალაქო ავიაციის მშენებლობის ფონდის გასაძლიერებლად თანხების შეგროვება წარმატებით მიმდინარეობს.

დეკადის დასაწყისამდე ამიერ - კავკასიაში სულ შეგროვილი იყო 314.670 მანეთი. აქედან, დირიჟაბლთმშენებლობის ფონდის გასაძლიერებლად შეგროვილი იყო 240.241 მანეთი, ამხ. ვანო სტურუას სახელობის აეროპლანის სასარგებლოდ შეგროვილი იქნა 54.000 მან., რაც უკვე გადაგზავნა დანიშნულებისამებრ აეროპლანის გასაკეთებლად. შემდეგ ამხ. ვანო სტურუას სახელობის მეორე აეროპლანის ასაგები ფონდის გასაძლიერებლად დამატებით იქნა შეგროვილი 17.020 მანეთი.

დეკადის დასაწყისიდან თანხების შეგროვება კიდევ უფრო გაძლიერდა, მაგრამ ვინაიდან ყველა თანხები ჯერ-ჯერობით კიდევ არაა ერთად შეგროვილი, ამიტომ მათი რაოდენობის გამოკვლევაც ძნელია.

ავიაციის ფონდის გასაძლიერებლად დეკადის დასაწყისამდე, თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების ინიციატივით შეგროვილი იყო 3.408 მანეთი.

### რკინის გზის ორგანიზაციები ჯერ კიდევ არ ჩაბმულან სამოქალაქო ავიაციის დეკადაში

თავდაცვა-ავიაქიმის ამიერ-კავკასიის საგზაო კომიტეტში ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს განუცხადეს: „არავითარი დირექტივა რკინის გზელების მონაწილეობის შესახებ სამოქალაქო ავიაციის დეკადაში საბჭოს არ მიუღია". ამავე დროს გამოირკვა, რომ ამიერ-კავკასიის თავდაცვა ავიაქიმის სათანადო დირექტივა კომიტეტში მიღებულ იქნა 14 ივლისს, მაგრამ იგი დაუკარგავს საგზაო კომიტეტის ერთ-ერთ თანამშრომელს. ამნაირი აღმაშფოთებელი დაუდევრობისა და თვითმდინარეობაზე დაყრდნობის წყალობით ა.-კ. რკინის გზების ორგანიზაციები ჯერ კიდევ განზე სდგანან სამოქალაქო ავიაციის დეკადისაგან. რკინის გზის პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაც ნაკლებად ზრუნავს დეკადაში მონაწილეობისათვის. დღემდი მას არავითარი დირექტივა არ მიუცია ადგილკომების ხაზით, ყველა ამ მიზეზის გამო ასეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანია თვითმდინარეობის ანაზარათაა მიტოვებული. (ადს).

### საქ. ავიამოდელისტების შეკრების შედეგები

20-დან 24 ივლისამდე, სოფ. ქვიშხეთში ჩატარებულ იქნა სრულიად საქართველოს ავია-მოდელისტების მორიგი შეკრება. შეკრებაზე თავი მოიყარეს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსულმა 30 ავიამოდელისტმა.

23 ივლისს, შეკრების მონაწილეთა შორის დაწყებულ იქნა შეჯიბრება ავიამოდელების ფრენაში. საუკეთესო მიღწევები გამოამჟღავნა ამხ. კრუპინის (თბილისი) მოდელმა, რომელიც დაუბრკოლებლივ ერთი [illegible] წერტილიდან აფრინდა. და ჰაერში დაჰყო ერთ წუთზე მეტს. აღნიშნულმა მოდელმა მოგვცა ფრენის საუკეთესო კლასის ნიმუშები.

კრუპინის მოდელს მიესაჯა 1-ლი ჯილდო.

მეორე ჯილდო მიიღო ქუთაისელ კონსტრუქტორი ამხ. რენკეს მოდელმა, რომელმაც ჰაერში დაჰყო 16.48 წამი.

შეჯიბრების ჩატარება დააბრკოლა ქარმა.

### ავია - მოდელისტების საკავშირო შეკრება

ვინაიდან უკვე მოახლოებულია ავია-მოდელისტების საკავშირო შეჯიბრების ვადა, ამიტომ თავდაცვა-ავიაქიმის ა.-კ. საბჭოს დადგენილებით მოდელისტების ა.-კ. შეკრება გადადებულია შემდეგისათვის.

საკავშირო შეკრება დანიშნულია 5 აგვისტოსათვის მოსკოვში. ამიერ-კავკასიიდან შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებათ იგზავნება 9 საუკეთესო ავია-მოდელისტი.

### თამბაქოს მუშები აგროვებენ თანხებს

თბილისის თამბაქოს მეორე ფაბრიკის მუშები შეუდგნენ თანხების შეგროვებას სამოქალაქო ავიაციის მშენებლობის ფონდის გასაძლიერებლად.

თანხების შეგროვებას ხელმძღვანელობენ ქვედა საფეხურის პროფორგანიზაციები და დამკვრელ მუშათა საძმოები.

### ერთი დღის ხელფასი სამოქალაქო ავიაციას

თვალსაჩინო ხელმძღვანელობის ფაბრიკის მუშებმა გადასწყვიტეს სამოქალაქო ავიაციის ფონდის გასაძლიერებლად გადასდონ ერთი დღის ხელფასი და ამას გარდა ერთ-ერთი უახლოესი გამოსასვლელი დღე გამოიყენონ თბილისის აეროსადგურის საამშენებლო სამუშაოზე ადგილზე წითელი შაბათობის მოსაწყობათ.

### სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვევა

სამოქალაქო ავიაციის ა.-კ. სამმართველომ მიიღო სამოქალაქო ავიაციის უკრაინის სამმართველოს გამოწვევა დეკადის უკეთ ჩატარებაზე. შეჯიბრების განსახორციელებლად ა.-კ. სამმართველომ შეიმუშავა ღონისძიებები დეკადის მსვლელობის გასაცხოველებლად ამიერ-კავკასიაში.

# მტკიცედ დაუკავშიროთ ერთმანეთს

## პურის აკრეფა-გალეწვის და დამზადების სამუშაოები

## დავიცვათ მოსავალი ხანძრისაგან

### საწყობების მშენებლობა უნდა დაჩქარდეს

მომარაგების კომისარიატის ცნობით, პურეულის საწყობების მშენებლობა შემდეგ სურათს იძლევა: მემინდვრეობა-მესაქონლეობის კავშირი წელს საწყობების აგებას არ შესდგომია თანხების უქონლობის გამო. „სოიუზხლები" გორში აშენებს საწყობს 20.000 ფუთი ხორბლეულის ტევადობით. საწყობის მშენებლობა საამშენებლო მასალით უზრუნველყოფილია. საწყობი მზად იქნება 15 აგვისტოსათვის.

მანვე ლანჩხუთში უნდა ააგოს საწყობი 25.000 ფუთის ტევადობით. გეგმის თანახმად მშენებლობა 15 სექტემბერს უნდა დამთავრდეს, მაგრამ საამშენებლო მასალის უქონლობის გამო მშენებლობა ჯერ დაწყებული არ არის.

აბაშაში შენდება საწყობი 30.000 ფუთის ტევადობით, მასალები საკმაო რაოდენობით არის მომარაგებული, მშენებლობა დამთავრდება 15 სექტემბერს.

„სოიუზხლებ"-მა გეგმის თანახმად საწყობები უნდა ააშენოს აგრეთვე ზუგდიდში და სამტრედიაში, მაგრამ ვინაიდან ამავე პუნქტებში არსებული ცეკავშირის საწყობები უნდა გადაეცეს „სოიუზხლებ"-ს, ამიტომ საკითხი ჯერ ღიათ არის დატოვებული.

გარდა ამისა საკავშირო მომარაგების კომისარიატის დადგენილებით „სოიუზხლებ"-მა დასავლეთ საქართველოში სოიასა და სიმინდისათვის უნდა ააგოს 20 ახალი საწყობი.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ დასახული მშენებლობის გეგმა საამშენებლო მასალით უზრუნველყოფილი არ არის. ამ საკითხს ეხლავე ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს. „სოიუზხლებ"-მა დროზე უნდა მიიღოს ზომები ამ მასალის მოსამარაგებლად, რომ საწყობების მშენებლობის გეგმა დროზე და მთლიანად შესრულდეს.

### პურის დამზადების მიმდინარეობის შემოწმება

პურეულის მკის, თივის აკრეფის, პურის და თივის დამზადების კამპანიის მსვლელობის შესამოწმებლად **საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოყო სპეციალური** ბრიგადა კოოპერატიულ და სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენლებისაგან, რომლებიც შემოივლიან რაიონებს და ადგილობრივ გამოიკვლევენ საქმის მდგომარეობას.

კომისია რაიონებში გაემგზავრა 23 და 24 ივლისს. გამოკვლევა გასტანს აგვისტოს დამლევამდე.

### ცეცხლი გაუჩნდა პურის ზვინს

**წნორის წყალი**, 23 ივლისი. 23 ივლისს ცეცხლი გაუჩნდა ალაზნის ველის სოფ. ვაქირის სტალინის სახელობის სას.-სამ. არტელის პურის ზვინს. ცეცხლი შთანთქვას უქადდა არტელის 2500 ფუთ პურის მოსავალს. ადგილობრივ ხელისუფლებამ და პარტიულმა ორგანიზაციებმა რაიონიდან ჩამოსულ ამხანაგების გ. ბაგაშვილის და ი. ჯავაშვილის მეთაურობით სასწრ. ზომები მიიღეს ხანძრის წინააღმდეგ და ცეცხლი დროზე ჩაქრობილ იქნა. დაზიანდა სულ 500 ფუთი ხორბალი და ცეცხლისაგან გადარჩენილ იქნა 2 ათასი ფუთი პური და სალეწი მანქანები.

ი. შუშტაკაშვილი.

### მკა გაჩაღდა

**გორი**, 23 ივლისი. გორის რაიონში დაიწყო პურეულის მასიური მკა. სოფ. უფლისციხეში, ახალ სოფელში, სკრაში და ხელთუბანში პურეულის ნათესების უმეტესი ნაწილი გათიბულია. დაწყებულია მასიური ლეწვა. დასამზადებელ პურეულის პირველ ნაწილს კოლმეურნეები სამ დღეში ჩააბარებენ დამამზადებელ ორგანიზაციას.

ვ. სიხარულიძე.

### 8 სალეწი მანქანიდან მხოლოდ 2 მუშაობს

(აფენის რაიონი)

პურეულის მკის დროს აფენის თემში ფართოდ არის გამოყენებული შრომის სოციალისტური მეთოდები—სოცშეჯიბრება და დამკვრელობა, რის გამოც პურეულის მკა წარმატებით მიმდინარეობს. აღსანიშნავია ოხი ქალების აქტივობა. სოფ. ზემო ქედხიანში, ქვემო-ქედხიანში და არიშ ფერანის კომუნაში ქალები სოც. შეჯიბრებაში სჯობნიან კიდეც მამაკაცებს.

პურეულის გალეწვა თემში დაგვიანებით დაიწყო. თემში არსებულ 8 სალეწი მანქანიდან მხოლოდ 4 ცალი მუშაობს. დანარჩენი მანქანები შეუკეთებელია. ადგილობრივი სატრაქტორო კოლონა არ ღებულობს ზომებს სალეწი მანქანების შესაკეთებლად.

სოფ. არეშფერანის კომუნა 26 ივლისს წითელი ქარავნით ჩააბარებს დამამზადებელ პუნქტს პურის პირველ პარტიას.

ვ. გალოვაძე, ვ. ბრეგაძე, გ. ჯანელიძე.

ყარაიაში, თივის შესაგროვებელ ცხენის ფოცხს ამუშავებენ ტრაქტორებით

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხელფასის გათანასწორება და მანქანების გაუპიროვნება—წარმოების მტერია

## მოვაწესრიგოთ შრომა და ხელფასი, გავაძლიეროთ პასუხისმგებლობა დაზგებისათვის, შევქმნათ პირობები შრომის ნაყოფიერების უფრო მაღალ საფეხურზე ასაყვანად

**„შემოღებულ უნდა იქნეს ტარიფების ისეთი სისტემა, რომელიც ანგარიშს გაუწევს განსხვავებას კვალიფიციურ შრომასა და არაკვალიფიციურ შრომას შორის, მძიმე შრომასა და მსუბუქ შრომას შორის. დაუშვებელია, რომ მტკეცავი შავ მეტალურგიაში იმდენსავე იღებდეს, რამდენსაც დამგველი იღებს“**

ი. სტალინი.

## ბელადის დირექტივა უნდა შესრულდეს

ჩვენი ქვეყნის სოციალიზმის პერიოდში შესვლასთან დაკავშირებით, სოციალისტურ საწარმოებში შრომის და წარმოების პროცესების ორგანიზაციის საკითხები, ცენტრალურ საკითხებად გახდნენ, მათ წესიერ გადაჭრაზე ბევრად არის დამოკიდებული განვითარების შემდგომი ტემპების დაჩქარება. წარმოების პროცესია კაპიტალისტურ სოციალისტური ტიპის ორგანიზაციის საფუძველზე, როდესაც მუშა საწ-ში მანქანის უბრალო დამატებიდან სოციალიზმის დროს, ხდება ამ პროცესის შეგნებული ხელმძღვანელი, მისი შეგნებული მმართველი, სრულებით იცვლება შრომის როლი. როგორც ამხ. ლენინი შენიშნავდა შრომის ბატონყმური და ფეოდალური ორგანიზაცია კეტის დისციპლინას ეყრდნობოდა, ხოლო შრომის კაპიტალისტური ორგანიზაცია დაყრდნობილია შიმშილზე. სადაც მშრომელთა დიდი მასები დაქირავებულ მონების სახით გამოდიან კაპიტალიზმის სამსახურში. რადიკალურად იცვლება მდგომარეობა კომუნიზმის დროს, როდესაც „საზოგადოებრივი შრომის კომუნისტური ორგანიზაცია, რომელშიაც პირველ ნაბიჯს წარმოადგენს სოციალიზმი, ეყრდნობა და მომავალში უფრო მეტად დაეყრდნობა თვითონ მშრომელთა შეგნებულ და თავისუფალ დისციპლინას“ (ლენინი). მშრომელთა მილიონების ამ თავისუფალ და შეგნებულ შრომის დისციპლინის საფუძველზე ახალ, უფრო მაღალი შრომის ნაყოფიერების საფუძველზე კომუნისტური საზოგადოების შექმნაში ხედავდა ამხ. ლენინი კომუნიზმის გამარჯვების აუცილებლობას. განვითარების დღევანდელ ეტაპზე, სოციალიზმის პერიოდში შესვლასთან დაკავშირებით შრომის სწორი ორგანიზაცია, და შრომის ნაყოფიერების გაზრდა გადაუდებელი ამოცანა არის, რადგან კომუნიზმის გამარჯვების უზრუნველყოფა მხოლოდ უფრო მაღალი შრომის ნაყოფიერების მიღწევით შეიძლება, ვიდრე ეს ქონდა კაპიტალიზმს. მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისათვის ჩვენს საწარმოებში სანარდო სისტემის გატარება წარმოადგენს მუშაობის სწორ სისტემის შემოღება, რომელიც ჩვენს საწარმოთა დიდ უმრავლესობებში გატარებულია და ამჟამად ტარდება წარმოადგენს იმ საფუძველს, რომელზედაც უნდა მოხდეს შრომის ნაყოფიერების გაზრდა. უკანასკნელ ხანებში ჩვენი სახალხო მეურნეობის რაოდენობრივ ზრდასთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვან ამოცანად სდგას მისი თვისობრივი ზრდის გაუმჯობესების და მრეწველობის და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლების საკითხი. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელოვან საშუალებას შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად სწორედ სანარდო სისტემის გატარება, მუშათა ფართო მასებში მისი დანერგვა წარმოადგენს. თბილისის მთელ რიგ საწარმოებში უკვე მიღწეულია მუშაობის სანარდო სისტემაზე მუშათა 70-80 პროცენტის გადაყვანა; თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ამ საქმეს ახლავს ბევრი ნაკლი, რომელთა დროზე გამოსწორების გარეშე შემდგომი წინსვლა ძნელი გახდება. ერთ-ერთ ასეთ ნაკლს წარმოადგენს ზოგიერთი ცდები, ინდივიდუალურ და კოლექტიურ სანარდო სისტემის დაპირისპირებისა, რომელსაც ხშირად აქვს ადგილი. სამეურნეო და პროფმუშაკების ერთი ნაწილი დღემდე ცდილობს ერთმანეთს დაუპირისპიროს სანარდო სისტემის ინდივიდუალური და კოლექტიური ფორმა, დასახონ ისინი, როგორც შეუთავსებელნი. ამ ამხანაგების საყურადღებოდ უნდა განვაცხადოთ, რომ ასეთი დაპირდაპირება მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს და ცუდი მემარჯვენე პრაქტიკის „მემარცხენე“ გამოხატულებას წარმოადგენს. სანარდო სისტემის შემოღება და მუშათა ბრიგადების გადაყვანა მუშაობის კოლექტიურ სანარდო სისტემაზე ერთი წუთითაც არ უარყოფს ბრძოლას შიგნით ინდივიდუალურ სანარდო სისტემის გატარებას, რომელიც ბრიგადის მიერ შრომის ნაყოფიერების შემდგომი გაზრდის კოლექტიური საფუძველი იქნება. ამიტომ ძირშივე უნდა აღკვეთოთ ასეთი ოპორტუნისტული ცდები სანარდო სისტემის ამ ორ ფორმის დაპირისპირებითი ფორმებს, რომლებიც ერთმანეთის დამატებას და სრულყოფას წარმოადგენენ და რომლებიც ჯანსაღიულებული სახის სანარდო სისტემას ქმნიან. მეორე ნაკლი, რომელიც თბილისის საწარმოებში სანარდო სისტემის გატარებას ახასიათებს, ეს არის ნარდით მუშაობის აღრიცხვა „საშუალოდ“ და არა საუკეთესო მუშა-დამკვრელთა მუშაობის მაგალითის მიხედვით. სანარდო მუშაობის შედეგებს და ნარდი მუშაობის პირობებში გამომუშავების ნორმებს ჩვენს საწარმოებში ხშირად აწესებენ საშუალო მუშის და საშუალო კვალიფიკაციის მიხედვით, რაც სრულიად უკარგავს განვითარების და მუშაობის ხარისხის ამაღლების სტიმულს ნაკლებ ან არაკვალიფიციურ მუშებს. უახლოეს ხანში ჩვენ უნდა მივაღწიოთ სანარდო მუშაობის შედეგების საუკეთესო დამკვრელ მუშის მუშაობის მიხედვით აღრიცხვას და ჩვენ მუშაობას მომავალში საუკეთესო დამკვრელის მუშაობა უნდა დაედვას საფუძვლად.

ჩვენს საწარმოებში შრომის ორგანიზაციის მნიშვნელოვან მომენტს ხელფასის ძველი სატარიფო სისტემის შეცვლის საკითხი წარმოადგენს, როგორც სამეურნეო მუშაკთა თათბირზე ამხ. სტალინი აღნიშნავდა ჩვენი საწარმოო პროგრამების განხორციელების ერთ-ერთ ხელისშემშლელ მიზეზს ხელფასის ანაზღაურების საკითხის მოუწესრიგებლობა წარმოადგენს. ჩვენი ქვეყნის სოციალიზმის პერიოდში შესვლასთან დაკავშირებით, როგორც სხვა ისე ამ საკითხშიც თავი იჩინა, ზოგიერთ მიღწევების თავბრუდასხმულთა „მომემარცხენო“ ოპორტუნისტული ხასიათის ცდებმა „მოთხოვნილების მიხედვით განაწილების“ შესახებ, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა არაკვალიფიციურ და კვალიფიციურ მუშათა ხელფასის გათანასწორების „მომემარცხენო“ ტენდენციებში. უკანასკნელ ხანებში მრეწველობაში შემჩნეული მუშა-ხელის ცვალებადობა სწორედ ამ გარემოებით არის გამოწვეული. „მომემარცხენო“ ოპორტუნისტების მიერ დავიწყებულ იქნა ამხ. ლენინის გარკვეული მითითება სოციალიზმის პერიოდში „სანარდო ხელფასის პრაქტიკულად გამოცდის და გამოყენების“ შესახებ. (იხ. ლენინი, „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“ ტ. 15). ამ გარკვეული მითითების წინააღმდეგ ზოგიერთ სამეურნეო მუშაკებმა დღესვე მოინდომეს ხელფასის საყოველთაო გათანასწორების მიღწევა და ამით ხელი შეუწყვეს მუშათა დენადობის ზრდას. თბილისის საწარმოების მუშაობა ასეთ „მომემარცხენო“ ტენდენციების საკმაო ბევრ ფაქტებს იძლევა. შევჩერდეთ რამოდენიმე მათგანზე. თბილისის სხვადასხვა საწარმოთა შორის ადგილი აქვს ერთი და იგივე კვალიფიკაციის მუშათა ხელფასის ძალიან დიდ განსხვავებას. მაგ.: ორჯონიკიძის სახელობის სალითონო ქარხნის ზეინკალი მერვე თანრიგით საათში იღებს 1 მან. და 22 კაპ., ხოლო, 26 კომუნარის სახელობის ქარხნის ზეინკალი იმავე თანრიგით საათში იღებს—1 მან. და 3 კაპ. იგივე ზეინკალი მერვე თანრიგით სტალინის სახელობის ავტო სახელოსნოებში საათში 1 მან. და 91 კაპიკს იღებს. ასეთ ჭრელ სურათს ერთი და იგივე კვალიფიკაციის მუშათა ხელფასში ძალიან ხშირად შევხვდებით. ხშირად ადგილი აქვს ისეთ ფაქტებსაც, როდესაც ნაკლებ კვალიფიციური მუშის ხელფასი ბევრად აღემატება შედარებით უფრო მეტად კვალიფიციურ მუშის ხელფასს. მაგ. სტალინის სახელობის ავტო-სახელოსნოებში ნაკლები კვალიფიკაციის ზეინკალის ხელფასი საათში 2 მან. და 10 კაპ. უდრის, ხოლო უფრო მეტი კვალიფიკაციის ზეინკლის ხელფასი იქვე საათში 1 მან. და 91 კაპ. არ აღემატება. არის მთელი რიგი ფაქტებისა, როდესაც მსუბუქ შრომაში იღებენ უფრო მეტს ვიდრე მძიმე კვალიფიციურ შრომაში. მაგ. სტალინის სახელობის სარემონტო ქარხანაში მსუბუქი სამუშაოს შემსრულებელი უროს დამრტყმელი დღეში 5 მან. და 83 კაპ. იღებს, ხოლო უფრო მძიმე სამუშაოს შემსრულებელი მჭედელი კი—4 მან. და 24 კაპ. თუ უფრო დაწვრილებით გადავხედავთ ჩვენს საწარმოთა მუშაობას აღმოვაჩენთ ისეთ ფაქტებსაც, როდესაც კვალიფიციურ მუშათა ხელფასს ბევრად აღემატება არაკვალიფიციურ შავ მუშათა ხელფასი. ასეთ ფაქტებს ადგილი აქვს თბილისის თითქმის ყველა საწარმოში. მაგ. მაუდის ფაბრიკაში ნაგვის გადამყრელის ხელფასი თვეში 56 მანეთს უდრიდა, ხოლო კვალიფიციურ ფეიქრის ხელფასი კი ხშირად 56 მანეთზე ნაკლები იყო. ან და სარემონტო ქარხნის მაგალითი ავიღოთ, სადაც ივნისში კვალიფიციურ მუშაზე ზეინკალმა მე-4 თანრიგით მიიღო 92 მანეთი, ხოლო სრულიად არაკვალიფიციურმა შავ მუშამ—106 მანეთი მიიღო. იმავე სარემონტო ქარხანაში მეოთხე თანრიგით ეძლევათ 62 მანეთი და 15 კაპ. როგორც ზეინკალს ისე შავმუშას. ეს ფაქტები ცხადად ლაპარაკობენ თბილისის საწარმოთა „მომემარცხენო“ ოპორტუნისტულ პრაქტიკაზე ხელფასის საკითხში. ადგილობრივი ორგანიზაციები ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ და ამხ. სტალინის მითითებათა შესასრულებლად დღემდე ყურსაც არ იბერტყენ. ხელფასის ასეთ გათანასწორების გამო აქვს ადგილი თბილისის საწარმოებში მუშათა დიდ დენადობას, კვალიფიციურ მუშის სირბილს ქარხნიდან-ქარხანაში, სანამ მის შრომას შესაფერისად არ აანაზღაურებენ. ამის საუკეთესო მაგალითს კამოს სახ. საქარხნო-საფაბრიკო სკოლის დამთავრებულთა ისტორია წარმოადგენს. ამ ახალგაზრდებს, რომლებმაც სკოლა დაამთავრეს და განსაზღვრული კვალიფიკაცია მიიღეს თბილისის ზოგიერთ საწარმოებში დაუნიშნეს თვიურად ხელფასი 48 მანეთის რაოდენობით, იმ დროს, როდესაც მათ სკოლაში თვეში 50 მანეთი ქონდათ. საწარმოთა ხელმძღვანელების ასეთი მოპყრობა ახალგაზრდა კვალიფიციურ მუშებისადმი ჩვენ მიგვაჩნია ყოვლად დაუშვებლად. ძველი სატარიფო სისტემის ძირშივე აღკვეთისათვის და ახალი პროგრესიულ-პრემიალური სისტემის შემოღებისათვის თბილისის საწარმოებში დღემდე არ გაშლილა საჭირო მუშაობა და იგი თვითდინებაზე არის დამყარებული.

ამ მდგომარეობას დაუყოვნებლივ უნდა მოეღოს ბოლო და სასწრაფოდ გაიშალოს მუშაობა ძველი სატარიფო სისტემის შესაცვლელად. ამით ჩვენ სულ მოკლე ხანში მივაღწევთ მუშათა დენადობის და მუშა-ხელის ცვალებადობის მოსპობას და არაკვალიფიციურ მუშებს შეუქმნით კვალიფიკაციის მიღების სტიმულს. თბილისის საწარმოთა ზოგიერთ სამეურნეო და საანგარიშო მუშაკებში დღემდე ადგილი აქვს შემცდარ მოსაზრებებს, თითქო არსებულ პირობებში როდესაც ხელფასისთვის განსაზღვრული საგეგმო ლიმიტები არსებობს, შეუძლებელი იყოს ხელფასის პროგრესიულ-კოლექტიურ სისტემის შემოღება. ორჯონიკიძეს სახელობის სალითონო ქარხანაში სამეურნეო და საანგარიშო მუშაკებმა პირდაპირ განაცხადეს: „ხელფასისათვის ჩვენ მოცემული გვაქვს განსაზღვრული ფონდი და მისი საფუძველზე ახალი სისტემის შემოღება შეუძლებელია“-ო. ასეთ განცხადებებს, რომლებიც ოპორტუნიზმის ცუდ გამოხატულებას წარმოადგენს, მაგრად უნდა დავარტყათ და ეხლავე მივაღწიოთ მუშათა მასების ყურადღების და ინიციატივის დარაზმვას ხელფასის ძველი სისტემის გაუქმებისა და მისი პროგრესიულ-კოლექტ. სისტემით შეცვლის გარშემო. უახლოეს ხანში, სანარდო სისტემის გატარების საფუძველზე ჩვენ უნდა მივაღწიოთ ისეთ სატარიფო სისტემის შემოღებას, „რომელიც ანგარიშს გაუწევს განსხვავებას კვალიფიციურ შრომასა და არაკვალიფიციურ შრომას შორის, მძიმე შრომასა და მსუბუქ შრომას შორის“ (სტალინი). ასეთია მიმდინარე მომენტის ანალიზის საფუძველზე მოცემული ბელადის დირექტივა, რომელიც განაღდებულ უნდა იქნეს.

ვ. გ—ლი.

## ხელფასის მოწესრიგების საკითხი მივიწყებულია

### (სარემონტო ქარხანა)

ის დიდი გარღვევები, რომელიც პირველ და მეორე კვარტალში სტალინის სახელობის სარემონტო ქარხანას ქონდა, სხვა მიზეზებთან ერთად გაუპიროვნების არსებობით და ხელფასის სისტემის მოუწესრიგებლობითაც აიხსნება. დღემდე არ არის გატარებული გაუპიროვნების ნამდვილი მოსპობა და არის ხშირი შემთხვევები მანქანებისა და იარაღებისადმი დაუდევარი მოპყრობისა.

ხელფასის მოწესრიგების საქმეც ვერ სდგას ქარხანაში საჭირო სიმაღლეზე, საანგარიშო აპარატის და ქრონომეტრაჟის სუსტი მუშაობის გამო შექმნილია ხელფასის „მოწესრიგების“ ისეთი სისტემა, როდესაც არაკვალიფიციურ მუშებს სრულიად ეკარგებათ კვალიფიკაციის ამაღლების და ტეხნიკის დაუფლების სურვილი, რადგან ისინი უამისოდაც იღებენ მაღალ ხელფასს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ისეთ ფაქტებს ქარხანაში ძალიან ხშირად აქვს ადგილი, ხოლო ქარხნის შრომის ეკონომიკის განყოფილებამ ამის შესახებ არაფერი იცის. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ცხადყოფს საანგარიშო აპარატის სუსტ მუშაობას. ერთი და იგივე კვალიფიკაციის მუშათა ხელფასის სიჭრელე ქარხანაში არც ისე იშვიათი მოვლენაა. მაგ. ქარხნის სავაგონო საამქროში მომუშავე დურგალი ივნისში საათში იღებდა 1 მან. და 3 კაპ., ხოლო სადურგლო საამქროში მომუშავე დურგალი კი იღებდა — 1 მან. და 8 კაპ. ადგილი აქვს ისეთ ფაქტებსაც, როდესაც უფრო მსუბუქ შრომაში მეტს იღებენ, ვიდრე მძიმე შრომაში. მაგ. ამწყობ საამქროში იენისში ზეინკალმა მიიღო — საათში 83 კაპ. ხოლო სალითონო საამქროში კი ჩამომსხმელმა მიიღო — 87 კაპეიკი. ქარხანაში ხშირია შემთხვევები, როდესაც კვალიფიციური მუშა ზეინკალი და უბრალო შავი მუშა ხელფასს იღებენ მეოთხე, ხშირად კი მესამე თანრიგით; 62 მან. და 15 კაპ. იღებს მაღალი კვალიფიკაციის მუშა ზეინკალიც და უბრალო შავი მუშაც, ორივე ხელფასსა იღებს მეოთხე თანრიგით.

ქარხანაში ადგილი აქვს ისეთ ფაქტებსაც, როდესაც შავი მუშა მეტს იღებს, ვიდრე კვალიფიციური მუშა. მაგალითად: ივნისში მე-4 თანრიგით ზეინკალმა გამოიმუშავა 92 მანეთი, ხოლო მეხუთე თანრიგით 105 მანეთი. იმავე ივნისში მეთითბრემ, რომელიც მძიმე სამუშაოს ასრულებს მეოთხე თანრიგით გამოიმუშავა 89 მანეთი, ხოლო მეხუთე თანრიგით 101 მან. და 67 კაპ. ამავე დროს არსებულ სატარიფო სისტემის წყალობით ივნისში საბორბლო - სახარატო საამქროს შავ მუშამ მეოთხე თანრიგით 106 მანეთი გამოიმუშავა. ასეთ ფაქტებს ქარხანაში ძალიან ხშირად შევხვდებით, მაგრამ მათ წინააღმდეგ ზომებს დღემდე არავის იღებს.

უფრო მოუწესრიგებელია მუშებისათვის ხელფასის დარიგების საქმე. ქარხანაში შემოღებულ საანგარიშო ფურცლების წყალობით (ფორმა № 113), რომელიც ხელფასის მიღებამდე 3 დღით ადრე ურიგდებათ მუშებს, მათ უხდიბათ 3-4 ოპერაციის გადატანა, რომ მიიღონ კუთვნილი ხელფასი.

ამ საანგარიშო ფურცლების მიხედვით მუშებს არ შეუძლიათ გაიგონ თუ რატომ ამდენს და არა მეტს ან ნაკლებს იღებენ ისინი შრომის ხელფასს. არ შეუძლიათ რადგან საანგარიშო ფურცლები არ იძლევა საშუალებას მარტივად გამოანგარიშებული იქნეს სანარდო სისტემის საფუძველზე გამომუშავებული ცალერთი პროდუქციის რაოდენობა და შრომა-საათი და მუშამ აშკარად დაინახოს, თუ რატომ იღებს ის ამდენს და არა მეტს ან ნაკლებს. საანგარიშო ფურცელზე აღნიშნულია მხოლოდ ის, თუ რატომ ან რამდენს უკავებენ მას ჯამაგირიდან, მაგრამ ვერავინ მიხვდება თუ საიდან შესდგა ეს თანხა, რომლიდანაც ხდება დაკავება. ეს გარემოება ართულებს მუშაობას და სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს მუშებში. ამას დროულად უნდა მიექცეს ყურადღება და გამოსწორდეს.

მჭედელი



თბ. მექანიკური ქარხანა ახალი დაზგების მონტაჟი

## გაუპიროვნება ხელს გვიშლის

### (სტალინის სახ. ავტო - სახელოსნოები)

სტალინის სახელობის „სოიუზტრანსის“ ავტო - სახელოსნოებში დღემდე ადგილი აქვს მანქანების გაუპიროვნებას. 1929 წლიდან სახელოსნო გადავიდა განუწყვეტელ კვირაზე, მაგრამ გაუპიროვნების მოსპობისათვის არავის მიუქცევია ყურადღება. ამის შედეგი არის მანქანებისა და იარაღებისადმი ცუდი მოპყრობა, რაც ხშირად იწვევს მათ გაფუჭებას და დამტვრევასაც კი. მუშა - ხელოსნები ნაკლებ პასუხისმგებლობას გრძნობენ დაზგის, მანქანის და მოწყობილობისადმი და ხშირად ეს მანქანა - იარაღები უთავბოლოდ ილუპება. ასეთი მდგომარეობის წინააღმდეგ თავის დროზე აღიმაღლა ხმა ამხანაგების ერთმა ჯგუფმა, რომელმაც წამოაყენა საკითხი გაუპიროვნების მოსპობის, ან მისი განუწყვეტელ კვირასთან ორგანიზაციულად შეწყობის შესახებ. მაგრამ ეს საკითხი დღესაც მოუგვარებელია, ხოლო მანქანები და დაზგები კი თანდათან ფუჭდება. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ეხლა მაინც, ამხ. სტალინის გარკვეული მითითებების საფუძველზე სერიოზულად დაისვას ეს საკითხი და მოწესრიგებულ იქნეს სახელოსნოში გაუპიროვნების მოსპობის საქმე.

სახელოსნოში მოუწესრიგებელია შრომის ხელფასიც. ჯერ კიდევ გაბატონებულია ძველი სატარიფო სისტემა და ადგილი აქვს ხელფასის გათანასწორების „მომემარცხენო“ ტენდენციებს. მთელი რიგი ფაქტებისა ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ სახელოსნოში ხშირად ნაკლები კვალიფიკაციის მუშის ხელფასი ბევრად აღემატება მაღალ კვალიფიკაციის მუშის ხელფასს. მოვიყვანოთ ფაქტები. ივნისში შემკრებ ბრიგადამ № 2-მა, რომელსაც გადამუშავება ქონდა 77 პროცენტი, მერვე თანრიგით, მიიღო საათში 91 კაპეიკი, მაშინ, როდესაც მეშვიდე თანრიგის ამავე ბრიგადამ საათში 1 მან. და 18 კაპ. მიიღო. სახელოსნოს სააგრეგატო საამქროში მეექვსე თანრიგით კვალიფიციურმა მუშამ საათში მიიღო — 91 კაპ., ხოლო იმავე საამქროს ნაკლებ კვალიფიციურმა მუშამ, რომლის გადამუშავება 109 პროცენტს უდრიდა, საათში მიიღო — 99 კაპ. საზეინკლო საამქროში ივნისში ზეინკალმა, მერვე თანრიგით მიიღო 1 მან. და 91 კაპ., ხოლო იმავე საამქროს ნაკლებ კვალიფიციურმა ზეინკალმა მეხუთე თანრიგით 2 მან. და 10 კაპ. მიიღო. შემკრებ საამქროში შემკრებმა ივნისში საათში მეოთხე თანრიგით მიიღო—83 კაპ., ხოლო მესამე თანრიგით — 106 კაპ. აი ცოცხალი ფაქტები ხელფასის გათანასწორების „მომემარცხენო“ ოპორტუნისტული ტენდენციებისა.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელოსნოში ადგილი აქვს საერთოდ ხელფასის მაღალ ნორმებს თბილისის სხვა საწარმოებთან შედარებით; მაგ. მაშინ, როდესაც ორჯონიკიძის სახელობის ლითონის ქარხნის ზეინკალი მერვე თანრიგით საათში 1 მან. და 22 კაპ. იღებს, აღნიშნულ სახელოსნოს ზეინკალი საათში იღებს — 1 მან. და 91 კაპიკს. სწორედ ამის გამო არის მუშათა დენადობის ის ტალღა, რომელსაც ამჟამად თბილისის საწარმოებში აქვს ადგილი.

შოფერი.

## გადასინჯეს 3500 ნორმა

### (ტრამვაი)

ხელფასის მოწესრიგების და მანქანა - იარაღების გაუპიროვნებას მოსპობის საკითხები, რომლებიც აღძრულია ამხ. სტალინის მიერ სამეურნეო მუშაკების თათბირზე წარმოთქმული სიტყვაში, დიდი ხანია აფიქრებდა ტრამვაის დირექციას და ადგილობრივ ორგანიზაციებს. მართალია, კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ მუშების ხელფასის გათანასწორების ტენდენციას აქ ადგილი არ ქონია, მაგრამ მაინც არის საამქროები, სადაც ხელფასი არ არის სათანადოთ მოწესრიგებული. ამხ. სტალინის სიტყვის დამუშავების შემდეგ გამოყოფილი იქნა სპეციალური ბრიგადა, რომელმაც უნდა გადასინჯოს ძველი სატარიფო ცხრილი და სათანადო შესწორებები შეიტანოს მასში.

ტრამვაი ეკუთვნის იმ საწარმოთა რიცხვს სადაც მუშა - ხელის ცვალებადობას ადგილი არ აქვს. პირიქით, აქ ამ ბოლო ხანებში დიდ გასაქანს პოულობს ქალის შრომა. აღსანიშნავია ისიც, რომ ტრამვაიში ყველა სამუშაოების 98 პროც. გადაყვანილია სანარდო სისტემაზე, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი შრომის ნაყოფიერების ზრდას. კოლექტიური ხელშეკრულებით შრომის ნაყოფიერების ზრდა გათვალისწინებული იყო 13 პროც, ნამდვილად კი გაიზარდა 13,4 პროც. სათანადო ყურადღება ექცევა მუშათა წინადადებების და რაციონალიზატორულ ღონისძიებების გატარებას. მუშათა 38 წინადადების განხორციელებამ ტრამვაის მისცა 22.649 მანეთის ეკონომია, რაციონალიზატორულმა ღონისძიებებმა კი 3.854 მანეთი.

გამომუშავების ნორმების და სანარდო შეფასებათა გადასინჯვა უკვე დამთავრებულია. სულ გადასინჯული იქნა 3.500 ნორმა. ნორმების გადასინჯვას წინ უძღოდა ფართო ახსნა - განმარტებითი კამპანია და საკითხის დაწვრილებით დამუშავება ყველა უჯრედებში.

ამჟამად მიღებულია ზომები იარაღების და ვაგონების გაუპიროვნების მოსასპობად. თუმცა იარაღებისადმი და დაზგებისადმი ფრთხილი მოპყრობა გათვალისწინებული იყო კოლექტიურ ხელშეკრულებაშიაც, მაგრამ ამან მაინც ვერ მოსპო მთლიანად უპასუხისმგებლო მოპყრობა მანქანებისადმი. ხშირი იყო ინსტრუმენტების დაზიანების და დამტვრევის შემთხვევები. იგივე ითქმის ვაგონებზედაც. ამიტომ ტრამვაის დირექცია მიზნად ისახავს დაჩქარებით გააუქმოს გაუპიროვნება. ამ მიზნით გამოყოფილია ცალკე ბრიგადა, რომელიც სწავლობს ამ საკითხს.

განზრახულია თვითეული ვაგონზე მიმაგრებული იქნეს ხუთი ვატმანი და ხუთი კონდუქტორი. ამას გარდა გატარებული იქნება მეისრეების მიმაგრება განსაზღვრულ ისრებზე. ამასთან ერთად ვატმანებისა და კონდუქტორებისათვის შემოღებული იქნება ხელფასის პროგრესიულ - პრემიალური სისტემა.

სტამბა „კოლექტივი“. მუშა-გამომგონებელი ამხ. სტოლიაროვი მის მიერ გამოგონილ მანქანასთან.

აღსანიშნავია, რომ გაუპიროვნება ტრამვაიზე ნაწილობრივ მოსპობილი იყო ჯერ კიდევ 1925-26 წლებში. ვატმანები და კონდუქტორები მიმაგრებული იყვნენ განსაზღვრულ ვაგონებზე, მაგრამ ამან მაშინ არ მოიტანა საჭირო ნაყოფი, ერთგვარი არევ - დარევაც შეიტანა მუშაობაში, რადგან ეს ის დრო იყო, როდესაც ხაზზე პირველად გამოდიოდა მოსკოვის ტიპის ვაგონები. ის ვატმანები და კონდუქტორები, რომლებიც მიმაგრებული იქნენ მოსკოვის ვაგონებზე, კმაყოფილნი იყვნენ ამ სისტემით, დანარჩენები კი უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ და მოითხოვდნენ მორიგეობით გაგზავნას მოსკოვის ვაგონებზე სამუშაოდ. ამ გარემოებამ გამოიწვია მაშინ ისევ გაუპიროვნებულ სისტემაზე გადასვლა.

ეხლა, როდესაც ქალაქის ყველა ხაზებზე თითქმის ერთი ტიპის ვაგონები მუშაობენ, გაუპიროვნებული სისტემის მოსპობა ადვილია და აუცილებელი საჭიროც არის.

ბ—ნი.

> „რა არის მუშა-ხელის ცვალებადობის მიზეზები? შრომის ხელფასის არა სწორი ორგანიზაცია, არა სწორი სატარიფო სისტემა, „მომემარცხენო“ გათანასწორება ხელფასის დარგში. მთელ რიგ საწარმოებში სატარიფო განაკვეთები ჩვენში იმნაირად არის დაწესებული, რომ თითქმის ისპობა განსხვავება კვალიფიციურ და არა კვალიფიციურ შრომას შორის, მძიმე და მსუბუქ შრომას შორის“.
>
> ი. სტალინი.

## შევცვალოთ ძველი სატარიფო სისტემა

### (26 კომ. სახ. ქარხანა)

ამხ. სტალინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საწარმოოთა მუშაობის ერთ-ერთ დამაბრკოლებელ მიზეზს ხელფასის გათანასწორების „მომემარცხენო“ ტენდენცია წარმოადგენს, რომელსაც ხშირად აქვს ადგილი ჩვენს საწარმოებში და რომელიც ხელფასის ძველ სატარიფო სისტ. ემყარება ხელფ. გათანასწორების ასეთ „მომემარცხენო“ ცდებს და სამუშაო ხელფასის გაცემის სისტემის მოუწესრიგებლობას დღემდე ადგილი აქვს 26 კომუნარის სახელობის მექანიკურ ქარხანაში.

26 კომუნარის სახელობის ქარხანაში მუშების მხოლოდ 80 პროცენტია გადაყვანილი მუშაობის სანარდო სისტემაზე. სანარდო სისტემაზე გადასვლის შემდეგ ქარხანაში გაიზარდა მუშათა შრომის ნაყოფიერება და შესამჩნევი გახდა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება; მაგრამ სანარდო სისტემის გატარებას თან ახლავს მთელი რიგი ნაკლი, რომელიც დროზე უნდა იქნეს აღ-

სამეურნეო მუშაკთა თათბირზე მოფხვრილი. უპირველეს ყოვლისა ეს შეეხება სამუშაო ხელფასის საკითხს. ქარხანაში ხშირად ადგილი აქვს ისეთ ფაქტებს, როდესაც ნაკლებად კვალიფიციური მუშის ხელფასი ბევრად აღემატება ან უდრის უფრო მეტად კვალიფიციურ მუშის ხელფასს. ამავე დროს ცალკე, საამქროებს შორისაც ერთი და იგივე თანრიგის მუშების ხელფასს შორის დიდი განსხვავებაა. მაგ: სამოდელო საამქროს მე-7 თანრიგის მუშა იღებს საათში 1 მან. და 7 კაპიკს, ხოლო სამჭედლო საამქროს იმავე თანრიგის მუშა კი იღებს — 92,2 კაპ. უფრო დიდ განსხვავებას იძლევიან სხვა საამქროები. მაშინ, როდესაც სახარატო საამქროში მე-7 თანრიგით მუშები იღებენ 1 მან. და 17 კაპ. საზეინკლო საამქროში იმავე თანრიგის მუშები 79 კაპ. იღებენ. თუ სხვა თანრიგის მიხედვით გადავხედავთ ხელფასის ცხრილს, სურათი უფრო ჭრელი იქნება. ავიღოთ მე-8 თანრიგი. მერვე თანრიგის მუშა საათში იღებს თუჯის ჩამომსხმელ საამქროში — 1 მან. 14 კაპ., სახარატო საამქროში — 1 მან. 30 კაპ., საზეინკლო საამქროში — 1 მან. 3 კაპ., ხოლო სამონტაჟო საამქროში —1 მან. და 45 კაპ. ერთი და იმავე თანრიგის და პროფესიის მუშათა ხელფასში ასეთი სიჭრელე, რასაკვირველია, მნიშვნელოვან დაბრკოლებას შეუქმნის ახალ კვალიფიციურ კადრების მომზადებას, რაც საბოლოოდ გავლენას ახდენს ქარხნის საწარმოო - საფინანსო გეგმის შესრულებაზე.

საჭიროა უახლოეს ხანში მიღწეულ იქნას ქარხანაში სამუშაო ხელფასის ძველი სატარიფო სისტემის შეცვლა ახალი პროგრესიულ-პრემიალური სისტემით; ამ მუშაობას სათავეში უნდა ჩაუდგეს დანორმვის და შეფასებათა ტეხნიკური ბიურო, რომელსაც ამ მიმართულებით დღემდე არაფერი გაუკეთებია.

იაშური.

## ხელფასის ახალი სისტემა მუშაობას აუმჯობესებს

### (თბილისის მაუდის ფაბრიკა)

ამხ. სტალინის მიერ სამეურნეო მუშაკების თათბირზე წარმოთქმული სიტყვა თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში დამუშავებულ იქნა ივლისის შუა რიცხვებში. სიტყვა დამუშავებულ იქნა როგორც საამქროების კრებებზე, ისე მუშათა პროფესიონალურ და პარტიულ აქტივის კრებებზე.

გადაწყვეტილია დაუყოვნებლივ შეუდგნენ ამხ. სტალინის სიტყვაში დასახული ღონისძიებების ცხოვრებაში გატარებას. საკითხების შესასწავლად და ახალ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ნიადაგის მოსამზადებლად ფაბრიკის მოწინავე მუშებისაგან გამოყოფილ იქნა 4 ბრიგადა. თვითეულ ბრიგადას მიეცა ცალკე საკითხების შესწავლა და კონკრეტულ ღონისძიებათა დასახვა. ბრიგადებს უნდა გამოერკვიათ—რა იყო საჭირო იმისათვის, რომ შემოღებული ყოფილიყო მუშებისათვის ხელფასის გაცემის პროგრესიულ-პრემიალური სისტემა, მოეწესრიგებინათ კვალიფიციურ მუშების ხელფასი და სხ.

გამოყოფილი იყო აგრეთვე ბრიგადა, რომელსაც უნდა შეესწავლა და ზომები მიეღო შრომის სწორად ჩამოყალიბებისათვის, წარმოებაში ქალთა შრომის გამოყენებისათვის და სხ.



26-ის სახელობის ქარხანა: ზეინკალთა დამკვრელი ჯგუფის ბრიგადირი ამხ. კრიცი. აქტიური მუშაობისა და საგეგმო დავალებათა ვადაზე ადრე შესრულებისათვის შეტანილია წითელ დაფაზე

გამოყოფილმა ბრიგადებმა იმუშავეს მხოლოდ რამოდენიმე დღე, რადგან მთელი ფაბრიკის მუშები ივლისის მეორე ნახევრიდან შვებულებაში იქნენ გაშვებული 1-ლ აგვისტომდე.

ბრიგადების მიერ დამუშავებულ ღონისძიებების ცხოვრებაში გატარება ფაბრიკის ადმინისტრაციამ უკვე დაიწყო, მაგრამ ამ ღონისძიებათა გატარებას არ შეუძლია საკმაო ეფექტის მოცემა, რადგან ბრიგადებს ჯერ კიდევ არ დაუმთავრებიათ მუშაობა და მათ მიერ წარმოების გასაჯანსაღებლად შემუშავებული ღონისძიებები სრული არაა.

**მენაგვე კვალიფიციურ ფეიქარზე მეტს ღებულობს**

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა თითქმის ყველაზე უფრო ახალგაზრდა საწარმოა თბილისში. როგორც ახალ საწარმოს, მის მუშაობას მრავალი დეფექტი ახასიათებდა, განსაკუთრებით პირველ ხანებში. ერთ-ერთი ასეთი დეფექტი იყო ხელფასის თანასწორობის ფაქტები, რომლის გამოც ფაბრიკის მუშებს შორის ადგილი ჰქონდა უკმაყოფილებას.

ფაბრიკაში არსებული ძველი წესების თანახმად ნაგვის გადამყრელ შავ მუშას თვიურ ხელფასად დანიშნული ჰქონდა 56 მანეთი. ამავე დროს მისთვის არავითარი ნორმა არ ყოფილა დაწესებული.

იმავე დროს ფაბრიკაში მომუშავე კვალიფიციური ფეიქრები თვიურად ღებულობდნენ 75 მანეთს, მაგრამ თუ ფეიქარი არსებულ ნორმას ვერ გამოიმუშავებდა, მას აქედან აკლდებოდა განსაზღვრული თანხა ამნაირად, ხშირი იყო შემთხვევა, რომ კვალიფიციური მუშა-ფეიქარი თვიურად იღებდა 40-50 მანეთს, ხოლო იმავე დროს ნაგვის გადამყრელი მუშა უცვლელად ღებულობდა 56 მანეთს.

ფაბრიკაში არსებული ასეთი მდგომარეობა ხელს უწყობდა მუშა-ხელის ცვალებადობას. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტში მუშებს აუარებელი განცხადებები შეჰქონდათ იმის შესახებ, რომ მიღებული ყოფილიყო ზომები კვალიფიციური შრომის დასაფასებლად.

ფაბრიკის მუშაობის პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევასაც. რუსეთის საფეიქრო ქარხნებიდან გამოწერილ იქნენ კვალიფიციური ფეიქრები, რიცხვით 20 კაცი. როდესაც მუშები ჩამოვიდნენ ფაბრიკაში, გამოირკვა, რომ თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მოწყობილობას ისინი არ იცნობენ, მათ ჯერ არ ემუშავნათ ისეთ გაუმჯობესებულ მანქანებზე, როგორიც თბილისის ფაბრიკაშია და ამიტომ ყველა ეს ამხანაგები პირველ ხანებში მუშაობის ხარისხით უფრო ნაკლებ სტაჟიან ადგილობრივ ფეიქრებზე მაღლა არ იდგნენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს მუშები მოწვეულ იქნენ რუსეთიდან, მათ ხელფასი ეძლეოდათ იმდენივე, რამდენიც ადგილობრივ მცირესტაჟიან ფეიქრებს.

ეს გარემოებაც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა, მაგრამ მისი გამოსწორებისათვის ყურადღება არავის მიუქცევია უკანასკნელ ხანებამდე.

სამუშაო ნორმებისა და სანარდო შეფასებათა გადასინჯვის კამპანიის შემდეგ ფაბრიკაში მდგომარეობას მნიშვნელოვანი გაუმჯობესება დაეტყო.

**ხელფასის პრემიალურ-პროგრესიულმა სისტემამ კარგი ნაყოფი გამოიღო**

ფაბრიკაში ამჟამად შემოღებულია ხელფასის გაცემის პრემიალურ-პროგრესიული სისტემა, რაც საგრძნობლად აუმჯობესებს ერთის მხრივ მუშების ნივთიერ მდგომარეობას და მეორეს მხრივ ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას.

ახალი სისტემით მუშას იმდენად მეტი ხელფასი ეძლევა, რამდენადაც მეტს და უკეთესი ხარისხის პროდუქციას მოგვცემს. კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ მუშებისათვის დაწესებულია სხვადასხვა რაოდენობის ხელფასი. თვითეულ მანქანასთან მოწყობილია ავტომატიური აღმრიცხველი, რომელიც უჩვენებს გამოშვებულ ქსოვილების რაოდენობას მეტრობით. აღმრიცხველები ისეა მოწყობილი, რომ მანქანასთან მდგომს არა აქვს საშუალება ზედმეტი ან ნაკლები რაოდენობის პროდუქცია აღნიშნოს.

ამ რამოდენიმე თვის წინად, ასეთი სისტემის შემოღებიდანვე კვალიფიციური ფეიქრები თვიურად ღებულობდნენ დაახლოებით 70-75 მანეთს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ნაკლებსაც, ამჟამად კი ისინი თვიურად 150-200 მანეთს და ხშირად მეტსაც იღებენ.

ნაწილობრივ ამითაც აიხსნება ის გარემოება, რომ მაუდ-კამვოლის ფაბრიკა უკანასკნელად მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებებს. ფაბრიკის დანარჩენ საამქროებს შორის ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს მაუდის საქსოვი საამქრო, სადაც შრომა კიდევ ვერაა შესაფერისად ჩამოყალიბებული და საწარმოო გეგმების შესრულებაშიაც ჩამორჩენილობას აქვს ადგილი.

**გაუპიროვნებას [illegible] აქვს ადგილი**

მუშების მანქანა-იარაღებზე მიმაგრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა წარმოების გაჯანსაღებისათვის. ეს ღონისძიება კი თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში კიდევ არაა შესაფერისად განხორციელებული.

უკანასკნელ ხანებში რამოდენიმე საამქროში ჩატარდა მუშების მიმაგრება მანქანა-მოწყობილობებზე, მაგრამ მაუდის საქსოვ საამქროში, მაგალითად კიდევ აქვს ადგილი მუშა-ხელის გადაყვან-გადმოყვანას ერთი მანქანიდან მეორე მანქანაზე.

თბ. ავეჯეულობის ფაბრიკის მთ. ინჟინერი ამხ. პოზოევი. მან გამოიგონა დაზგა, რომელიც 10-ჯერ ადიდებს მუშის შრომის ნაყოფიერებას

მანქ.-იარაღ. გაუპიროვნებელი მომსახურეობის ლიკვიდაციას აბრკოლებს ის გარემოება, რომ ფაბრიკა სათანადოთ არაა უზრუნველყოფილი კვალიფიციურ მუშათა კადრებით და იმისათვის, რომ არსებული მუშა-ხელი უფრო მიზანშეწონილად იქნეს გამოყენებული—საჭირო ხდება მუშების გადაყვანა სხვადასხვა სისტემის მანქანებზე. სანამ მუშა არ შესძლებს ამა თუ იმ მანქანის სასარგებლო მოქმედების კოეფიციენტის მოცემას, მანამ ასეთი მუშის მიმაგრება მანქანაზე მიზანშეწონილადაა ცნობილი.

ხშირად მუშები თითონვე მოითხოვენ ამა თუ იმ მანქანაზე მიმაგრებას, მაგრამ მათ ასეთ სურვილს ფაბრიკის ადმინისტრაცია არ ასრულებს.

საჭიროა დაჩქარდეს მუშაობა მანქანების გაუპიროვნებელი მომსახურეობის ლიკვიდაციისათვის.

დ.

> „წარმოების ეხლანდელი გრანდიოზული მასშტაბების დროს, გიგანტების—საწარმოების არსებობის დროს გაუპიროვნება ისეთი უბედურებაა მრეწველობისათვის რომელიც საფრთხეს უქმნის ყველა ჩვენ საწარმოო და საორგანიზაციო მიღწევებს საწარმოში“.
>
> ი. სტალინი.

## სანარდო სისტემის შემოღებამ მუშაობა გააუმჯობესა

### (ორჯონიკიძის სახ. ქარხანა)

ორჯონიკიძის სახელობის ლითონის ქარხანა თბილისის ერთ-ერთი მსხვილი საწარმოა. სანარდო სისტემის გატარება ქარხანაში ამ რამოდენიმე ხნის წინედ დამთავრდა და მან სათანადო ნაყოფი გამოიღო: უფრო მეტად შეამჭიდროვა მუშები საგეგმო დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. ქარხანაში ვადაზე ადრე გადასინჯულ იქნა 3100 ნორმაზე მეტი. მუშები ტეხნიკურ დანორმვის ბიუროს ხელმძღვანელობით აქტიურ მონაწილეობას იღებენ ნორმების გადასინჯვაში. ეკონომია, რომელიც ნორმების გადასინჯვით იქნა მიღებული, 50.000 მანეთს აღემატება.



თბილისის ავეჯეულობის ფაბრიკის მუშა-ქალი ამხ. ვიშინსკაია, რომელიც დააწინაურეს სამღებრო საამქროს გამგეთ

ნორმების გადასინჯვამდე კოლხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო შრომის ნაყოფიერების 24,1 პროცენტით გაზრდა. გამომუშავების ნორმების გადასინჯვის შემდეგ კი შრომის ნაყოფიერების ზრდა უზრუნველყოფილია 31 პროცენტით. ქარხნის მუშების 84 პროცენტი გადაყვანილია მუშაობის სანარდო სისტემაზე. სანარდო სისტემაზე გადასვლამ ქარხანაში შემდეგი ნაყოფი გამოიღო: შემცირა პროდუქციის თვითღირებულება და პროდუქციის ერთეულის დამზადებისათვის საჭირო ნედლეულის რაოდენობა. მაგ. მენაბდიშვილის და ინეჯიას ბრიგადამ სანარდო სისტემის გატარების და გამომუშავების ნორმები გადასინჯვის შემდეგ შეამცირა პროდუქციის ერთეულის დამზადებისათვის საჭირო ნედლეულის მასალის რაოდენობა — 11 პროცენტით. ზიბილურის ბრიგადამ იგი 12 პროცენტით შეამცირა, ხოლო ამირჯანოვის ბრიგადამ — 15 პროცენტით. უკანასკნელ ხანებში ამხ. სტალინის სიტყვასთან დაკავშირებით ქარხანაში გადაიდგა ნაბიჯი გაუპიროვნების მოსპობის და ხელფასის საკითხის მოწესრიგებისათვის. ქარხანაში დღემდე ადგილი აქვს ხელფასის სიჭრელეს ერთი და იგივე კვალიფიკაციის მუშებშიც კი. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ თბილისის სხვა ქარხნებთან შედარებით ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში კვალიფიციურ მუშათა ხელფასის ნორმა ძალიან მცირეა, რაც ხელს უწყობს მუშათა დენადობას. საჭიროა სათანადო ორგანოებმა ამ საკითხს მიაქციონ ყურადღება.

კ—ლი.

## მუშათა ცვალებადობა იზრდება

### (ქუთაისის ქაღალდის ფაბრიკა)

ქაღალდების ფაბრიკა ქუთაისის სინამდვილეში ერთ-ერთი მსხვილი წარმოებაა, სადაც 1000-დე მუშა მუშაობს. არც ფაბრიკის დირექციას და არც პროფორგანიზაციას არ მიუღია სათანადო ზომები ფაბრიკის კადრებით უზრუნველსაყოფად. ამის შედეგია ის, რომ ფაბრიკას ეს მესამე თვეა გარღვევები აქვს და ვერ ასრულებს გეგმას.

შრომის ნაყოფიერება ფაბრიკაში იზრდება. მაგალითად, ივნისში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 264 კლგ., მიღებული იქნა 284 კლგ. მიუხედავად ამისა ფაბრიკა მაინც სერიოზულ საფრთხის წინაშე სდგას, რადგან მას არ მოეპოვება საკმაო კვალიფიკაციის მქონე მუშები და ამ ნიადაგზე დაზგა-დღეების ნაყოფიერება ეცემა. ივნისში გეგმით დაზგა-დღის ნაყოფიერება უნდა ყოფილიყო 542 გრ., ფაქტიურად კი მიღებული იქნა 492, რაც უდრის გეგმის 88,9 პროცენტს. ივნისში ფაბრიკაში უნდა ყოფილიყო 780 მუშა, ფაქტიურად იყო 658. ფაბრიკაში მუშათა დენადობამ ივნისში საგრძნობი ხასიათი მიიღო. ფაბრიკიდან წავიდა 141 მუშა, ხოლო არა საპატიო მიზეზებით გაცდენა 190 კაც-დღემდე ავიდა. ყველა ეს გამოიწვია პროფორგანიზაციის სუსტმა მუშაობამ.

ფაბრიკის ზოგიერთ ცეხებში სოცშეჯიბრება და დამკვრელობა არ არის გაშლილი, მოუწესრიგებელია აღრიცხვა და ხარისხოვანობის გამორკვევა, ადგილი აქვს ცრუდამკვრელობას და სხვა.

ფაბრიკას კვლავ ეგზავნება ისეთი ხარისხის ნედლეული, რომელიც მის საწარმოო გეგმაში არ არის გათვალისწინებული. ივნისში ნედლეულის ხარისხის გაუარესების გამო დაზგა-დღის ნაყოფიერება შემცირდა.

საჭიროა მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორება და ბოლშევიკურ, ტემპების აღება გეგმის ყველა მაჩვენებლების გადაჭარბებით შესასრულებლად.

ბ. ლ—ძ.

## ისევ ძველი წესით მუშაობენ

### (რიონჰესი).

ივლისის პირველ დეკადაში რიონჰესის მთელ აღმშენებლობაზე გეგმა შესრულდა 39,3 პროც. უბნების მიხედვით: 1-2 უბანზე გეგმა შესრულდა 42,8 პროცენტით, მე-3 უბ. 34 პროცენტით, მე-4 უბ. 41,5 პროც.

ძალზე დიდი გარღვევებია მესამე უბანში დიდ არხის სამუშაოებზე. აქ მიწის ხელით დამუშავება შესრულებულია მხოლოდ 7,9 პროცენტით, გამრეცხ არხზე უნდა ამოღებულიყო 1830 კ.მ. მიწა ფაქტიურად არაფერი არ არის ამოღებული, განმანაწილებელ არხში და წყალვარდნილში გეგმით გათვალისწინებული 1166 კმ. მიწის ამოთხრა სრულიად არ არის შესრულებული. ჩამორჩენილია აგრეთვე მთა გრეხილის სამუშაოები, კერძოთ, „გრუზსტროი“-ს სამუშაოები. ნაცვლად 250 კაცისა „გრუზსტროი“ აქ ამუშავებს 16 კაცს.

უბნებზე მუშათა დენადობა გაიზარდა. მობილიზაციაქმნილი კომკავშირელები, რომელნიც ერთი თვით იყვნენ აღმშენებლობაზე გამოგზავნილი, უკვე წავიდნენ. ამჟამად აღმშენებლობას აკლია 1000-ზე მეტი მუშა-ხელი.

უბნებზე არ არის მიღებული ზომები შინა რესურსების მობილიზაციისათვის. მეოთხე უბანში მთელი რიგი მასალები გამოუყენებელია. განსაკუთრებით ცუდათ არის დამე ტეხნიკური ზედამხედველობა, ესკავატორები 30 პროც. არ არიან გამოყენებული. სოცშეჯიბრება და დამკვრელობა ატარებს ხშირად ფორმალურ ხასიათს. რომ ეს ასეა, ამას ამტკიცებს უკანასკნელი გამოკვლევა; რომლის შემდეგაც დაშლილი იქნა 3 ბრიგადა 36 კაცის შემადგენლობით და ჩამოერთვა მათ დამკვრელის სახელწოდება, როგორც ცრუდამკვრელებს.

უბნებზე ძალზე სუსტად მუშაობენ საწარმოო ტრიბუნალები. მესამე-მეოთხე უბანში ჯერ კიდევ არ არის მთლიანად გარდაქმნილი პარტიული მასიური მუშაობა. პარტორგანიზატორები და სამკუთხედები მართალია ჩამოყალიბებული არიან, მაგრამ ჯერ კიდევ არ არიან გარკვეული თავიანთ ფუნქციებში. საჭიროა ამ მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორება. პარტუჯრედებმა, პროფ. და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა განსაკუთრებით საჭიროა მუშაობის სწორი ორგანიზაცია, ყველა სამუშაოების სანარდო სისტემაზე გადაყვანა, სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა; სამჭერზაოს, ელსადგურის, დეპოს და გარაჟის ერთმმართველობის ფუნქციებში გარკვევა და ცვლებზე და ბრიგადებზე მეტი პასუხისმგებლობის დაკისრება. მესამე და პირველი უბანი უნდა დაიძრას მკვდარ წერტილიდან. უნდა გაიშალოს ბრძოლა უმიზეზო გაცდენების წინააღმდეგ და სხვ. ამ ღონისძიებათა გატარებით შევსძლებთ, [illegible] საფ. გეგმის შესრულებას.

„კომუნისტი“-ს და „რიონჰესელი დამკვრელი“-ს ბრიგადა: შ. ლალიაშვილი, დ. ბრეგვაძე.

ბათუმის ინდუსტრ. ტეხნიკუმში. მოწაფეებს ასწავლიან დაზგასთან მუშაობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ამხ. სტალინის სიტყვის დამუშავება მუშათა მასებში

## ბელადის სიტყვის საპასუხოთ იზრდება შრომითი ენტუზიაზმი ფაბრიკებსა, ქარხნებსა და მაღაროებში

**„საწარმოო გეგმა არის მრავალი მილიონი ადამიანის ცოცხალი პრაქტიკული მუშაობა. ჩვენი საწარმოო გეგმის რეალობა — ეს მშრომელთა მილიონებია, რომლებიც ახალ ცხოვრებას ჰქმნიან. ჩვენი პროგრამის რეალობა—ეს ჩვენ თითოეული ვართ, ჩვენი ნებისყოფა შრომისაკენ, ჩვენი მზადყოფნა ვიმუშაოთ ახალ წესზე, ჩვენი გადაწყვეტილება — შევასრულოთ გეგმა". (სტალინი)**

## არც ერთი მუშა სოც. შეჯიბრების გარეშე

(სტალინის სახ. ქარხანა)

სტალინის სახელობის ორთქმავალთა და რონოდათა შემკეთებელ ქარხნის საქვაბე საამქრომ ამხ. სტალინის სიტყვა დაამუშავა ჯგუფურ კრებებზე.

ამხ. სტალინის სიტყვასთან დაკავშირებით ძველმა მუშებმა შეფობაზე აიყვანეს საამქროს ახალგაზრდა მუშები იმ მიზნით, რომ თავიანთი ცოდნა და გამოცდილება შეასწავლონ მათ.

ჩამოყალიბდა ორი დამკვრელი ბრიგადა, ერთი ამხ. სტალინის და მეორე „ახალგაზრდა კომუნისტი"-ს სახელობის.

მუშებმა ივლისი გამოაცხადეს განსაკუთრებულ დამკვრელ თვედ, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ჩამორჩენის ლიკვიდაცია. ამასთან დაკავშირებით მუშებმა გადასწყვიტეს, რომ არც ერთი მუშა არ დარჩეს სოც. შეჯიბრების და დამკვრელობის გარეშე.

მუშები დიდი ენტუზიაზმით შეხვდნენ ამხ. სტალინის სიტყვას და მტკიცე ფიცი დასდეს, რომ იბრძოლებენ მისი ცხოვრებაში პრაქტიკულად გატარებისათვის.

**ნაზარბეგოვი**

## გავამართლოთ დამკვრელობის სახელწოდება

(სადგურ თბილისი)

თბილისის სადგურის კომუჯრედის ღია კრებაზე, კომკავშირის წევრების და უპარტიო მუშებთან ერთად, დამუშავდა ამხ. სტალინის სიტყვა.

მოხსენების შემდეგ გაიმართა გაცხოველებით კამათი. კამათში გამოსულმა მუშებმა აღნიშნავდნენ, რომ ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელში, ზოგიერთ დარგში საწარმოო საფინანსო გეგმის შესრულება ჭრელ სურათს იძლევა, ეს კი უშუალოდ გამოწვეულია ტრანსპორტზე შრომის დისციპლინის დაცემით. მუშების მიერ ხშირად ადგილი აქვს უმიზეზო გაცდენას და სამუშაოს მიტოვებას, რაც საფრთხის წინაშე აყენებს ტრანს. საფ-საფ. გეგმის შესრულებას. ეს დეფექტები უმთავრესად გამოწვეულია ხელფასის თანრიგების გაცემის სხვადასხვაობით, ერთ და იმავე პროფესიის მუშებზე.

ზოგიერთი კომუნისტები ვერ სდგანან თავიანთ სიმაღლეზე, ისინი ხშირად ვერ ამართლებენ დამკვრელობის სახელწოდებას, ხშირად გვევლინებიან „მფრინავების" როლში და სხვა.

ნაკლები ყურადღება ექცევა კვალიფიკაციურ კადრების მომზადებას, მუშები არ არიან უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ბინებით; კოოპერაციამ ჯერ კიდევ ვერ შესძლო მუშათა მომარაგების საქმის მოგვარება.

„ჩვენ დამკვრელი მუშები, — აცხადებენ ისინი, — ამხ. სტალინის სიტყვას მივიყვანთ თვითეულ საამქრომდე, ბრიგადამდე და მუშამდეო.

ამხ. სტალინის სიტყვასთან დაკავშირებით წინა კვარტალების ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის დარჩენილ დროს ვაცხადებთ დამკვრელად. მთლიანად გამოვიყენებთ სოციალისტური შრომის ახალ ფორმებსა და მეთოდებს: სოცშეჯიბრებას და დამკვრელობას და ამით უზრუნველვყოფთ ამხ. სტალინის მიერ წამოყენებულ თვითეულ საკითხის შესრულებას.

**ი. ბ.**

## ბოლშევიკურად შევასრულებთ ბელადის დავალებებს

(თელასი)

12 ივლისს „თელასი"-ს კომუჯრედის კომკავშირის და უპარტიო მუშა მოსამსახურეების გაერთიანებულ კრებაზე დამუშავდა ამხ. სტალინის სიტყვა. მოხსენებით გამოვიდა ამხ. გუგუშვილი.

კრება აღფრთოვანებით შეხვდა ბელადის სიტყვის დამუშავებას. მოხსენების შემდეგ მუშებმა აღნიშნეს, რომ ისინი მთელ ძალებს დასძაბავენ ბელადის მითითებების ასი პროცენტით შესასრულებლად. ამასთან ერთად მათ მტკიცე ფიცი დასდეს პარტიის და ხელისუფლების წინაშე, რომ ბოლშევიკურად შეასრულებენ ყველა იმ დავალებებს რომელსაც იძლევა პარტია და ხელისუფლება.

**ა. იმედაშვილი**

## ამხ. სტალინის სიტყვის დამუშავება ბათომის საწარმოებში

### გარდავქმნათ მთელი მუშაობა ბელადის მოწოდების საფუძველზე

ამხ. სტალინის სიტყვა მთელი მუშური საზოგადოებრივობის აქტიური მონაწილეობით მუშავდება ქ. ბათომის ყველა წარმოებებს და დაწესებულებებში. სიტყვის დამუშავების მსვლელობის დროს უპირველეს ყოვლისა ირკვევა, რომ ჩვენმა პროფორგანიზაციებმა, ჯერ კიდევ სათანადოთ ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა, მათ ჯერ კიდევ ვერ შესძლეს წარმოების ცხოვრების რეალურ საკითხებისა და მეურნეობის თანამედროვე მოთხოვნილებისაკენ პირით მობრუნება. პროფმუშაობის გარდაქმნა მეტ ნაწილად ფორმალურ ხასიათს ატარებდა. პროფორგანიზაციებმა ვერ შესძლეს წარმოების წინაშე მდგომ საკითხების გაცნობა, რისი მიზეზიც უმთავრესად ტექნიკური ცოდნის უქონლობა იყო. ტექნიკური უცოდინარობის შეთვისების საქმეში პროფორგანიზაციები ძალზე ჩამორჩენ სხვა ორგანიზაციებს. ამან განსაკუთრებით მკაფიოთ იჩინა თავი ამხ. სტალინის სიტყვის დამუშავების დროს, როდესაც მათ უჭირდათ მოთხოვნების ძირითადი საწარმოო პროცესების აუცილებლად ცოდნისა და გაგების შესახებ. მთელი რიგი საწარმოები განსაკუთრებით კი აჭარისტანის სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოების ადმინისტრაცია, აცხადებს, რომ ამხ. სტალინის მიერ წამოყენებული ძირითადი საკითხების გადაჭრაში პროფორგანიზაციებისაგან ისინი ვერავითარ დახმარებას ვერ ღებულობენ. ამასთან დაკავშირებით აღიძრა საკითხი განსაკუთრებული კურსების მოწყობის შესახებ პროფმუშაკების გადასამზადებლად.

წარმოების გარდაქმნის საქმეში აღნიშნულ ნაკლულოვანებებთან ერთად ადგილი აქვს თვალსაჩინო მიღწევებსაც, რაც გამოიხატება იმაში, რომ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში გაუპიროვნება და ხელფასის არა რაციონალური სისტემა აღმოფხვრილ იქნა. აქამდე კი მთელ რიგ საწარმოებში დაბალი კვალიფიკაციის მუშები ხშირად უფრო მაღალი კვალიფიკაციის მუშებზე ზედმეტ ხელფასს იღებდენ. ჩამომსხმელები, რომლებიც მარტო რაოდენობაზე ზრუნავენ, ხარისხობრივი მოთხოვნების შესრულებაზე ორჯერ მეტ ხელფასს იღებენ, მჭედლები გაცილებით მეტს იღებენ, ვიდრე ზეინკლები და სხვ.

ტარიფები რადიკალურად გადაისინჯა და შემოღებულ იქნა შრომის ანაზღაურების ნამდვილი რაციონალური სისტემა. გამომუშავების ნორმები დაწესდა კვალიფიკაციის შემოწმების საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ საწარმოებში დღემდე ფაქტიურად არავითარი ნორმა არ არსებობს (თუთუნის ქარხანა), კერძოდ დამხმარე სამუშაოები სრულიად არ იყო გადაყვანილი სანარდო სისტემაზე. ამჟამად კი ყველა დამხმარე სამუშაოები გადაყვანილია ნარდ სამუშაოზე. ჯგუფური ნორმები, რომლებიც ხელს უწყობდნენ გაუპიროვნების შენარჩუნებას, გადასინჯულ და მთლიანად გადაყვანილი იქნენ სანარდო სამუშაოზე. ზოგიერთი წინანდელ ნორმებს წონითი ხასიათი ჰქონდა, რაც თავის მხრივ ხელსაყრელ ნიადაგს უქმნიდა გაუპიროვნებას. ეს ნორმები შეიცვალა რიცხობრივი და ხარისხობრივი მოთხოვნების საფუძველზე გამომუშავებული ახალი ნორმებით.

ყველა ამის შემდეგ შრომის ნაყოფიერება უკვე აიწია საშუალოდ 30 პროცენტით. ამ მუშაობაში უშუალო მონაწილეობას ღებულობენ ბათომში მოწყობილი „ხრონომეტრაჟისტების" კურსების მსმენელები.

ამასთან ერთად ვითარდება ლაშქრობა ტექნიკის დაუფლებისათვის. ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში მომუშავე ყველა სპეციალისტებმა იკისრეს 1 ოქტომბრისათვის ტექნიკური ცოდნით შეაიარაღონ წარმოებაში ჩაბმული მუშების 75 პროცენტი.

ამხ. სტალინის სიტყვის დამუშავებაში ჩამორჩნენ ნავთის გადამამუშავებელი ქარხნები, სადაც ამ საკითხს ფორმალურად უდგებიან. დამახასიათებელია, რომ აქ ზოგიერთ სპეციალისტს სანარდო სამუშაოზე გადასვლის საკითხი სადაოდ მიაჩნია. ვითომ და წარმოების რაღაცა „განსაკუთრებული თავისებურების გამო".

აქ ჯერ კიდევ ძალაში საამქრო გამომუშავების ნორმები, რომლებიც დიდათ უწყობენ ხელს გაუპიროვნებას (ადს).

### ბრძოლა ხელფასის „მემარცხენო" გათანასწორების წინააღმდეგ

ბათომის ტყავის კომუჯრედის ღია კრებაზე დამუშავდა ამხ. სტალინის სიტყვა.

სტალინის სიტყვის დამუშავების დროს გამოირკვა, რომ ბათომის ტრანსპორტის ორგანიზაციები ჯერ კიდევ არ არიან გადასული სამეურნეო ანგარიშზე, რაც საქმის ბიუროკრატიულ გაჭიანურებას უნდა მიეწეროს. გამოირკვა, რომ, ზოგ შემთხვევაში ადგილი აქვს ხელფასის „მემარცხენო" გათანასწორების შემთხვევებს, რაც ყველაზე ცუდ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ტრანსპორტის მუშაობაში. ხელფასის გათანასწორება იწვევს წარმოებიდან მუშების გაქცევას და სამუშაოს მიტოვებას.

დაუყოვნებლივ უნდა გადაიდგას ნაბიჯი აღნიშნულ დეფექტების დროულად გამოსწორებისათვის.

პარტიულ, სამეურნეო და პროფესიონალურ ორგანიზაციებმა ამ ნაკლულოვანებების გამოსწორებას უნდა მიაქციონ სათანადო ყურადღება.

**ინფორმატორი**

### ამხ. სტალინის სიტყვის დამუშავებას აჭიანურებენ

ნავთის გადამამუშავებელი ქარხნების მუშები დიდ ინტერესს იჩენენ ამხ. სტალინის სიტყვისადმი, რომლის შესახებ მსჯელობენ მუშათა საერთო საცხოვრებლებში, დასვენების დროს და სხვ. მიუხედავად ამისა, აღნიშნული სიტყვა პროფორგანიზაციებს ჯერ არ დაუმუშავებიათ. ამ გარემოებას ისინი ხსნიან იმით, რომ პარტორგანიზაციებმა ამ საკითხზე დაიგვიანეს და აქამდე არ მიაქციეს ყურადღება პარტიის ბელადის სიტყვის დამუშავებას (ადს).

## პურის დამზადების კამპანიის გარშემო გორის რაიონში

მოსამზადებელი მუშაობა პურის დამზადებისათვის გორის რაიონში 10 ივნისიდან დაიწყო და ამჟამად უკვე დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს.

წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის შესახებ საკითხი დამუშავდა 16 ივნისს რაიონის მასშტაბით მოწვეულ ფართო თათბირზე, რომელსაც დაესწრნენ: კომუჯრედების მდივნები, სას. საბჭოს თავმჯდომარეები, სამოსამართლო, სას. სამ. კოოპერაციის და პროფკავშირების აქტივი, მსხვილ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და მიმაგრებული ამხანაგები. ამ თათბირზე პურის დამზადების საკონტროლო ციფრად მიღებული იქნა 90.000 ფუთი, შემხვედრი გეგმა განისაზღვრა 100,000 ფუთით და დაისახა პრაქტიკული ღონისძიებები მოსამზადებელი მუშაობის გასაშლელად ადგილებზე.

თათბირის მეორე დღესვე დაიწყო სოფლად მასიური პოლიტიკური მუშაობა. კოლმეურნეობებში და ღარიბ და საშუალო გლეხობაში.

პურის დამზადება გორის რაიონში გასულ წელთან შედარებით გაცილებით უკეთეს პირობებში სწარმოებს. ამ ხელსაყრელი მდგომარეობის დასახასიათებლად აღსანიშნავია სამი ძირითადი მომენტი.

1) სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორის ზრდა. გასულ წლის პირველ ივლისისათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო ღარიბ-საშუალო გლეხურ მეურნეობათა 24 პროცენტი, მიმდინარე წლის, პირველ ივლისისათვის კი იქ გაერთიანებულია 41 პროცენტი, კოლექტივიზაციის ზრდა (რომელსაც ადგილი ჰქონდა განსაკუთრებით საგ. სას. სამ. კამპანიის პერიოდში) საშუალებას გვაძლევს კოლექტიურ მეურნეობის სექტორიდან უფრო მეტი რაოდენობით იქნეს დამზადებული პური გასულ წელთან შედარებით.

2) საგ. სას. სამ. კამპანიის შედეგები. სათანადო მასიური მუშაობის გაშლის შედეგად: სოც. შეჯიბრებისა და დამკვრელობის მეთოდის გამოყენებით და კოლმეურნეობებში სანარდო მუშაობის განხორციელების შედეგად მიღწეულ იქნა საგ. სას. სამ. კამპანიის გეგმის შესრულება 109 პროცენტით. კოლექტიურ მეურნეობის სექტორში, გათვალისწინებული 6.820 ჰექტარის მაგივრად დაითესა 8,111 ჰექტარი, ანუ გეგმის 118 პროცენტი.

3) ჩვენ უკვე გვაქვს ორი წლის გამოცდილება პურის დამზადების საქმეში. მართალია 1930 წლის პურის დამზადების გეგმა რაიონში 100 პროცენტით ვერ იქნა შესრულებული, მაგრამ ეს არ შეიძლება აიხსნას მასიური მოსამზადებელი მუშაობის სუსტად ჩატარებით. აქ უმთავრესად სხვა პირობები იყო, რომელმაც ხელი შეგვიშალა გეგმის შესრულებაში (ცუდი მოსავალი).

„ჩატარებული მუშაობის გამოცდილება, დეფექტები, რომელიც მაშინ ახასიათებდა პურის დამზადებას, მიღებული უნდა იქმნას გაკვეთილად, რომ ამ წლის პურის დამზადების კამპანია წარმატებით ჩავატაროთ. ყველა ეს პირობები და აგრეთვე მოსავლის (განსაკუთრებით ქერის) უკეთესი პერსპექტივა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მოცემული საკონტროლო ციფრი 90,000 ფუთის რაოდენობით (გასულ წელს იყო 70,000 ფუთი) სავსებით რეალურია.

პურის დამზადების საკითხი დამუშავდა პარტიის და კომკავშირის უჯრედებში. სოფლის ღარიბთა ჯგუფებში და ღარიბთა კრებებზე. სას. საბჭოების გაფართოებულ პლენუმებზე, კოლმეურნეობის წევრთა შორის და სოფლის საერთო კრებებზე.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა პურის დამზადების სამეურნეო-პოლიტიკურ მნიშვნელობის ახსნა-განმარტებით მუშაობის ჩატარებას პრაქტიკული ღონისძიებების დასახვით.

პურის დამზადების გეგმები სოფლამდი და კოლმეურნეობამდე დაყვანილი იქნა 25 ივნისამდე.

ამავე რიცხვისათვის დამთავრებული იყო კულაკურ შეძლებულ მეურნეობებზე მტკიცე დავალების მიცემა. სულ რაიონში კულაკურ შეძლებულ მეურნეობებზე მიცემულია მტკიცე დავალება 19,221 ფუთის რაოდენობით, ე. ი. დაახლოებით რაიონზე მოცემულ საკონტროლო ციფრის ერთი მეხუთედი. გასულ წელს შეძლებულ მეურნეობებს მტკიცე დავალება მიეცათ 7.000 ფუთის რაოდენობით. ამჟამად კი 16,702 ფუთი. ეს ზრდა გამოწვეულია იმით, რომ ადგილებზე კომუჯრედების და სას. საბჭოების მიერ გაცილებით უკეთ იქმნა გაშლილი მუშაობა ღარიბთა შორის და კულაკურ შეძლებულ მეურნეობათა უფრო სრულად გამოსამჟღავნებლად.

ადგილებზე წამოყენებული იქნა პურის დამზადების შემხვედრი გეგმები. მაგალითად ახალსოფელში მიცემული იყო საკონტროლო ციფრი 16.474 ფუთი, შემხვედრი გეგმით კი წამოაყენეს 19,145 ფუთი, ხელთუბნის სას. საბჭომ საკონტროლო 7.342 ფუთის ნაცვლად შემხვედრი გეგმა 9.245 ფუთი, მეჯვრისხევმა 11,155 ფუთის ნაცვლად 13,140 ფუთი და ასე შემდეგ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სას. საბჭოს ცენტრებში ჩატარებულ ქალთა კონფერენციებზე, სადაც დამუშავდა პურის დამზადების საკითხი, დიდ აქტივობას ჰქონდა ადგილი (მეჯვრისხევი, კარალეთი, ვარიანი და სხვა). ქალთა კონფერენციებმა გამოაცხადეს თავი დამკვრელად და სოც. შეჯიბრებში გამოიწვიეს ერთმანეთი.

ჰქონდა თუ არა ადგილი პურის დამზადების გარშემო ჩატარებულ მუშაობაში პარტიის გენერალური ხაზის დამახინჯების ფაქტებს—მემარჯვენე გადახრის, „მემარცხენე" ნახტომების და მასთან შემარიგებლობის ფაქტებს?

ასეთი მაგალითები იყო ზოგიერთ სას. საბჭოებში. შინდისის სას. საბჭოში პარტიის წევრობის კანდიდატი ბეჟანიშვილი გამოვიდა პურის დამზადების წინააღმდეგ სოფლის საქმეებში მოწვეულ ღარიბთა კრებაზე, მან განაცხადა: „თქვენ ყველაფერი აქედან მიგაქვთ სოფელში კი არაფერი მოგაქვთ. პურს ვერ დავამზადებთო". ასეთი იყო ბეჟანიშვილის აშკარა ანტიპარტიული გამოსვლა. მაგრამ უფრო საგულისხმო ის არის, რომ, როდესაც უჯრედის კრებაზე დაისვა საკითხი ამ ამხანაგის შესახებ — მას ზოგიერთი დამცველებიც აღმოუჩნდა, პარტიის წევრებს შორის, რომლებიც კატეგორიულად მოითხოვდნენ რათა ბეჟანიშვილის წინააღმდეგ არ ყოფილიყო მიღებული რაიმე ორგანიზაციული ზომები. უჯრედის კრებამ ვერავითარი დასკვნა ვერ გამოიტანა და საკითხის გარჩევა მიანდო უჯრედის ბიუროს, აშკარაა, რომ უჯრედი დაავადებული იყო მემარჯვენე გადახრით.

მდგომარეობის გამოსასწორებლად რაიონის პარტხელმძღვანელობის მიერ თავის დროზე იქნა გამოტანილი სათანადო დასკვნები.

მსგავს მაგალითებს ჰქონდა ადგილი კომკავშირის ზოგიერთ უჯრედებში, მაგალითად ატენში, ბროწლეთში და კირბალში, კომკავშირის უჯრედებში კომკავშირის ზოგიერთი წევრები გამოვიდნენ პურის დამზადების წინააღმდეგ. ლიბერალიზმი და შემარიგებლობა გამოიჩინეს კულაკობის მიმართ და მოითხოვდნენ კულაკურ შეძლებულ მეურნეობებისაგან მტკიცე დავალების სრულიად მოხსნას ან შემცირებას, სკრის სას. საბჭოში ზოგიერთი პარტიის წევრები და კომკავშირელები აცხადებდნენ: „ჩვენ სას. საბჭოში კულაკური და შეძლებულები არ არიან. ყველა ღარიბები და საშუალო გლეხები ვართო". როდესაც უფრო გულდასმით იქნა ჩატარებული მუშაობა, ღარიბ და საშუალო გლეხობაში და კოლმეურნეობის წევრებში, გამოირკვა, რომ აღნიშნულ სას. საბჭოში მოიპოვებიან როგორც კულაკური ისე შეძლებული მეურნეობები, რომლებიც გამომჟღავნებული იქნენ და მათ მიეცათ პურის დამზადების მტკიცე დავალებები. ამ კომკავშირელებზე და პარტიის წევრების მიმართ, რომლებმაც აშკარა მემარჯვენე ოპორტუნისტული გადახრა გამოიჩინეს, პურის დამზადების წინააღმდეგ და კულაკების დამცველად გამოვიდნენ, მიღებული იქნა ორგანიზაციული ღონისძიებები.

ეს ფაქტები გვეუბნება, რომ პურის დამზადების წარმატებით გასატარებლად კიდევ უფრო ფართოდ უნდა იქნეს გაშლილი ბრძოლა ორ ფრონტზე: მემარჯვენე გადახრასთან, როგორც მთავარ საფრთხესთან, „მემარცხენეობასთან" და ამ ორი გადახრისადმი შემარიგებლობასთან. ადგილი ჰქონდა „მემარცხენე" ხასიათის შეცდომებსაც—ცალკე შემთხვევებში (ტყვიავში და მეჯვრისხევში): საშუალო გლეხებს მიეცა მტკიცე დავალება, თუმცა ეს შეცდომები დროზე იქნა გამოსწორებული, მაგრამ აუცილებლად საჭიროა ორგანიზაციის ყურადღების გამახვილება „მემარცხენე" ნახტომების ძირშივე აღსაკვეთად, რომელიც ხელს უწყობს კულაკობის პოზიციას.

ჯერ არ დაწყებულა პურის დამზადების ოპერაცია. ამჟამად გაცხოველებით მიმდინარეობს მოსავლის აღება და პურის დამზადება დაიწყება მხოლოდ ამ დღეებში.

კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს პარტიულმა ორგანიზაციამ. ეს არის კოლექტიური მეურნეობათა ზრდის საკითხი. პურის დამზადება და სხვა მიმდინარე სამეურნეო პოლიტიკურ კამპანიები სუსტად არის დაკავშირებული კოლექტიურ მეურნეობის ზრდის ამოცანებთან. ივნისის თვეში და ივლისის პირველ ნახევარში ადგილი აქვს ზრდის ტემპების ძალზე შენელებას. პირველ ივნისიდან დღემდე რაიონის კოლმეურნეობებში გაიზარდა მხოლოდ ნახევარ პროცენტით. ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთმა უჯრედებმა სოფლის საბჭოებმა შეანელეს ყურადღება კოლმეურნეობის ზრდის საკითხებისადმი, არ დაუკავშირეს ეს საკითხები მიმდინარე სამეურნეო პოლიტიკურ კამპანიის გატარებას და თვითმიმდინარეობას მიენდვნენ. ეს მდგომარეობა დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გამოსწორებული მასიური პოლიტიკური მუშაობის გაშლის საფუძველზე ღარიბ-საშუალო გლეხობაში, თვით მიმდინარეობაზე დაყრდნობის მემარჯვენე ოპორტუნისტულ პრაქტიკის ძირშივე აღკვეთით.

**ა. შეროზია.**

## ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისათვის

საქართველოს ა. ლ. კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე დასვა საბრძოლო ამოცანები—ახალგაზრდობის მე-17 საერთაშორისო დღეს შეხვდნენ საწარმოო-საფინანსო გეგმის გადაჭარბებით შესრულებით, პროდუქციის გამოშვების გადიდებით და მისი ხარისხის გაუმჯობესებით. ახალგაზრდობის მე-17 საერთაშორისო დღისათვის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ: ყველა საამქროების, აგრეგატების და ახალგაზრდათა ბრიგადების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანას, ახალგაზრდობის ჩაბმას მთელი 100 პროცენტით სოცშეჯიბრებასა და დამკვრელობაში, კომკავშირლების და მუშათა ახალგაზრდობის ჩაბმას ტექნიკურ სწავლებაში, აგრეთვე წარმოების დაგეგმვისა და რაციონალიზაციის საქმეში.

კოლმეურნეობების და სოფლის კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე ისმება ამოცანა—გაძლიერდეს ბრძოლა მოსავლის დაცვის, საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების, კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის და სამუშაოების სანარდო სისტემაზე გადაყვანისა, კოლმეურნეობებში შრომის აღრიცხვის სანიმუშოდ დაყენებისა, დასამზადებელი გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისა, კოლმეურნეობებში სამეურნეო მუშაობის მწვერვალების დაპყრობისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის განმტკიცებისათვის. (ადს).

## მუშახელი ტყიბულის მაღაროებს

**ჩხარი, 24 ივლისი.** ჩხარის რაიონის კოლმეურნეები აღფრთოვანებით ხვდებიან ტყიბულის მაღაროებში სამუშაოდ გაგზავნას. ჩხარის რაიონი კისრულობს 8 დღის ვადაში 150 პროცენტით შეასრულოს მაღაროებში სამუშაოდ კოლმეურნეთა გაგზავნის გეგმა და შეჯიბრში იწვევს ცაგერის რაიონს. შეჯიბრების შედეგების შემოწმებას ვანდობთ გაზეთ „კომუნისტს".

რაიკოლკავშ. თავმჯდ. **ზიბზიბაძე.**

## გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის შედეგები

**სოხუმი, 22 ივლისი.** საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ მსჯელობა იქონია გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის შედეგების შესახებ ძირითადი ტექნიკური კულტურების—თამბაქოს, ჩაის და ეთეროვან მცენარეთა დარგში. თავის დადგენილებაში ბიურო აღნიშნავს, რომ, მიუხედავად ისეთი მიზეზებისა, როგორიც იყო გვიანი გაზაფხული, გვალვა, ბოლშევიკური თესვისათვის ბრძოლის დაგვიანებით გაშლა, ორგანიზაციამ მთელ რიგ მომენტებში უდავო წარმატებას მიაღწია. თესვის კამპანია ჩატარებულ იქნა საკოლმეურნეო სექტორის თვალსაჩინო ზრდისა (17 პროც. კოლექტივიზაციისა 1931 წ. იანვრისათვის, ხოლო 32,5 პროც. ივლისისათვის) და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მისი ხვედრითი წონის აწევის საფუძველზე; კულაკის შეზღუდვისა და კოლმეურნე, ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების ბოლშევიკური თესვისათვის ბრძოლის ირგვლივ შეკავშირების საფუძველზე და, ბოლოს, დასარგავი ფართობების გადიდებისათვის ბრძოლის საფუძველზე ტექნიკური კულტურების ხვედრითი წონის აწევასთან ერთად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საერთო გამოშვებაში.

წარმატებებთან ერთად საოლქო კომიტეტის ბიურო აღნიშნავს მთელ რიგ სერიოზულ დეფექტებს და დამახინჯებებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ თესვისათვის ბრძოლის პროცესში. ძირითად ნაკლად ბიუროს მიაჩნია თესვისათვის ბრძოლის დაუკავშირებლობა ტექნიკურ კულტურათა რაიონებში, საკოლმეურნეო მშენებლობისათვის ბრძოლასთან, აგრეთვე მემარჯვენე ოპორტუნისტული პრაქტიკა და მემარჯვენე—„მემარცხენე" დამახინჯებანი პარტიულ, საბჭოთა და საკოლმეურნეო-კოოპერატიული ორგანიზაციების ცალკე რგოლებში. რომელთა შედეგადაც ადგილი აქვს საკოლმეურნეო მშენებლობის ჩამორჩენას გუდაუთისა და კოდორის რაიონებში.

ამის გარდა, იყო შემთხვევები კულაკურ მეურნეობათა გამოუმჟღავნებლობისა ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ, არ სწარმოებდა გადამწყვეტი ბრძოლა კულაკობასთან და დაშვებულ იქნა გადახვევები საშუალო გლეხის მიმართ, მიუხედავად საოლქო კომიტეტისა და ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის მიერ თავის დროზე მიცემულ დირექტივებისა. ყველა ამის შედეგია კულაკურ და შეძლებულ მეურნეობათა მიერ მტკიცე დავალებათა შეუსრულებლობა—539 ჰექტარიდან 150 ჰექტარის არ დამუშავება.

მეორეს მხრით ბიურომ, აღნიშნა ზოგიერთი ცენტრალური ორგანიზაციის მიერ თამბაქოს დასარგავი ფართობის ხშირი შეცვლა, რამაც გამოიწვია აფხაზეთის ორგანიზაციის დეზორგანიზაცია, საკონტრაქტაციო ავანსების და საწარმოო მასალის თავის დროზე მოუმარაგებლობა, აგრეთვე საქართველოს საამშენებლო უმაღლეს საბჭოს, საკავშირო თამბაქოს და საქართველოს მომარაგების სახალხო კომისარიატის მხრით საკმაო ყურადღების და ხელმძღვანელობის უქონლობა თამბაქოს დარგისადმი.

საოლქო კომიტეტის ბიურომ თოხნისა და მოსავლის აღების კამპანიის ჩატარებისათვის საჭირო მთელ რიგ ღონისძიებათა დასახვასთან ერთად, გამოიტანა დადგენილება აფხაზეთის კოლმეურნეობათა ცენტრის გამგეობის თავმჯდომარის კაკუჩაიას მუშაობიდან მოხსნისა და მისთვის საყვედურის გამოცხადების შესახებ მემარჯვენე ოპორტუნისტულ პრაქტიკისათვის, დარგვის კამპანიისათვის არადამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობის გაწევისათვის, აგრეთვე საოლქო კომიტეტის და აფხაზეთის ცაკის დირექტივების შეუსრულებლობისათვის.

აფხაზეთის კოლმეურნეობათა ცენტრის ფრაქციას გეგმის თვითნებური შეცვლისათვის საყვედური გამოეცხადა აფხაზეთის სააღმ. უმ. ტ. ს. ფრაქციას შენიშვნა მიეცა იმისათვის, რომ მან თავისი დავალებები სასოფლო ამხანაგობებს დაუკისრა (ადს).

## შრომის აღრიცხვის მოწესრიგების საქმეში

### რაიკოლმეურნეობათა კავშირის უპასუხისმგებლობას ბოლო არ ელება

## დაუდევრობას ბოლო უნდა მოეღოს

როგორც ადგილებიდან მიღებული ცნობები მოწმობენ კოლმეურნეობებში შრომის აღრიცხვის საქმეს გაუმჯობესება არ ეტყობა. კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის საკითხებისადმი ოპორტუნისტულ დამოკიდებულებას კვლავ აქვს ადგილი მთელ რიგ რაიონებში.

სოფ. ძველ-ანაგაში (სიღნაღის რაიონი) არსებობს 7 კოლმეურნეობა, აქედან მხოლოდ ორია გადასული სანარდო სისტემაზე და ისიც ფორმალურად (იხილე შენიშვნა „არ არის აღრიცხვა, არ არის სანარდო სისტემა").

საქ. კოლმეურნცენტრმა და „ზაკორგსტროიმ" დღემდე ვერ მოაწესრიგეს შრომის წიგნაკების სწორად შედგენის და მისი კოლმეურნეობებისათვის დროზე მიწოდების საკითხები. ბორჩალოს რაიონისათვის გადაგზავნილი შრომის წიგნაკები სადგურ სანდარაში ყრია, კოლმეურნეობები კი მუშაობას აწარმოებენ ყოველგვარი აღრიცხვის გარეშე. გორის რაიონში მიღებული წიგნაკების ტექსტი ისეა დამახინჯებული, რომ შეუძლებელი ხდება შრომა დღეების რეგულიარული ჩაწერა; ასე მაგალითად წიგნაკში თვეები დალაგებულია შემდეგნაირად: თებერვალი, მაისი, აპრილი, სექტემბერი, აგვისტო და სხვ. საქ. კ.პ. (ბ) ცკას დადგენილება შრომის აღრიცხვის გამარტივების და გაადვილების შესახებ, სათანადოთ არ სრულდება „ზაკორგსტროი"-ს და კოლმეურნეობათა რაიონული კავშირების მიერ.

ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული იყო კოლმეურნეობებში შრომის აღრიცხვის მოუწესრიგებლობის ამაშფოთებელი ფაქტები, მაგრამ ადგილობრივი ორგანიზაციები და განსაკუთრებით კოლმეურნეობათა გამგეობები დღემდე არ იღებენ საკმაო ზომებს ამ გამოაშკარავებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ასე მაგალითად, კოლმეურნეობებში შრომის აღრიცხვის მოწესრიგებისათვის ლაშქრობის ჩატარების შემდეგ მდგომარეობა ძველებურად უცვლელი დარჩა, სიღნაღის, სენაკის, ბორჩალოს, ზუგდიდის და სხვ. რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში.

ეს დანაშაულებრივი დაუდევრობა ახსნილი უნდა იქნას როგორც ნამდვილი მემარჯვენე ოპორტუნისტული გადახრა პრაქტიკაში და მას უნდა გამოეცხადოს დაუზოგავი და სისტემატიური ბრძოლა. სამაგალითოთ უნდა დაისაჯოს ყველა ის მუშაკები, რომლებიც დროზე და მთლიანად არ ატარებენ ცხოვრებაში დავალებებს აღრიცხვის მოწესრიგების და სანარდო მუშაობის ნამდვილად გატარების შესახებ.

პირველ რიგში უნდა მოთავდეს წიგნაკების დარიგება ყველა კოლმეურნეთათვის და რაც მთავარია უნდა მივიღოთ ყველა ზომები იმისათვის, რომ ამ წიგნაკებში შეტანილი იქნას სწორად კოლმეურნეთა მიერ გამომუშავებული შრომა დღეები.

გარდა ამისა ფართოდ უნდა გაიშალოს მუშაობა კოლმეურნეობებში მოსავლის და შემოსავლის სწორად განაწილების უზრუნველსაყოფად; ამისათვის საჭიროა: **თვითეულ კოლმეურნეთათვის მოსავლის განაწილების წესების დეტალურად გაცნობა, შრომის წიგნაკებში ჩაწერილი შრომა-დღეების ზუსტად შეჯამება, აკრეფილი მოსავლის სწორად აღრიცხვა და ავანსების გაცემა საქ. კოლმეურ. ცენტრის მიერ დაწესებულ მტკიცე წესების მიხედვით.**

მხოლოდ მემარჯვენე ოპორტუნისტული პასიურობის წინააღმდეგ დაუზოგავი ბრძოლით და სანარდო სისტემის ნამდვილად გატარების საფუძველზე შევძლებთ მოსავლის აკრეფის დროზე დამთავრებას და მოსავლისა და შემოსავლის სწორად და გეგმიანად განაწილებას.

**ი. რ.**

## შრომის წიგნაკები რაიკოლმეურნეობათა კავშირს არ სცილდება

**სიღნაღი, 22 ივლისი** (საკ. კორ). სოფ. ულიანოვკას და ასანურის კოლმეურნეობებს დღემდე არ მიუღიათ შრომის აღრიცხვის წიგნაკები, მიუხედავად იმისა, რომ რაიკოლმეურნეობათა კავშირში წიგნაკები მიღებულია —„ვისაც წიგნაკები სურთ, აქ მოვიდნენ და ნაღდ ანგარიშზე წაიღონ"—ასე აცხადებენ რაიკოლმეურნეობის მუშაკები.

ამ ფაქტიდან ჩანს, რომ სიღნაღის რაიკოლმეურნეობათა კავშირი არ არის დაინტერესებული შრომის აღრიცხვის მოწესრიგებაში.

**ნ. ქ—ძე**

## რა გამოირკვა

(წერილი სენაკიდან)

საკითხი კოლმეურნეობებში სანარდო სისტემის სისწორით გატარების შესახებ, სენაკის რაიონის პარტიულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში თავის დროზე დაისვა. ყველა კოლმეურნეობებში სპეციალურად დამუშავდა საკ. საბჭოების მე-6 ყრილობის, საკ. მიწსახკომის და კოლმეურნცენტრის დადგენილებანი—კოლმეურნეობებში მუშაობის სანარდო სისტემის სისწორით გატარების შესახებ.

მაგრამ ეს საქმე ყველგან თავის რიგზე არ არის დაყენებული. რომ ეს ასეა, ამას ფაქტიური მდგომარეობა ადასტურებს.

### ძირშივე აღვკვეთოთ არაჯანსაღი განწყობილებანი

ძვ. სენაკის კოლმეურნეობა „გიმათნემურიცხი" ჯერ კიდევ არ გადასულა მუშაობის სანარდო სისტემაზე, არ არის მოწესრიგებული შრომის აღრიცხვა. საგაზაფხულო თესვის გეგმის შესრულებისათვის ბრძოლა არა საკმარისად სწარმოებს. ტექნიკური კულტურების, განსაკუთრებით სოიას თესვაზე კოლმეურნეობა უარს აცხადებს. არ არის გამოყენებული სოციალისტური შრომის მეთოდები. გამგეობის წევრების მიერ მოზარდთა და ქალთა შრომის გამოყენების ოპორტუნისტულ შეუფასებლობას აქვს ადგილი.

მგზავსი მდგომარეობა სოფელ ლეძაძამის ჩაის საზოგადო შრომით დამმუშავებელ ამხანაგობაში, სადაც მუშაობის სანარდო სისტემაზე გადასვლის ხსენებაც არ ყოფილა.

### იქ, სადაც სანარდო სისტემაზე ფორმალურად გადადიან

ძვ. სენაკის ამხ. ს. მამულიას სახელობის კოლმეურნეობაში სანარდო სისტემით მუშაობა თავიდანვე ფორმალურ სახეს ატარებდა. არ სწარმოებდა და არ სწარმოებს შრომის ყოველდღიური და ზუსტი აღრიცხვა (მძიმე, საშუალო, მსუბუქი). ნამუშევრის შესრულების ხარისხს ყურადღება არ ექცევა. ყველა კოლმეურნეს, გაწეული შრომის, როგორც რაოდენობა, ისე ხარისხი ერთნაირად ეწერება. სრულებით არ არის გამოყენებული მოზარდთა და ქალთა შრომა. სუსტადაა გაშლილი სოციალისტური შრომის მეთოდები. შრომა დღეები არ არის გადაყვანილი და ნამუშევრის რაოდენობა კოლმეურნეებს დღესაც არა აქვთ შრომის წიგნაკებში ჩაწერილი.

სახარბიელო მდგომარეობა არც ნოქალაქევის—გახომილას უბნის კოლმეურნეობაშია. კოლმეურნეობა „შრომის ვარსკვლავი" მუშაობის სანარდო სისტემაზე თავიდანვე არ ყოფილა გადასული. ტაბელებით შრომის აღრიცხვა აპრილის უკანასკნელ რიცხვებიდან დაიწყო. ამ დროიდან ხდებოდა შრომის აღრიცხვა, მაგრამ არა სიზუსტით და ყოველგვარი მასიური კონტროლის გარეშე. კოლმეურნემ არ იცის თუ რა სამუშაო შეასრულა და რა ხარისხის. არ სწარმოებს სამუშაოების დახარისხება, არ არის გამომუშავებული ნორმები.

### კედლის გაზეთები სდუმან

აღნიშნულ კოლმეურნეობებში მუშაობის სანარდო სისტემის გატარებისა და შრომის აღრიცხვის მოწესრიგების საკითხზე ზემოდ-დასახელებული სოფლების კედლის გაზეთები სდუმან. შრომის აღრიცხვის ხუთდღიურთან დაკავშირებით მათ კრინტიც არ დაუძრავთ.



ბრიგადირი ადგენს შრომის სიებს

### დაკვრითი წესით მოვაწყოთ შრომის აღრიცხვა

არსებული მდგომარეობა სერიოზულ პასუხისმგებლობას აკისრებს პარტ-კომკავშირის უჯრედებს და სოფლის საბჭოებს.

ძირშივე აღვკვეთოთ ოპორტუნისტული განწყობილება სანარდო სისტემის გატარების საქმეში. აღმოვფხვრათ ყველა ის ნაკლოვანებები, რაც თან ახლავს მუშაობას სანარდო სისტემის გატარებას და დაკვრითი წესით უზრუნველვყოთ კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის მოწესრიგება.

გაზეთ „კომუნისტი"-ს ბრიგადა

**ბ. უჩანეიშვილი, რ. გაბეჩავა.**

## ისევ ძველებურად მუშაობენ

(ბორჩალო)

გაზეთ „კომუნისტ"-ში არა ერთხელ ყოფილა მოთავსებული შენიშვნები ბორჩალოს კოლმეურნკავშირის აპარატის მოუქნელობაზე, უმოქმედობაზე, კოლექტივებში სანარდო სისტემის და შრომის ორგანიზაციის მოუწესრიგებლობაზე, რომლის გამო რამოდენიმე გაფრთხილება, საყვედური და მითითება ჰქონია მიცემული კოლმეურნკავშირს მუშლეხინის და რაიპარტკომისაგან.

უნდა ითქვას, რომ კოლმეურნკავშირში დღემდე გარდატეხა არ მომხდარა. „პრავდა"-ს ინიციატივით გამოცხადებული „ხუთდღიური ლაშქრობა", რომელიც 25 ივნისიდან პირველ ივლისამდე უნდა ჩატარებულიყო, კოლმეურნკავშირის მიერ სამარცხვინოდ ჩაშლილი იქნა, ნაცვლად პირველი ივლისისა კოლმეურნეობებში, ზოგიერთების გამოკლებით, დღესაც არაა შევსებული შრომის წიგნაკები.

ერთ კვირაზე მეტია, საანგარიშო წიგნაკები სადგურ სანდარაში ჰყრია უპატრონოდ, იმ დროს, როდესაც კოლმეურნკავშირში ათი და ასი შეკითხვები მოდის ადგილებიდან, საანგარიშო წიგნაკების კოლექტივებში გადაგზავნის შესახებ.

კოლექტივებში საანგარიშო წიგნაკების უქონლობის გამო ბრიგადები, რომელიც შესდგება ცენტრიდან მივლინებულ მონაგარიშეებისა და ბუხჰალტრებისაგან, უსაქმოდ არიან—სცდებიან.

ზოგიერთი კოლმეურნეობების გამგეობაც კი იჩენს დაუშვებელ გულგრილობას აღრიცხვის მოწესრიგებისადმი. მაგ., კაჩაგანის, კასუმლოს და კარაჯ-მულანლოს კოლექტივების გამგეობებმა მონგარიშეებს კრებებზე არ გაუშვეს კოლექტივის წევრები—„ჩვენ მონგარიშეები არ გვჭირია, ისედაც ოლად წავალთ"-ო,

ერთი სიტყვით, ბორჩალოს რაიკოლმეურნკავშირი თვითმიმდინარეობაზეა დაყრდნობილი. გარდატეხა ჯერ არ მომხდარა მის მოუქნელ აპარატში. დრო ვერ ითმენს. საჭიროა რადიკალური ზომების მიღება.

**გრ. უ—ლი.**

## მოვაწესრიგოთ შრომის აღრიცხვა კოლმეურნეობებში

საქართველოს მთელ რიგ რაიონებში დღემდე არ არის მოგვარებული კოლმეურნეობებში შრომის აღრიცხვის საქმე. ა.-კ. ორგმშენის მიზეზით, რომელმაც დაუშვებლად გააჭიანურა შრომის აღრიცხვის წიგნაკების ადგილობრივ ენებზე გადათარგმნა და დაბეჭდვა, დაგვიანდა კოლმეურნეობების მომარაგება შრომის აღრიცხვის ფორმებით. ნაციონალური უმცირესობათა რაიონები დღემდე არ არიან მომარაგებულნი საჭირო წიგნაკებით.

დაუშვებელი გულგრილობა გამოიჩინეს ფორმების დაგზავნის საქმეში. მთელ რიგ რაიონებს წმინდა ქართული მოსახლეობით გაეგზავნა შრომის წიგნაკები რუსულ ენაზე (ხარაგოული).

საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრის მიერ მიღებულ დეპეშებიდან ჩანს, რომ მთელ რიგ რაიონებს, რომლებსაც, ა.-კ. ორგმშენის ცნობების თანახმად, უკვე გადაეგზავნათ აღრიცხვის ფორმები, წიგნაკები ჯერ არ მიუღიათ (აფხაზეთი, ტყიბული). თელავში, მოთხოვნილი 5.660 შრომის წიგნაკის ნაცვლად, მიღებულ იქნა მარტო 60 წიგნაკი, ხოლო 2.830 საწევრო წიგნაკის ნაცვლად—30 წიგნაკი. მეტად უმსგავსოდ შედგენილია წიგნაკები ტექნიკურადაც. გორის რაიონმა მიიღო შრომის წიგნაკები, რომლებშიაც თვეები ფურცლებზე დალაგებულია შემდეგნაირად: თებერვალი, მაისი, აპრილი, სექტემბერი და აგვისტო.

ყველაფერი ეს აფერხებს კოლმეურნეობებში შრომის აღრიცხვის გატარებას და აგვიანებს სწორ სანარდო სამუშაოზე გადასვლას (ადს).

## არ არის აღრიცხვა, არ არის სანარდო სისტემა

(სოფ. ძველი-ანაგა, სიღ. რაიონი)

აქ არსებობს 7 სასოფლო სამეურნეო არტელი, რომელშიაც არ არიან გადასულნი სანარდო სისტემაზე. 7 კოლმეურნეობიდან მხოლოდ ორშია გატარებული სანარდო სისტემა, ისიც ფორმალურად. კოლმეურნენი ნაკლებად იცნობენ სანარდო სისტემის მნიშვნელობას და გაზეთ „პრავდა"-ს ინიციატივით ჩატარებულ ხუთდღიურ ლაშქრობას. სოფლის საბჭო სუსტად ხელმძღვანელობს კოლმეურნეობებს, საბჭო არც კი დაინტერესებულა, თუ როგორ არის გატარებული სანარდო სისტემა კოლმეურნეობებში. — ბრიგადული მუშაობა, შრომის აღრიცხვა, ქალთა შრომის გამოყენება და სხვა,—ასეთებზე ხმის დაძვრაც ზედმეტია.

საჭიროა სოფ. ანაგის კოლმეურნეობებშიაც დაჩქარებით და სწორად იქნას გატარებული სანარდო სისტემა. მოვითხოვთ, რათა რაიკოლმეურნეობათა კავშირმა ანაგის კოლმეურნეობებზე გააძლიეროს პრაქტიკული ხელმძღვანელობა.

**გ. ბ.**

## მომზადებული შევხვდეთ თამბაქოს ფოთლის პირველ მოკრეფას

**დროზე ჩავატაროთ თამბაქოს პლანტაციების მორწყვა - დამუშავება, — დაკვრითი წესით დავამთავროთ თამბაქოს საშრობი ფარდულების შეკეთება.**

გავიდა 5 დღე

## დამკვრელ ათდღიურის დამთავრებამდე საკონტროლო ციფრი გადაჭარბებით უნდა დავფაროთ

დარჩა 5 დღე

## თამბაქოს მოსავალი ნადგურდება

(აჭარისტანი)

აჭარისტანმა წელს ვერ შეასრულა მთლიანად თამბაქოს პლანტაციების გაშენების გეგმა. 930 ჰექტარიდან წელს თამბაქოს დაეთმო მხოლოდ 780 ჰექტარი. ძლიერ ჩამორჩა ქედის რაიონი, რომელზედაც ვალად დარჩა თითქმის 200 ჰექტარი.

თამბაქოს გავრცელების გეგმის შეუსრულებლობა გამოიწვია ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წმინდა წყლის ოპორტუნისტულმა მუშაობამ; გეგმები დროზე არ იყო დაყვანილი სოფლამდე, კოლმეურნეობამდე. კონტრაქტაცია ჩატარდა დაგვიანებით. საკონტრაქტაციო ფურცლებში შეჰკონდათ მკვდარი სულები, კოლმეურნეობებში შესული გლეხები.

გაიფლანგა და განიავდა (ქედის რაიონი) პლანტაციებისათვის გადადებული სიმინდი და სამრეწველო საქონელი. ყველა ამან გამოიწვია უდიდესი ჩამორჩენა თამბაქოს ფრონტზე.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ის პირნი, რომლებიც დამნაშავენი არიან თამბაქოს გავრცელების ჩაშლაში, არ არიან მიცემულნი პასუხისგებაში.

ამ დღეებში დაიწყება თამბაქოს პირველი მოსავლის აკრეფა. აჭარისტანი არ არის მზად თამბაქოს მოსავლისათვის.

არც ერთ რაიონში არ არის აგებული თამბაქოს საშრობები. ბათომის და ქედის რაიონებში დღევანდლამდე არ არის დამზადებული საშენებელი მასალა და ყავარი საშრობების დასახურავად.

თამბაქოს რაიონები არ არიან მომარაგებული კანაფით, რომელიც საჭიროა თამბაქოს ფოთოლის ასაკინძავად.

პლანტატორებს უკვე დიდი ხანია, რაც არ მიუღიათ კუთვნილი სიმინდი. ადგილებზე შექმნილია ძლიერ ცუდი მდგომარეობა სიმინდის უქონლობის გამო. რაიონებში არ არის გადასროლილი აგრეთვე სამრეწველო საქონელი.

თამბაქოს მოსავლის აკრეფა საფრთხეშია. საჭიროა სასწრაფო ზომები შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

**ჯემალ გურჯიძე.**

## პლანტაციები ნადგურდება

**ლაგოდეხი, 23 ივლისი.** დაუშვებელ გულგრილობას აქვს ადგილი თამბაქოს პლანტაციების დამუშავების საქმეში. მთელ რიგ სოფლებში დაუმუშავებლობის გამო იღუპება თამბაქოს ნათესები. ასე მაგალითად გაუთოხნელობის გამო სოფ. აფენში სრულიად გაფუჭებულია თამბაქოს ნათესი 5 ჰექტარზე. ყურადღება არ ექცევა ნაკელის შეტანას და პლანტაციების მოვლას.

ადგილობრივ მომუშავე აგრონომები და აგროტექნიკოსები სრულ უმოქმედობას იჩენენ თამბაქოს მოვლა-დამუშავების საქმისადმი.

საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება თამბაქოს ნათესების მოვლა-დამუშავების დასაჩქარებლად და პლანტაციების დაღუპვისაგან გადასარჩენად.

**გ. გალოგრე, გ. კობერიძე.**

## უკანასკნელი ცნობები თამბაქოს გადარგვის შესახებ

(მიწსახკომის ცნობები)

18 ივლისისათვის თამბაქო გადარგული იყო სულ 24.791 ჰექტარი, შესრულებული იყო გეგმის 95,1%. აქედან კოლმეურნეობებს გადარგული ჰქონდათ 8.012 ჰექტ., ანუ გეგმის 79,5 პროც., კერძო სექტორს 15.995 ჰექტარი, გეგმის 105 და საბჭოთა მეურნეობებს 784 ჰექტარი, რაც გეგმის 105,9 პროცენტს შეადგენს.

რაიონების მიხედვით გადარგულია:

| | ჰექტ. | გეგმის შესრულება %%-ში | |
|---|---|---|---|
| ახალციხე | 100 | 100 | % |
| თელავის | 184 | 92 | „ |
| სიღნაღის | 609 | 76 | „ |
| ყვარელის | 183 | 91,4 | „ |
| ლაგოდეხის | 2,262 | 102,8 | „ |
| სამტრედიის | 62 | 88,6 | „ |
| ზუგდიდის | 916 | 95,8 | „ |
| ხობის | 62 | 68,9 | „ |
| წალენჯიხის | 321 | 49,3 | „ |
| ჩხოროწყუს | 169 | 42,3 | „ |
| ჩოხატაურის | 700 | 100 | |
| აფხაზეთი | 18.377 | 97,2 | „ |
| აჭარისტანი | 788 | 98,5 | „ |
| ოზურგეთის | 10 | — | |
| სენაკის | 2 | — | |
| ადიგენის | 5 | — | |
| მარტვილის | 15 | — | |
| ბაღდათის | 26 | — | |

ამრიგად რაიონების უმეტეს ნაწილში გეგმა შესრულებულია. განსაკუთრებით ჩამორჩენილი არიან ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის, სიღნაღის, სამტრედიის, ყვარელის და სხ. რაიონები. სექტორებიდან ყველაზე ჩამორჩენილია კოლმეურნეობები, რომლებსაც შესრულებული აქვთ გეგმის მხოლოდ 79,5 პროც.

## სოფლად სესხის რეალიზაციის საბრძოლო ტემპებისათვის

ა.-კ. პროფსაბჭომ, საქ. ალკკ ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა, ა.-კ. კოლმეურნეობათა ცენტრმა და ა.-კ. ცაკთან არსებულმა სახელმწიფო სესხის ხელშემწყობმა ცენტრალურმა კომისიამ მიმართეს პროფესიონალურ, კომკავშირულ, საკოლმეურნეო და საბჭოთა ორგანიზაციებს, აგრეთვე ხელშემწყობ კომისიებს მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია: „მიუხედავად პარტიული, საბჭოთა და პროფესიონალური ორგანიზაციების მთელი რიგი დადგენილებებისა სოფლად სესხის წარმატებით და თავის დროზე რეალიზაციის შესახებ, მრავალ საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციას დღემდე არ გაუშლია ფართო მასიური მუშაობა სესხის რეალიზაციისათვის და არ გადაუტანია სოფელში სესხის რეალიზაციის ის გამოცდილება, რომელიც მიღებულ იქნა ქალაქად.

ამის გამო, ა.-კ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმი, საქ. ალკკ ა.-კ. სამხარეო კომიტეტი, ა.-კ. კოლმეურნეობათა ცენტრი და ა.-კ. ცაკთან არსებული სახელმწიფო სესხის ხელისშემწყობი ცენტრალური კომისია წინადადებას იძლევიან—დაუყოვნებლივ გადაყვანილ იქნეს სოფლად სესხის რეალიზაციის მთელი მუშაობა დაკვრით ტემპებზე საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის, საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა კავშირის კოლმეურნეობათა ცენტრის და საკავშირო ცაკთან არსებული სახელმწიფო სესხის ხელისშემწყობი ცენტრალური კომისიის დადგენილების საფუძველზე (ადს).

## სოცშეჯიბრება არ არის გამოყენებული

(ლაგოდეხი)

ლაგოდეხის თემში მესამე გადამწყვეტი წლის სესხი უნდა გასაღდეს 7.630 მანეთის რაოდენობით. თემში არსებულ 17 კოლმეურნეობიდან ხელის მოწერა სესხზე ჩატარებულია 10 კოლმეურნეობაში, რომლებმაც 6.030 მანეთი დაფარეს დანარჩენ 7 კოლმეურნეობას სესხის რეალიზაცია ჯერ კიდევ არ დაუწყიათ.

ერთმა კოლმეურნეობამ შემნახველ სალაროს წარმოუდგინა ხელის მოწერის დროს ნაღდად შეგროვილი 145 მანეთი.

სესხზე ხელის მოწერის დროს თემში სრულიად არ არის გამოყენებული სოცშეჯიბრება.

**მიხ. გოკუჩავა**

## ერთი თვის შემოსავალი

(სოფ. ქვიშხეთი)

სოფ. ქვიშხეთის სას. სამ. არტელის წევრებმა დაადგინეს ხელი მოაწერონ მესამე გადამწყვეტ - წლის სესხზე ერთი თვის შემოსავლის რაოდენობით და სოც შეჯიბრებაში გამოიწვიეს ამავე რაიონის სოფ. ცეზრის და სოფ. სავანის უბნის კოლმეურნეები. სესხზე ხელის მოწერის ტექნიკურად გაფორმება დავალებული აქვს კოლმეურნეობასთან გამოყოფილ ადგილობრივ დამხმარე კომისიას, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას.

ხელის მოწერა უახლოეს დღეებში დამთავრდება.

**გ. დარ—ძე**

## კომკავშირი სესხის რეალიზაციის ფრონტზე

საქ. კომკავშირის ც. კ-ტმა აღნიშნა, რომ ა.ლ. კომკავშირის ზოგიერთმა საოლქო უჯრედმა და რაიკომმა ვერ შესძლო უზრუნველყოს კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა ფართო მასების მობილიზაცია მესამე, გადამწყვეტი სესხის რეალიზაციის გარშემო.

ა.ლ. კომკავშირის ც. კომიტეტმა წინადადება მისცა ა.ლ. კომკავშირის ყველა საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტებს—დაუყოვნებლივ მიაღწიონ რადიკალურ გარდატეხას სესხის რეალიზაციაში და მუშაობა ამ დარგში დაუკავშირონ თავის აღებს, დამზადებებს და სხვა კამპანიებს სოფლად.

საქ. ა.ლ. კომკავშირის ცენტრ. კომიტეტმა წინადადება მისცა ადგილებს — შეასრულონ სრ. საკ. ა.ლ. კომკავშირის ცენტ. კომიტეტის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ „თვითეულმა კომკავშირელმა უნდა შეაგროვოს 6 ხელმომწერი". ამისათვის საჭიროა ყველა კომკავშირელების მიმაგრება სახლებზე, კოლმეურნეობების განსაზღვრულ უბნებზე და მასიური - საგიტაციო მუშაობის გაშლა.

წინ წასულმა კომიტეტებმა და უჯრედებმა ხაზ. ბუქსირზე უნდა აიყვანონ ჩამორჩენილი კომიტეტები და უჯრედები. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა კომკავშირელებმა და უპარტიო კოლმეურნე ახალგაზრდობამ ხელი მოაწერონ სესხზე არა ნაკლებ 21 დღის შემოსავლისა.

ც. კომიტეტის დადგენილებით ფინესტაფეტის ფინიში სოფლის სექტორში გაგრძელებულია 30 ივლისამდე.

## დამხმარე კომისიები სუსტად მუშაობენ

**სიღნაღი, 21 ივლისი.** სესხის რეალიზაციის დამკვრელ ათდღიურთან დაკავშირებით სიღნაღის პარტრაიკომმა და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა სოფლებში გაგზავნეს პასუხისმგებელი ამხანაგები, რომლებიც ადგილებზე ხელმძღვანელობენ სესხის რეალიზაციას.

20 ივლისისათვის რაიონს დაფარული ჰქონდა საკონტროლო დავალების 80 პროც. მუშა - მოსამსახურეების საკონტროლო ციფრი შესრულებულია 28,2 პროც.-ს გადაჭარბებით.

რაიონის კოლმეურნეთა შორის გასაღებული უნდა იქნეს 70.000 მანეთის, ხოლო კერძო სექტორში 140.000 მანეთის სესხი. 20 ივლისისათვის კოლმეურნეობებს ხელის მოწერით შეგროვილი ჰქონდათ 65.760 მან. სესხის რეალიზაცია კერძო სექტორში ჯერ კიდევ არ გაშლილა. უნდა აღინიშნოს, რომ სახ. კრედიტის დამხმარე ადგილობრივი კომისიის მუშაობა სესხის რეალიზაციაში სრულიად არა ჩანს.

**ნოე კიკნაძე**

# წყალდიდობის შედეგები

## საქ. სამხ. გზატკეცილი გაუვარგისებულია

### გზის შესაკეთებლად საჭიროა 9.000 მუშა და 1.400 ურემი

საქ. გზატრანსის სამმართველომ გამოყო სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა შეემოწმებია უკანასკნელი წყალდიდობისაგან საქ. სამხედრო გზატკეცილებისათვის მიყენებული ზარალის რაოდენობა. კომისიამ, რომელშიც შედიოდა საქგზატრანსის სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. ვ. სიხარულიძე, იმავე სამმართველოს საგზაო ნაწილის უფ. ინჟ. ჯაში, 1 საექსპლოტაციო უბნის უფროსი—ამხ. სოკ. ბაბლიძე და სხვა, გამოარკვია, რომ გზატკეცილი სხვადასხვა ადგილას, დაწყებული მე-74 კილომეტრიდან მე-174 კილომეტრამდე, სრულიად დანგრეულია და განადგურებულია 2 კილომეტრისა და 20 მეტრის მანძილზე.

მე-74 კილომეტრიდან მე-107 კილომეტრამდე გზა მორიყულია ხევებიდან ჩამოხიდული ქვებით და ხრეშით. მარტო ამ ადგილებზე შემოსავლელი გზის გაყვანა დაჯდება 15.000 მანეთი.

მდინარეების კალაპოტიდან დროებითი მოსავლელი გზების გაყვანა დაჯდება 75.000 მანეთი, ხოლო კლდიან ადგილებში შემოსავლელი გზების გაყვანა დაჯდება 1200 მანეთი.

კომისიამ აღმოაჩინა, რომ წყალდიდობას სავსებით გაუნადგურებია რამოდენიმე ხიდი, მე-85 კილომეტრზე მდინარესთან გზა სავსებით წალეკილია. აღნიშნული ხიდიც (რკინა-ბეტონის) უსარგებლოდ უნდა იქნეს დატოვებული. იმის შემდეგი ხის ხიდი (მე-92 კილომეტრზე) დარჩენილია გზის გარეშე. ასეთივე ბედი ეწვიათ რამოდენიმე სხვა ხიდებს.

აღნიშნული ხიდების მახლობლად მოძრაობის აღდგენისათვის საჭირო იქნება—ხიდების გაწმენდა, რაც, დაახლოებით, 13.500 მანეთი დაჯდება; ხიდების გვერდის მდინარეებისაგან გარღვეული ადგილების ამოყვავება დაჯდება 4.500 მანეთი და მე-97 კილომეტრზე ქვითა და ხრეშით დაფარული რკინა-ბეტონის ხიდის მაგიერ ახალი გასავლელი ადგილის გასაკეთებლად საჭირო იქნება 1500 მანეთის დახარჯვა.

წყალდიდობის დროს გზაზე ჩამოტანილი ქვებისა და ხრეშის გადაზიდვა (მე-73 კილომეტრიდან მე-103 კილომეტრამდე) მოითხოვს 20.000 კუბიკური მეტრის მიწის სამუშაოების შესრულებას, რისთვისაც საჭირო იქნება 30.000 მანეთი. გარდა ამისა, სხვა ადგილებზე გზის გასაწმენდათ საჭირო იქნება 5.400 მანეთის სამუშაოთა შესრულება.

წყალდიდობის გამო შევიწროვებულია გზის სიფართოვე მე-74 კილომეტრიდან—მე-117 კილომეტრამდე და მე-174 კილომეტრიდან მე-180 კილომეტრამდე. სამუშაო გზის გასწორებისათვის აღნიშნულ ადგილზე ისე, რომ თავისუფალი მოძრაობა იქნეს უზრუნველყოფილი, მოითხოვს 15.000 მანეთის ხარჯს.

სოფ. ანანურსა და მლეთის შორის ნიაღვრისაგან დაზიანებული გზის შესაკეთებლად საჭირო იქნება 16.800 მანეთის დახარჯვა. წყლისაგან 43 კილომეტრის მანძილზე დაზიანებულია გზის ფერდობი ნაწილებიც, რომლის შესასწორებლადაც საჭიროა 30.000 მანეთის დახარჯვა.

გარდა ამისა, დაზიანებულია გზაზე მდებარე ღია-ღარები მე-73 კილომეტრიდან დაწყებული მე-99 კილომეტრამდე და მათ წესიერ მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო იქნება 16.000 მანეთის დახარჯვა.

გზის დანარჩენ ადგილებზე ღია-ღარების შესაკეთებლად საჭირო იქნება 4.800 მანეთად ღირებული სამუშაოების შესრულება.

სულ კომისიის დასკვნით, უკანასკნელი წყალდიდობის დროს საქ. სამხედრო გზატკეცილისათვის მიყენებული ზარალი უდრის 250.000 მანეთს.

### მოძრაობა უნდა განახლდეს ორ კვირაში

გზაზე მოძრაობის აღსადგენათ კომისიამ შესაძლებლად სცნო, ყველა დასახელებული სამუშაოების შესრულება ორი კვირის ვადაში. ყოველდღიურად გზის აღსადგენ სამუშაოებზე გამოყვანილი უნდა იქნეს ექვსას-ექვსასი მუშა და ას-ასი ურემი.

ასეთი რიცხვის მუშა-ხელის საშუალებით გზაზე მოძრაობა უკვე აღდგენილი იქნება აგვისტოს შუა რიცხვებში.

კომისიამ თავისი დასკვნები გადასცა მთავრობას, საიდანაც ამ დღეებში გაგზავნილი იქნება გზის შესამოწმებლად საგანგებო კომისია.

გზის აღსადგენი სამუშაოები არ არიან უზრუნველყოფილი, არც მუშა-ხელით, არც თანხებით და არც სურსათ-სანოვაგით. ადგილობრივი აღმასკომები გზის ადმინისტრაციას არ უწევენ დახმარებას მუშა-ხელის დაქირავებაში.

კომისია ამასთანავე აღნიშნავს, რომ გზის შეკეთება ასე მოკლე ხანში მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით შეუძლებელი იქნება, თუ სხვა რაიონებიდანაც არ იქნა გამოგზავნილი მუშა-ხელი.

ამჟამად კი გზის აღდგენაზე მუშაობს ყოველდღიურად ორასი კაცი.

გზატრანსის სამმართველომ გზის აღსადგენ სამუშაოთა შესრულებისათვის თავის საგანგებო რწმუნებულად დანიშნა ამხ. სოკ. ბაბლიძე, რომელსაც დაევალა სათანადო ზომების მიღება იმისათვის, რომ სამუშაოები უზრუნველყოფილი იქნეს სათანადო მუშა-ხელით.

საჭიროა ადგილობრივი ხელისუფლების მხრივ ფართო დახმარება. უამისოდ გზაზე მოძრაობა დაჩქარებით ვერ იქნება აღდგენილი.

უმაღლესი ორგანოების წინადადებით ცეკავშირმა უკვე გამოყო სამრეწველო საქონლისა და სურსათ-სანოვაგის ფონდები გზის აღსადგენ სამუშაოებში ჩაბმული მუშა-ხელისათვის.

### ზარალი სოფ. გუდამაყარში

უკანასკნელი წყალდიდობის დროს დუშეთის რაიონიდან ყველაზე უფრო დაზარალდა დაბა ფასანაური და სოფ. გუდამაყარი. სოფ. გუდამაყარში წაღებულია ყველა წისქვილები, ნათესები და გატაცებულია აურაცხელი შინაური საქონელი.

მოსახლეობა უმწეო მდგომარეობაშია, რადგან მათ არ გააჩნიათ არც საფქველი მასალა და არც წისქვილი, ხოლო შორ სოფლებში მოსავალი გზები და ხიდები წალეკილია.

სოფ. გუდამაყარში წყალდიდობის დროს დაიხრჩო 12 კაცი, რომლებსაც სიმინდი მოჰქონდათ ჩრდილო-კავკასიიდან.

### ცაგერის რაიონში დაზარალდენ ნათესები და ვენახები

ცაგერის რაიონში (ლეჩხუმი) სეტყვამ გაანადგურა 646,5 ჰექტარი ნათესი, 925 ჰექტ. სიმინდი, 257 ჰექტარი ლობიოს ნათესი და 185,5 ჰექტარი ვენახი.

დაზარალებული სოფლებისათვის საჭიროა დახმარების აღმოჩენა.

**სვანიძე.**

# ქაღალდების დაგროვებას ცენტრ. მმაჩში ბოლო უნდა მოეღოს

საქართველოს ცენტრალური მმაჩი და მისი ადგილობრივი ორგანოები ვერ დგანან თავიანთ დანიშნულების სიმაღლეზე. ამჟამად ცენტრალურ მმაჩში დაგროვდა უამრავი ქაღალდი—ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების შეკითხვები, მოქალაქეთა განცხადებები, სახალხო სასამართლოებისა და ადგილობრივი კომისიების დადგენილებები დაბადების წლის აღდგენის, მოქალაქობრივი მდგომარეობის ჩასაწერ წიგნებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ და სხვ. ადგილებიდან მოსული მასალის დიდი რაოდენობა ჯერ კიდევ გაუხსნელია. ცენტრალურმა მმაჩმა არ იცის, რომელ სასოფლო მმაჩიდანაა მიღებული ოქმები. ცენტრ. მმაჩმა არ იცის ისიც კი, მმაჩის რამდენი განყოფილება არსებობს ადგილობრივ, ასე რომ სამოქალაქო მდგომარეობის საბუთების დენა ცენტრ. მმაჩში თვითდინებით სწარმოებს.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ, რომელიც ასეთ მდგომარეობას დაუშვებლად სთვლის, წინადადება მისცა ცენტრალურ მმაჩს—სამი თვის ვადაში შეასრულოს დაგროვებული ქაღალდები და წესრიგში მოიყვანოს არქივი. ამას გარდა მასვე მიეცა სხვა წინადადებები და მითითებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ცენტრ. მმაჩის მუშაობის გაუმჯობესებას.

„კომუნისტთან“ არსებული **გაზეთის მუშაკთა მოსამზადებელი კურსები გა იხსნება 1 აგვისტოს**

რაიონებიდან წარმოგზავნილი ამხანაგები უნდა გამოცხადდენ 28 ივლისს „კომუნისტი“-ს რედაქციაში ამხ. ქართსანიძესთან. (კურსებზე მისაღები პირობები იხ. „კომუნისტი“-ს 24 ივლისის №-ში).

**კურსების გამგეობა.**

# ქაღალდი ვაზის წალამიდან

## (საკ. კორესპონდენტისაგან)

საუბარი ლენინგრადის ქიმიკო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტთან არსებულ ქაღალდის ლაბორატორიის უფროს ინჟინერ ამხ. გრაბოვსკისთან.

ჩვენი გაზეთის სპეც. ლენინგრადელ კორესპონდენტთან საუბარში, საქართველოს ვენახების წალამიდან ქაღალდის დამუშავების შესახებ, ინჟინერ გრაბოვსკიმ განაცხადა:

— ვაზის წალამიდან ქაღალდის დამუშავების ცდები სწარმოებდა ჩვენს ინსტიტუტთან არსებულ საცდელ ლაბორატორიაში პროფესორ ფოტიევის ზედამხედველობით და ჩემი უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ.

ასეთი ცდები არც საბჭოთა კავშირში, არც უცხოეთში ჯერ არ წარმოებულა. აღსანიშნავია, რომ ფრანგულ ჟურნალების უკანასკნელ ცნობის მიხედვით საფრანგეთის სამეურნეო ორგანოები მხოლოდ ეხლა შეუდგენ ვაზიდან ქაღალდის დამუშავების პროექტების განხილვას; ალბათ, მოკლე ხანში იქაც გაიშლება ეს წარმოება; მაგრამ საქართველოს წალამმა დაასწრო შამპანიის წალამს და დღეს ჩვენ უკვე ხელთ გვაქვს ვაზის წალამიდან დამუშავებულ ქაღალდის პირველი ნიმუშები.

წალამში ბოჭკო შედარებით მოკლეა, ვიდრე წიწვიან ხეში, მაგრამ ეს გარემოება საფაბრიკო წარმოებისათვის დამაბრკოლებელ მიზეზს არ წარმოადგენს, რადგანაც დასაშვებია მრავალი სახის კომპოზიციები (15-25 პროც. რომელიმე გრძელ ბოჭკოვან მასალის შერევა).

შეურევლადაც, მხოლოდ ვაზიდან ქაღალდის წარმოება, ჩემის აზ.ით, უნდა იქნეს სავსებით რენტაბელური, რადგან ვაზის წალამს თავისი ხასიათით დიდი მსგავსება აქვს ბზესთან, ხოლო ამ უკანასკნელიდან ქაღალდის დამუშავებისათვის საბჭოთა კავშირში არსებობს სამი სპეციალური ქარხანა.

ამჟამად ჩვენი ლაბორატორია განაგრძობს წალამის ხარშვას და მისგან მიღებულ ცელულოზის გათეთრების ცდებს. ამ ცდების მიზანია ყველაზე უფრო ეკონომ. რეცეპტის მიღება. პარალელურად, ინსტიტუტის დადგენილებით, საფაბრიკო წარმოების ცდების მოსახდენად წალამი იგზავნება ქალ. პენზის ქაღალდის ქარხანაში.

მიუხედავად იმისა, რომ ვაზის წალამიდან ქაღალდი უკვე მიღებული გვაქვს, ცდებს მაინც განვაგრძობთ, რადგანაც საჭიროა ტექნიკურ დამუშავების საბოლოო სისტემის შედგენა და ამგვარ წარმოების ყოველი შესაძლებლობის გამორკვევა, ხოლო ამთავითვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ვაზის წალამიდან გამოვა სამი ჯურის ქაღალდი: საწერი, საგაზეთო და საწიგნო.

ვაზის წალამის ბარაქიანობა უდრის 35 პროცენტს ე. ი. ყოველ 100 ტონა წალამიდან შეიძლება დამუშავდეს 35 ტონა ქაღალდი. ეს სავსებით საკმარისი პროცენტია.

ინჟ. გრაბოვსკის აზრს მთლიანად იზიარებს საცდელ ლაბორატორიის დირექტორი პროფ. ფოტიევი.

**ს. ბეგიაშვილი.**

# ბარიტის მუშების მომარაგება უნდა გაჯანსაღდეს

ბარიტის სამუშაოების მუშათა მომარაგების საქმეში საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისია აღნიშნავს მთელ რიგ თვალსაჩინო დეფექტებს. ფქვილის მიღების ანგარიშწარმოების უქონლობამ ოფურჩხეთის და წიფლარის კოოპერატივებში, რომლებიც ისონერის და წიფლარის ბარიტის საბადოების სამუშაოებს ემსახურებიან, ხელი შეუწყო პურის რესურსების განიავებას. აღნიშნულია აგრეთვე მუშებისათვის პურის მიწოდების შეფერხების შემთხვევები. ხშირად პური ცხელი იგზავნება, რის გამოც მისი 25 პროცენტი ფუჭდება, ხოლო დანარჩენი ჰკარგავს თავის ღირსებას. მუშათა მომარაგება სამრეწველო და სასურსათო საქონლით როგორც პირველ, ისე მეორე კვარტალში არასკმაო იყო, თუმცა ადგილობრივი ფონდი მომარაგების სრულ შესაძლებლობას იძლეოდა.

გუმბარიტის დირექციის მუშაკთა შორის ადგილი ჰქონდა თვითმომარაგებას. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ გუმბარიტის დირექციას საყვედური გამოუცხადა თვითმომარაგებისა და ბარიტის მუშების მომარაგების საკითხისადმი უყურადღებობისათვის; საყვედური გამოეცხადა აგრეთვე ქუთაისის და ბარიტის სამუშაოების კოოპერატიული ორგანიზაციების მთელ რიგ მუშაკებს.

ბარიტის მუშების მომარაგება სათანადოთ და დაუყოვნებლივ უნდა გაუმჯობესდეს (ადს).

# რამდენიმე ათასი მოწაფე ზაფხულში ქუჩის გავლენის ქვეშ რჩება

თბილისის სახალხო განათლების განყოფილებას წელს „დაავიწყდა“ დროზე ეზრუნა ზაფხულში სასკოლო მოედნების მოსაწყობად. სასკოლო მოედნები 15 ივნისის ნაცვლად გაიხსნა ივლისის პირველ რიცხვებში. ამჟამად თბილისში მუშაობს 6 სასკოლო მოედანი, რომლებითაც სარგებლობს 1.370 მოწაფე. სულ კი პირველი და მეორე საფეხურის სკოლებში არის 40.000 მოწაფე. მთელი რიგი ორგანიზაციები აფერხებენ სასკოლო მოედნების ქსელის გაშლას. მაგალითად, ორჯონიკიძის სახელობის კლუბი, რომელსაც დიდი ბაღი აქვს, ნებას არ იძლევა მოეწყოს იქ სასკოლო მოედანი; ამიერ-კავკ. კომუნისტურ უნივერსიტეტს ეშინია, რომ ბავშები გააფუჭებენ მის ბაღს და სხვ.

ამგვარად, რამდენიმე ათასი მოწაფე, უმთავრესად მუშების შვილები, ზაფხულის განმავლობაში ქუჩის გავლენის ქვეშ ექცევიან. ეს მით უფრო არანორმალურია, რომ სასკოლო მოედნებზე მეცადინეობა წარმოადგენს ორწლიანობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ სახეს. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის, რომ პედაგოგებს არ სურთ სასკოლო მოედნებზე მუშაობა. ამის გამო განათლების განყოფილება იძულებულია გამოიყენოს უფრო ნაკლები კვალიფიკაციის მასწავლებლები.

დაუშვებელ დამოკიდებულებას იჩენს სასკოლო მოედნებისადმი თვით განათლების განყოფილებაც. მას თავის ბიუჯეტში არა აქვს გათვალისწინებული თანხა ამ საქმისათვის. განათლების განყოფილება კმაყოფილდება მხოლოდ მასწავლებლების ხელფასის გაცემით. ყველა დანარჩენ ხარჯებს იღებენ სასკოლო გაერთიანებები.

# ქრონიკა

### ა.-კ. შეჯიბრება სროლაში

27 და 28 ივლისს საქართველოს მონადირეთა კავშირის სასროლო სექცია აწყობს სროლაში შეჯიბრებას.

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ა.-კ. ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების მონადირეთა გაერთიანებანი სამხედრო გუნდები და სხვ.

შეჯიბრება მიზნად ისახავს ფართო მასების სროლაში მომზადების შემოწმებას და მათ ჩაბმას თავდაცვის მუშაობაში (ადს).

### კ. მარქსის და ფ. ენგელსის ინსტიტუტთან არსებული მუზეუმის და პროლეტარიატის ისტორიისა და კლასობრივი ბრძოლის ამიერ-კავკასიის ფილიალი

ამიერ-კავკასიის ცაკმა საჭიროდ სცნო დააჩქაროს კ. მარქსის და ფ. ენგელსის ინსტიტუტთან არსებული მუზეუმის და პროლეტარიატის ისტორიისა და მისი კლასობრივი ბრძოლის ამიერ-კავკასიის ფილიალის გახსნა, ა.-კ. ცაკის საქ. მმართველობას და საბჭ. მშენებლობის და უფლების ინსტიტუტს წინადადება მიეცათ მიიღონ საჭირო ზომები ფილიალის გასახსნელად (ადს).

### საბჭოთა მშენებლობისა და უფლების ინსტიტუტის დირექტორის ახალი მოადგილე

საბჭოთა მშენებლობისა და უფლების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ ა.-კ. ცაკმა დაამტკიცა ამხ. ა. ი. გეგენავა (ადს).

### აფხაზეთში და აჭარისტანში არ არსებობს გამომგონებლობის და რაციონალიზაციის ბიუროები

აფხაზეთში და აჭარისტანში, მიუხედავად იმისა, რომ აქ ბევრი მუშა-გამომგონებელია, ცენტრალურ ორგანოებთან დღემდე არ არის მოწყობილი გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ბიუროები და რაციონალიზატორული ორგანოები. ამის გამო უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიცაა სათბობის ეკონომია, ცალკე რგოლებში თვითღირებულების შემცირება, მუშების ყურადღების გარეშე რჩება.

საჭიროა სამეურნეო ორგანოებმა და პროფკავშირებმა სასწრაფო წესით დარაზმონ გამომგონებლები და ფართოდ გაშალონ მუშაობა მუშათა წინადადებების მოზიდვისა და რეალიზაციისათვის (ადს).

### სხვადასხვა

— 25 ივლისს, საღამოს 8 საათზე შესდგება საფინანსო კოოპერატიულ ინსტიტუტის პირველი და მეორე კურსის საწარმოო პრაქტიკაზე მყოფ (თბილისში) სტუდენტების კონფერენცია საწარმოო პრაქტიკის შესახებ.

### შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში, ამხ. აკ. ქართსანიძის წერილში, გაიპარა შეცდომა, პირველ აბზაცში—სწერია: 1931 წლის პირველი იანვრისათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო ღარიბ და საშუალო მეურნეობათა 32,5 პროცენტი, უნდა იყოს: 20,5 პროც.

# რა ხდება ადგილებზე

### ნავთის გადამამუშავებელი ქარხნები გეგმას ვერ ასრულებენ

**ბათომი,** 21 ივლისი. ივლისის პირველი ორი დეკადის განმავლობაში ნავთის გადამამუშავებელმა ქარხნებმა, მიუხედავად საზეიმო დაპირებებისა, დავალება ვერ შეასრულეს. მეტად დამახასიათებელია გამომუშავების დიდი განსხვავება ცალკე საგუშაგოებს შორის, ნავთის გამომუშავება ცალკე საგუშაგოებში იძლევა 100 ტონის განსხვავებას. გეგმის შეუსრულებლობა უმთავრესად აიხსნება შრომის დისციპლინის დაცემით და შრომის სწორი ორგანიზაციის უქონლობით (ადს).

### კროფსაბჭოს ბრიგადის დახმარებით

**ბათომი,** 21 ივლისი. პროფსაბჭომ ნავთის გადამამუშავებელ ქარხნებში ადგილობრივი ჩამორჩენილი პროფორგანიზაციების დასახმარებლად გაგზავნა პრეზიდიუმის წევრთაგან შემდგარი სპეციალური ბრიგადა, რომელიც დაკვრითი წესით ამუშავებს საკითხს სამეურნეო ანგარიშზე ფაქტიურად გადასვლის შესახებ.

წინადადება მიეცათ ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობით გადავიდნენ დამკვრელ ტემპებზე.

წარმატებით მიმდინარეობს მესამე გადამწყვეტი წლის სესხის რეალიზაცია. მაგრამ მთელ ამ ცოცხალი მუშაობის დროს შემნახველ სალაროებს უდარდელად სძინავთ. სახსრების დენის ნაცვლად ადგილი აქვს მათ შემცირებას, ცოცხალი მუშაობის ნაცვლად—თვითდინებაზე ოპორტუნისტულ დაყრდნობას (ადს).

### უყურადღებობისა და უპატრონობის ნიმუში

**ხულო,** 22 ივლისი. ხულოს რაიონში სწარმოებს ტყის დამზადება, სადაც მუშაობს 700 ტყის მჭრელი. გარდა ამისა, ტყის დაცურებაზე მუშაობს 300 კაცი. ამ მუშებისათვის არავინ არ ზრუნავს და ისინი უპატრონოდ არიან მიტოვებულნი. ტყის მჭრელებს და დამცურებლებს არ ეძლევათ არავითარი სანოვაგე და სამრეწველო საქონელი. მომარაგების წესით. ტყის მუშებისათვის არავითარი საცხოვრებელი შენობა არ არის. ტყის მუშები მოკლებულნი არიან ყოველგვარ საექიმო დახმარებას. საჭიროა სერიოზული ყურადღების მიქცევა და სასწრაფო ზომების მიღება ტყის დამზადებელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, აჭარისტანისათვის მეტად საჭირო 33.000 კუბომეტრი ხეტყის მასალა ვერ დამზადდება (ადს).

### ღარიბ გლეხობასთან მუშაობა გაცხოველდა

**ქობულეთი,** 22 ივლისი. ღარიბ გლეხობასთან მუშაობა ქობულეთის რაიონში ამ საქმისადმი ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ოპორტუნისტულად მიდგომის გამო, სუსტად სწარმოებს. ადგილობრივი ხელმძღვანელები ამტკიცებენ, ვითომ ამ საქმეს წინ ეღობებოდეს „გადაულახავი სიძნელე“. რომ ეს სინამდვილეს არ შეეფერება, ამას ადასტურებს უკანასკნელი დროის მიღწევა (სოფ. დაგვაში). ამ სოფელში პარტიის საოლქო კომიტეტის მიერ სამი თვით გაგზავნილი იქნა ამხ. ასკურავა, რომელმაც ღარიბთა შორის მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, ამის შედეგათ ეს მუშაობა საგრძნობლად გამოცოცხლდა. ღარიბთა ჯგუფები, რომლებიც აქამდე მხოლოდ ქაღალდზე არსებობდნენ, გადაიქცნენ თვალსაჩინო საზოგადოებრივ ძალად. ამჟამად ეს ჯგუფები საკმაო კლასობრივ ხაზს ატარებენ სოფლის საბჭოსა და ადგილობრივი კოლმეურნეობების მუშაობაზე. ღარიბთა ჯგუფები გადაიქცნენ კოლმეურნეობებში ახალი წევრების მიზიდვის ნამდვილ მოთავეებად. აქ ეწყობა 10 ახალი ჩაის კოლმეურნეობა და განზრახულია ერთი მანდარინის კოლმეურნეობის მოწყობა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ღარიბთა ჯგუფები დიდად უწყობენ ხელს მიწის საერთო ძალით დამმუშავებელი ამხანაგობების სასოფლო-სამეურნეო არტელების წესდებაზე გადასვლას. დღევანდელ რაიონი შეასრულებს დამატებით დავალებას 162 ჰექტარი ჩაის პლანტაციების გაშენების შესახებ (ადს).

### ამოფხვრათ ოპორტუნისტული ტემპები სასკოლო მშენებლობაში

**ბათომი,** 22 ივლისი. ბათომის ქალაქის საბჭოს საამშენებლო განყოფილება სასკოლო მშენებლობის საქმეში ნამდვილ ოპორტუნისტულ ტემპებს იჩენს. სომხური შვიდწლედისათვის ერთი შენობის მიშენება და ქართული შვიდწლედის შენობაზე მეორე სართულის დადგმა სამარცხვინოდ ნელი ტემპით მიმდინარეობს. რუსულ შვიდწლედის შენობისათვის მისაშენებელი სამუშაოები ჯერ არ დაწყებულა. და ეს იმ დროს, როდესაც ბათომში სასკოლო შენობების მწვავე კრიზისია. ხელმძღვანელი ორგანიზაციები არა ერთხელ მიუთითებდნენ ქალაქის საბჭოს სასკოლო მშენებლობის დაჩქარებისა და შინაგანი რესურსების მობილიზაციის საჭიროებაზე. პარტიის საოლქო კომიტეტი აყენებს საკითხს სასკოლო მშენებლობის გეგმის ჩაშლაში დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ. (ადს).

# ჭადრაკი

## ა.-კ. მოჭადრაკეთა შეჯიბრება

### მეორე ტური

ამ ტურის ცენტრალურ პარტიას როსტოვცევ - სოროკინის შეხვედრა წარმოადგენდა. სოროკინმა დასაწყისშივე მიიღო განცალკევებული პაიკი და რამოდენიმეთ შევიწროებული მდგომარეობა.

როსტოვცევმა ფრთხილი და მოფიქრებული თამაშით დაიწყო ამ პაიკის მოგებაზე თამაში და სოროკინი ჩაყენა ცუგცვანგში. ორივე მოწინააღმდეგე მოიქცა სასტიკ ცეიტნოტში, განსაკუთრებით როსტოვცევი. პარტია გადაიდო.

დასაწყისშივე დიდი უპირატესობა მიიღო პოზიციაში ტალვიკმა — სარიჩევის წინააღმდეგ, მაგრამ ეს მან ვერ გამოიყენა და პარტია დასრულდა ყაიმით.

საინტერესოდ ვითარდებოდა ვეიზერ-გოგლიძის პარტია. ვეიზერი აწარმოებდა იერიშს მეფის ფრთაზე, გოგლიძე კი თავის მხრივ ლაზიერის ფრთაზე. გოგლიძემ შესწირა ხარისხი (ორ პაიკში) და მიიღო ადვილათ მოსაგები პარტია. მაგრამ, დასვენების წინ არ ჩაიწერა საუკეთესო სვლა, რითაც ვეიზერს პარტიის გადარჩენის ზოგიერთი შანსები მიეცა. ვეიზერმა ამის მოხერხება ვერ შესძლო და ჩქარა წააგო.

სუსტათ გაითამაშა დებიუტი ჩულკოვმა-აქშანოვის წინააღმდეგ, რაც უკანასკნელმა საუკეთესოდ გამოიყენა და მოიგო კიდეც. ვლადისლავლევმა პირდაპირი იერიში განავითარა დემიდოვზე. ერთხანობას დემიდოვი კარგათ იცავდა თავს, მაგრამ შემდეგში გააკეთა ერთი მეტად სუსტი სვლა და ჩქარა იძულებული გახდა დანებებულიყო.

ტარსაიძემ არ გაითამაშა ზუსტათ დებიუტი, ებრალიძის წინააღმდეგ და რამოდენიმეთ უარესი მდგომარეობა მიიღო, რაც მან შუა თამაშში მეტად სუსტი სვლით უფრო გააუარესა, წააგო ხარისხი და ჩქარა პარტია.

შახნაზაროვმა ლაზიერის პაიკთა დებიუტში (შავებით) ევლახოვის წინააღმდეგ, დასაწყისშივე გააკეთა სუსტი სვლა, მიიღო სუსტი პაიკი, რომელიც მან ჩქარა წააგო და იძულებული გახდა დანებებულიყო.

დღეს, 25 ივლისს, გათამაშდება შეჯიბრების მორიგი მეოთხე ტური. თამაშობენ: როსტოვცევი - სარიჩევი, აქშანოვი - სოროკინი, ვლადისლავლევი-ებრალიძე, ვეიზერ-ტარსაიძე, ევლახოვი - გოგლიძე, ტალვიკი - დემიდოვი და შახნაზაროვი - ჩულკოვი. თამაში სწარმოებს წითელ არმიის სახლის საზაფხულო შენობაში. დასაწყისი საღ. 6 ნახ. საათზე.

**ა. ფ—ლი**

# იურიდიული დახმარება

**განათლების კავშირის წევრს წიგნაკი № 36152**

კითხვა.

ა.-წ. 1 მაისიდან გადამიყვანეს სამუშაოდ კომკავშირის ორგანიზაციაში. სკოლაში, სადაც მე ვმასწავლებლობდი, 15 მაისს შესწყდა სწავლა, მეკუთვნის თუ არა არდადეგების ხელფასი?

პასუხი.

რადგან თქვენი სხვა სამუშაოზე გადაყვანის დროს სამოსწავლო წელი თითქმის ამოწურული ყოფილა, არდადეგების ხელფასი უნდა მოგეცეთ.

**ნ. კ—ძეს**

კითხვა

თუ საბჭოთა მოსამსახურემ განვლო აპარატის წმენდა და ამის შემდეგ სამუშაოდ გადავიდა სხვა დაწესებულებაში, სადაც წმენდა ჯერ არ ჩატარებულა, გავრცელდება თუ არა მასზე ხელმეორედ აპარატის წმენდა?

პასუხი.

თუ იმ დაწესებულების გამწმენდმა კომისიამ, რომელშიც ეხლა მუშაობთ, თქვენს შესახებ რაიმე მასალები მიიღო, მას შეუძლიან თქვენზე გაავრცელოს წმენდა იმის მიუხედავათ გაიარეთ, თუ არა თქვენ წმენდა სხვა დაწესებულებაში.

**ილია ინაშვილს.**

კითხვა.

მთელი მიწები, მუშა საქონელი და ინვენტარი გაერთიანებული გვაქვს კოლმეურნეობაში. ოჯახში ვართ 4 სული, რომელთაგან 2 შრომის უნარ დაკარგულია, ხოლო 2 მოწაფე, გვერგება თუ არა რაიმე ნაწილი კოლმეურნეობის შემოსავლიდან?

პასუხი.

კოლმეურნეობა ვალდებულია გაგიწიოთ დახმარება, რომლის რაოდენობაც უნდა განსაზღვროს კოლმეურნეობის გამგეობამ და დაამტკიცოს წევრთა საერთო კრებამ.

# ოფიციალური განყოფილება

## დადგენილება საქ. ს.ს.რ. სახ. კომისართა საბჭოს, საქართველოს ს. ს. რ. ტერიტორიაზე 1931 წ. წყლის გამოსაღების ჩატარების შესახებ*)

### VIII. კულაკურ მეურნეობათა დაბეგვრა

26. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესისამებრ დაბეგრილი მეურნეობა (კულაკური) წყლის გამოსაღებს გადაიხდის სარწყავი მიწისა და წყლის ენერგიის გამოყენებით მომუშავე ან წყლის სამრეწველო თუ ტექნიკური მიზნით მოსარგებლე საწარმო შემოსავლის მიხედვით, რაც გამოანგარიშებულია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისათვის.

27. ის მეურნეობანი, რომელნიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესით იბეგრებიან, წყლის გამოსაღებს გადაიხდიან შემდეგი რაოდენობით:

| როდესაც სას. სამ. გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი არის: | წყლის გამოსაღებით დასაბეგრი შემოსავლის ერთეულ მანეთზე: |
|---|---|
| არა უმეტეს 500 მანეთისა | 12 კ. |
| 500 მანეთზე მეტი 600 მან. | 16 კ. |
| 600 მანეთზე მეტი 700 მან. | 20 კ. |
| 700 მანეთზე მეტი 800 მან. | 24. კ. |
| 800 მანეთზე მეტი 900 მან. | 30 კ. |
| 900 მანეთზე მეტი 1000 მან. | 36 კ. |
| 1000 მანეთზე მეტი — | 40 კ. |

28. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესისამებრ დაბეგრილი მეურნეობა წყლის გამოსაღებს გადაიხდის იმ ვადაზე, რაც დადგენილია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდისათვის.

29. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესისამებრ დაბეგრილ მეურნეობას წყლის გამოსაღების სფეროში არავითარი შეღავათი არა აქვს.

### IX. წყლის გამოსაღების გადამხდევინებელი ორგანოები, განცხადებათა და საჩივართა შეტანისა და განხილვის წესი

30. წყლის გამოსაღების გამოანგარიშება და გადახდევინება დაეკისრება:

ა) სოფლად და აგრეთვე ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას, სადაც მოსახლეობა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრება,—იმ ორგანოებს, რომელნიც აღნიშნული არიან „საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე 1931 წ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 18-ის დადგენილების მე-6 კარში (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-7 №-ი, მუხ. 72) და

ბ) ქალაქებში, სადაც მოსახლეობა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ იბეგრება,—იმ ორგანოებს, რომელთაც დაკისრებული აქვთ რენტის გამოანგარიშება და გადახდევინება.

**შენიშვნა.** იმ ადგილას, სადაც მოსახლეობა დაბეგრილია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით, წყლის გამოსაღები გადახდევინებულ უნდა იქნეს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საშენაწერო ფურცლით ამ გადასახადთან ერთად.

31. წყლის გამოსაღების გადამხდელთა განცხადებანი და საჩივრები შეიტანება და განიხილება:

ა) ამა დადგენილების 30 მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში—იმ წესით, რაც დადგენილია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სფეროში განცხადებების და საჩივრების შეტანისა და განხილვისათვის:

ბ) იმავე მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში იმ წესით, რაც დადგენილია რენტის სფეროში განცხადებების და საჩივრების შეტანისა და განხილვისათვის.

### X. გადაუხდელთა პასუხისმგებლობა

32. იმ გადამხდელთ, რომელნიც წყლის გამოსაღებს დადგენილ ვადაზე არ გადაიხდიან, შეეფარდებათ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მენარჩენეთათვის გათვალისწინებული ღონისძიებანი.

### XI. წყლის გამოსაღების თანხების განაწილება

33. წყლის გამოსაღებით შემოსული თანხა მთლად ჩაირიცხება რესპუბლიკანურ სპეციალურ წყლის ფონდში და განაწილდება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სარაიონო ბიუჯეტებს შორის, ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარდგენისამებრ, თვითეული რაიონის საჭიროების პროპორციულად.

ეს სახსარი მოხმარდება მხოლოდ ამა დადგენილების მეორე მუხლში აღნიშნულ საჭიროებას.

### XII. ინსტრუქციები ამა დადგენილების შეფარდებისათვის

34. ინსტრუქციებს ამა დადგენილების შეფარდებისათვის გამოსცემს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი—სათანადო შემთხვევაში საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან შეთანხმებით.

### II.

საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის სექტემბრის 25-ის დადგენილება „საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე 1930 წელს წყლის გამოსაღების ჩატარების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-20 №-ი, მუხ. 303) გაუქმებულ იქნეს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

**ბ. ბოგია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ვ. მეხი.**

1931 წ. ივლისის 11.

თბილისი.

---

*) დასასრული, იხ. „კომუნისტი“ № 169.

### შეცდომის გასწორება

გაზ. „კომუნისტის“ ა.-წ. ივლისის 15-ის და 16-ის ნომრებში გამოქვეყნებულია საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილება სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ.

დადგენილების ტექსტში შეტანილ უნდა იქნეს შემდეგი შესწორებანი:

1. დადგენილების სათაურში (ივლისის 15-ის „კომუნისტი“) დაბეჭდილია „1931 წ.“, უნდა იყოს „1932 წ.“.
2. დადგენილების მე-9 მუხლის „ა“ პუნქტის მესამე აბზაცში დაბეჭდილია: „1931 წ. ნოემბრის 15-სათვის“, უნდა იყოს: 1931 წ. დეკემბრის 15-სათვის“.
3. მე-2 №-ის დანართის (ივლისის 16-ის „კომუნისტი“) „ბ“ კარის ცხრილში მეორე და მესამე ობიექტებს შორის უნდა ჩაემატოს შემდეგი: „სხვა რქოსანი საქონელი 2 წლიდან... 90 85“.
4. მე-4 №-ის დანართში დაბეჭდილია: „ინდივიდუალურ მეურნეობათათვის.... 0,35, 0,15“ უნდა იყოს: „ინდივიდუალურ მეურნეობათათვის...0 0,30“.

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— დღეს, დილის 11 საათზე მოწვეულია საფინანსო კოოპერატიულ ინსტიტუტის პარტკოლექტივის ბიუროს სხდომა, სადაც ბიუროს ყველა წევრების დასწრება აუცილებელია.

—:—

—საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ს საორგ. - საინსტრუქტორო სექტორი წინადადებას აძლევს ამხ. მ. გაწერელიას (საქ. კურორტ. სამმართველო), მარქაროვს და ბ. პოპუას (სახ. კინომრეწ.) და გ. ცინცაძეს (საფ. კოოპ. ინსტ.) გამოცხადდენ 25 ივლისს, დილის 10 საათზე ც. კომიტეტში (ოთახი 25).

ა-წ. 24 ივლისიდან, საღამოს 7 საათზე, სახკვების კლუბში, პლეხანოვის პროსპ. № 5, დაიწყო

## სახკვების სასადილოების თანამშრომელთა საჯარო წმენდა

ამხ. ვ. ცინცაძის თავმჯდომარეობით.

წმენდის კომისია სთხოვს ყველას, ვისაც მოეპოვება მასალები აღნიშნულ სასადილოების თანამშრომლებზე, ასეთები გადმოგვიგზავნოს წმენდის კომისიაში შემდეგი მისამართით: ჟორესის ქ. № 7, ოთახი № 38, კოოპკვების წმენდის კომისიის პ/მგ. მდივნის ყურაშვილის სახელზე.

**გამწმენდი კომისია.**

ნ. 1462

**საზაფხულო ეთერი** (სახ. ოპერის ბაღში)

პირვ. სეანსის დასაწყისი 9 ს.

ამერიკული კომედია

**უკანასკნელ წუთში**

**ბიბ დანიელსის**

მონაწილეობით.

**საზაფხულო დ ა რ ბ ა ზ ი**

1 სეან. დასაწ. 9 ს., 11—10 ს. 45 წ.

**გაროლდ ლოიდი**

ახალ მხიარულ კომედიაში

**უმცროსი ვაჟი**

**სტალინის სახელ. საზაფხ. კინო**

(ყ. პალასი)

1-ლი სეანსის დასაწყისი 7 საათზე.

ახალი მხატვრული ფილმი

**ქვეყნის შვილი**

რეჟისორი ედუარდ იოგანსონი.

**ამ.-კავკ. რკინის გზების დირექცია**

აცხადებს, რომ გზათა სახალხო კომისარიატის წინადადების თანახმად მგზავრთა მიმოსვლისათვის უფრო კარგი პირობების შექმნის მიზნით, „ხოიუზტრანს“-ის საქალაქო სადგურებზე თბილისში ამა წლის 20 ივლისიდან **შემოღებულია** სამგზავრო ბილეთებისა და

**პლაცკარტების წინასწარი გაყიდვა**

30 დღით ადრე შემდეგი მატარებლების გამგზავრებამდე:

სწრაფი მ. თბილისი—მოსკოვი № 1, ჩქარი № 19, სამგზავრო № 47, საფოსტო თბილისი—ბაქო № 73, სამგზავრო თბილისი—ბათომი № 46, თბილისი—ფოთი № 52, თბილისი—ქუთაისი № 54, საფოსტო თბილისი ჯულფა № 75, სამგზავრო თბილისი—ერევანი № 57, თბილისი—თელავი № 61/62.

2—2 ნ. 1457 **ა/კ. რკ. გზების დირექცია.**

**საქ. პროფსაბჭო და მუშკოოპის გამგეობა**

ამით აცხადებენ, რომ მ/წ. 25 ივლისს, საღამოს 7 საათზე, კოოპერაციის და სახვაჭრობის კავშირის კლუბში, (მუშკოოპის გამგეობის გვერდით)

გ ა ი ხ ს ნ ე ბ ა

**მ უ შ კ ო ო პ ი ს მ ე პ ა ი ე თ ა**

**კონფერენცია**

კონფერენციის დელეგატების დასწრება სავალდებულოა.

**საქ. პროფსაბჭო.**

ნ. 1465 **მუშკოოპის გამგეობა.**

**ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების, სიფილისისა და კანის ავადმყოფობა. დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყ. „ნოე“-ს) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 5—1 2

**ნ. კონტოროვიჩი**

თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ძერჟინსკის ქ. № 9. (ყოფ. პეტრე დიდის ქ.) თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დე. 25—1

**ს. ა. დიშელი**

დაამთავრა პარიზის და ბერლინის ინსტიტუტები

**სახის სილამაზის მოვლა**

რადიკალურად სპობს სახის ყოველგვარ დეფექტებს: ნაოჭებს, ლაქებს, მუწუკებს, სიწითლეს, პორების გაფართოებას, ეგზემას, აკნეს, თმის გაცვენას, ქერტლს და სხვ. მესანგრეთა ქ. № 22.

13—3 5464

**ქვემოდ ჩამოთვლილი საბუთები**

**ჩაითვალოს გაუქმებულად**

**მუშკ წიგნაკები:**

ვლადიმერ ჭურღულიას. ანიჩკა დევიძის № 2251. თამარა დევიძის № 1994. ნოე ჯაშის № 545.

ბენო მუჯირიძის № 13229, მიხეილ კირეულიშვილის № 58677, აბესალომ კიკალიშვილის, ქიტეს ხამხაძის № 28289, ნინა კანდელაკის № 4814, სარქის არუთუნოვის № 57467, ვასილ ნიქაბაძის № 664.

**პურის წიგნაკები:**

გიორგი ბარქაიას № 103110. ელენე ბარქაიას № 103101. ჯამალია და ირმა ბარქაიების № 28825. ნიკოლოზ სოკოლოვსკის № 87767. ნინა სოკოლოვსკაიას № 72959. სტეფანე სოკოლოვსკის № 98369. ქეთევანი ქავთარაძის. ბეჟან შათირიშვილის № 3060.

ივდითი გორდელაძის № 131901, მარია ფარცხალაძის № 1603, მიხაილ ფარცხალაძის № 1500, ლადო სარაულის.

**პირადობის მოწმობა:**

ნატალია დოლიძის. გიორგი გაბაევის.

**პროფკავშირის წიგნაკები:**

მათე ბახტაძის № 7590 შოთა თაბუკაშვილის. ვლადიმერ ცაბაძის № 6690.

ხუთ ივლისს, დილის 11 საათზე, ამხანაგთან ერთად სახლიდან

**გავიდა და აღარ დაბრუნებულა** ცხრა წლის ბავშვი, სახელად **ამირიდონი (იგივე კიკი)** ტანად საშვალო, აცვია ლურჯი ხალათი, მოკლე შარვალი, თავმოპარსულია, სახე რგვალი, ქერა. ვთხოვ თუ ვინმემ რამე იცის შეგვატყობინოს, მიიღებს ჯილდოს.

გოგოლის ქუჩა, № 45 ფულაძეს. 6239

**თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება № 187**

**23 ივლისის 1931 წ.**

თბილისის საბჭოს № 179 დადგენილების დასამატებლად თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს ყველა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციას და დაწესებულებას ერთი კვირის განმავლობაში დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა მოახდინონ თავიანთ ეზოების და საწარმოების და სადგომების წინ მდებარე ქუჩების გაწმენდა ნაგავისა და ნიაღვრებით გამოწვეულ გამონალექებისაგან საკუთარი ტექნიკური საშუალებებით.

2 ამ დადგენილების დამრღვევი პირები ადმინისტრატიული წესით დატუსაღებული იქნებიან ვადით 10 დღემდე ან დაჯარიმებული 100 მანეთამდე.

ნ. 1464 **თბ. საბჭოს თავმჯ-რის მოადგილე ავაქოვი.**

**ამხ. ბ. მაჩაიძის სახელობის კლუბში**

ჟორესის ქ., № 325 ივლისს, საღამოს 7 საათზე

**მოწვეულია თბილისის მუშკოოპის მეპაიეთა დელეგატთა საქალაქო კონფერენცია**

**დღის წესრიგი:**

1. ინფორმაციული მოხსენება თბილისის მუშკოოპის რეორგანიზაციის შესახებ.
2. ორგანიზაციული საკითხები.

6 საათზე ამავე კლუბში შესდგება დელეგატთა კომფრაქციის სხდომა.

ნ. 1463 **მუშკ. გამგეობა.**

განსვენებულ

**დიმიტრი მიხეილის-ძე ბ ა ხ ტ ა ძ ი ს**

ხსოვნის აღსანიშნავად დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ქ. ქუთაისში, 26 ივლისს, 6 საათზე, საფირჩხის სასაფლაოზე, რასაც იუწყებიან ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე მარიამი, შვილებით: ნინო, სოფიო, ელენე ვერა, საშა, იოსები და მიშა. 6254

ფალლოპის მეგობრები: დამიანე გერ ებავა, ვასილი მანი, სტეფანე არდავა, გრიშა ქებურია, ილ. გულავა, მიხა დანელია და პროკოპი გულუა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ექიმი შალიკო ჯაველიძის მეუღლის

**ოლღა აკობია-ჯაველიძის**

უდროოდ დაკარგვის გამო. 6283

გაუბედურებული ქმარი ვახო მათეს ძე ცაგარეიშვილი შვილებით ედიკო და ნოშიკოთი იუწყებიან

**ლილი ერასტის ასულ ჯიბლაძე-ცაგარეიშვილისა**

უდროოდ დაკარგვას. დასაფლავება კვირას, 26 ივლისს ს. გოჩაჯიხაისში.

ღრმად დამწუხრებული ძმები: შალიკო და კოტე, დები: კატო, საია და პაულია ჯიბლაძეები, სიძეები ტიტე ლეჟავა და ვალოდია მიქელაძე, რძლები: კალისტინა და მარო იუწყებიან საყვარელი დის

**აკვილინა (ლილი) ჯიბლაძე-ცაგარეიშვილის**

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება ჯიხაიში კვირას 26 ივლისის 4 საათზე.

გულმოკლულნი შალიკო და შუშანიკა ცაგარეიშვილები იუწყებიან უძვირფასესი რძლის

**ლილი ჯიბლაძე-ცაგარეიშვილისა**

უდროოდ დაკარგვას.

გაუბედურებული მეუღლე სალომე, შვილები ქსენია და ლიუბა, ისაკი და ბარნაბ, რძალი ელიკო ვაშაკიძეები, სიძე პავლე რუხაძე და შვილიშვილები იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ

**იაკინთე სესიას-ძე ვ ა შ ა კ ი ძ ი ს**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 26 ივლისს, დიდ ჯიხაიში. 6261

დამწუხრებული ძმის შვილები: შალვა ილარიონის ძე ვაშაკიძე მეუღლე ოლიათი და შვილი გივით და ბენიამინ ილარიონის ძე ვაშაკიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**იაკინთე სესიას-ძე ვ ა შ ა კ ი ძ ე**

დასაფლავება მოხდება 26 ივლისს, სოფ. დიდ ჯიხაიში. 6261

საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრის თანამშრომლები იზიარებენ ამხანაგ რომანოზ დოლიძის მწუხარებას მისი დის

**თამარ დოლონაძე-მახარაძის**

უდროოდ გარდაცვალების გამო. 6259

ღრმად დამწუხრებული დედა ნინო და ძმა ვანო დოლონაძე მეუღლე მარიკათი, შვილებით: ლელიკო და ჯანათი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი უსაყვარლესი

**თამრიკო დოლონაძე-მახარაძის**

უდროოდ გარდაცვალებას. 6273

ესტატე ხორბალაძე ცოლშვილით, სოფიო ბეჟანიშვილისა შვილებით და ნინო ჯიქიასი ქმარშვილით, მელანია და ხადეჟდა ხორბალაძეები იუწყებიან ძვირფასი დედის

**ნატალია სოლომონის ას. ხორბალაძის**

გარდაცვალებას გამოსვენება დღეს, 5 საათზე, (სამოსწავლო ქ. № 7). დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 6278

სამუდამოდ დამწუხრებული მშობლები: მალაქია და ბაბუცა, და ნიხა ბარკალაები აუწყებენ ნაცნობ ნათესავებს და მეგობრებს ძვირთასი

**შ უ რ ა (ალექსანდრას)**

ტრაგიკულად დაღუპვას. 6281

დამწუხრებულნი დედა ნინა, ძმა რომანოზი და რძალი ნინა შვილებით მერით და რეზოთი იუწყებიან, რომ 23 ივლისს ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

**თამარა ისიდორეს ას. დოლონაძე-მახარაძისა**

6258

რკ. გზ. მე-6 საფ. საქარხ. 7 წლედის პედ. საბჭო და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე სკოლის მასწ. ტიმოთე აფრიდონიძეს მისი მამის

**ივანე ილიას-ძე აფრიდონიძის**

გარდაცვალების გამო. 6277

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ანასტასია, შვილები: ნინო, ნადია, ტიმოთე, ქეთო, მოსე, დათიკო, ვეჟა და ლუბა, რძლები: ეგენია და ნადია, სიძეები: დავით კუპრავა, ლეონტი ნუცუბიძე, ამბროსი ჩიქვინიძე, შვილისშვილები: ვახტანგ, თინა, ოთარი, შოთა, კუსურა, მედიკო, ლილი, გივი, რიმა და ავთანდილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ივანე ილიას ძე აფრიდონიძე**

დაკრძალვა 26 ივლისს სოფ. სორძანში (ქუთ. რაიონი)

დამწუხრებული დედ მამა ფედოსი და ნოე ცინცაძეები, ბებია დარია, ბიძები: მიხეილი, ანგი, ამბროსი და ლავრენტი რამიშვილები დეიდა ქსენია რამიშვილი-წილოსანისა, ბებია ბარბარე და ბიძა ივანე ცინცაძეები მწუხარებით აუწყებენ

**დიმიტრი ნოეს ძე ც ი ნ ც ა ძ ი ს**

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა კვირას 26 ივლისს, სოფ. ბუკისციხეში. 6268

გაუბედურებულნი მშობლები: თედო და ვალენტი, და ნიფო, ძმა რაჟიკო, რძალი მაშიკო, ბიძაშვილები: ივლიანე, ტარასი და ზიფო აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს საყვარელ

**გალაქტიონ (გაქუო) თედოს-ძე ისაკაძის**

ტრაგიკულად დაღუპვას. გამოსვენება დღეს, 25 ივლისს, 5 საათზე ბინიდან (ალაბარი) ჩეხოვის № 10, დაკრძალვა ავლაბრის სასაფლაოზე. 2—2 6223

ღრმად დამწუხრებული შვილი ისაკი, რძალი ელენე. შვილისშვილი ავთანდილი იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი მამა

**იაკინთე სესიას-ძე ვაშაკიძე**

დაკრძალვა 25 ივლისს, სოფ. დიდ ჯიხაიში 5 საათზე. 6261

თავზარდაცემული მშობლები: ბესარიონ, ფედოსი, ძმები: შალიკო, ვარლამი, კონსტანტინე, გალაქტიონი, რძლები: ტაისა, პაშა, სიძე სევერიანე, დები: ნინა, ლენა, ლიდია შვილი ლილით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს

**ოლია ბესარიონის ასულ კ ა ჭ ა რ ა ვ ა ს**

დაკარგვას. დაკრძალვა კვირას, 26 ივლისს, დაბა აბაშაში. ნ. 1465

ღრმად დამწუხრებული მშობლები: მამა გიორგი, დედა მარიამი, ძმები: შალვა, ახტოხი, აპოლონი, დავითი, გიგლა, ვანუშა, და მარო უგრეხელიძეები აუწყებენ საზოგადოებას, რომ 23 ივლისს გარდაიცვალა თბილისის მთავარ საავადმყოფოს თანამშრომელი ექიმის თანაშემწე

**ნადია გიორგის ას. უგრეხელიძე**

დასაფლავება ხონში, 26 ივლისს. 6279

საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი“, კამოს ქ. № 68. მთავლიტი № 904